

ნათელა ქუთელია

ქართველთაოღოგოიური კვლევიები



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

კრებულში წარმოდგენილი შრომები აერთიანებს გამოკვლევებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა.

შრომაში განიხილება ენობრივი პოლიტიკა და ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაციის საკითხები, ნიმუშად გამოყენებულია ზანური (ლაზურ-მეგრული) ენობრივი სისტემის ფონოლოგიური კანონზომიერებანი — ფონოტაქტიკა და მისი ტრანსფორმაცია დროში.

© ნ. ქუთელია, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@Internet.ge

ISBN 978-9941-17-740-8

ნატელა ს. კუთელია

**Исследования
ПО
Картвелологии**

Natela S. Kutelia

**Researches
on
Kartvelology**



Publishing House "UNIVERSAL"

Tbilisi 2012

ძვირფასი მასწავლებლის

ალი-ეფენდი თანდილავას ხსოვნას

ვუძღვნი ამ შრომას

ავტორი

Памяти дорогого учителя

Али-Эфенди Тандилава

посвящаю свой труд

Автор

To my teacher

Ali-efendi Tandilava

ქართული ენა როგორც კულტურულ-ეროვნული

და პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი*

ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მონ-
ყობის ერთ-ერთი ბერკეტია. ამ საკითხისადმი ცალსახა და-
მოკიდებულება არ არსებობს, აქ ორი მიმართულებაა გასა-
მიჯნი ერთმანეთისაგან. ერთია ენათა და დიალექტთა მეც-
ნიერული შესწავლა და მიღებული შედეგების პოსტულირება
ლინგვისტურ ტერმინებში და სულ სხვა, ქვეყნის, როგორც
დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის, ენობრივი მონ-
ყობა. სახელმწიფო ენის დოქტრინა ისეთივე მყარი უნდა
იყოს, როგორც კონსტიტუცია, როგორც სამოქალაქო კო-
დექსი. ის ვერ შეიცვლება იმსდა მიხედვით, თუ როგორ იც-
ვლება მეცნიერთა შეხედულება ენაზე, როგორც სასწავლო
ობიექტზე, ვინაიდან ობიექტის პრობლემასთან შინაგან კავ-
შირშია სპეციალური მეთოდების პრობლემა, სპეციალური
მეთოდები კი დროთა ვითარებაში იცვლება და შესაბამისად
შედეგებიც (არნ. ჩიქობავა).

ენის ლინგვისტური, მეცნიერული კვალიფიკაცია უნდა
გაიმიჯნოს ამ ენის საზოგადოებრივი, სოციალური ფუნქცი-
საგან. ენის სტატუსს მისი სოციალური და პოლიტიკური
ფუნქცია განსაზღვრავს. ქართველი ერის ისტორიის მთელ
მანძილზე ქართულ ენას ყოველთა ქართველთა სოციალური
სანქცია ჰქონდა და ეს განსაზღვრავდა მას, როგორც კულ-
ტურულ ფენომენს ქართველი ერისა და ქართული კულტუ-
რის ფორმირების პროცესში. სახელმწიფო ენი სტატუსს მი-
სი სოციალური და პოლიტიკური ფუნქცია განსაზღვრავს.
ქართული ენა არის ქართველთა ნაციონალური ენა, მისი
კულტურულ-ისტორიული ტრადიციების ამსახველი და სა-
ხელმწიფოებრივ-კულტურული ერთობის საფუძველი. ისტო-
რიულად ამ ენისა და მისი დიალექტების მატარებლები ზოგ-
ჯერ პოლიტიკურად სხვადასხვა სამეფოებსა და სამთავრო-
ებს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ საქართველო ყოველთვის

* პირველად გამოქვეყნდა 2005 წელს: ნ. ქუთელია, ქართული ენა როგორც
კულტურულ-ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი:
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, „ახლო აღმოსავლეთი და საქარ-
თველო“, IV, თბილისი, 2005.

იყო მთელი, როგორც „ნაციონალური-კულტურული ერთეული“ (აკად. ნ. მარი). ამ ერთიანობის საფუძველი უპირველესად იყო ენა და ეკლესია. ამ ენაზე აღმოცენდა საქართველოში და მის გარეთ კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, სადაც იქმნებოდა ლიტერატურა სასულიერო და საერო. **ლიტერატურა — ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით, ლიტერატურა, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური სისტემა**¹.

განუზომლად დიდია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი, რომელმაც დაიცვა და ამჟამადაც იცავს ქართული ენის უწყვეტელობას ტრადიციასთან ანუ იმ ენასთან, რომელიც მეცნიერთა მიერ კვალიფიცირებულია, როგორც „ძველი ქართული“. ეკლესია სავსეა ახალგაზრდობით, რომელიც ლოცულობს და კითხულობს ბიბლიის ენაზე. მათ ეს ენა ესმით ყოველგვარი მომზადების გარეშე. ესმით იმიტომ რომ საქართველოს ისტორიის ძნელბედობის ყველა ჟამს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ განყვიტა კავშირი ხალხთან და ფარულად თუ აშკარად „წმინდა წერილს“ აზიარა. დღესაც, ბიბლიის ძველი თარგმანის ენა, როგორ ხალხთისმსახურო კანონიკური ტექსტი, რჩება ქართული ეკლესიის სალიტურგიო ენად.

ენობრივი პოლიტიკა პროფესიული ლინგვისტიკის სფეროს სცილდება. ამდენად, ქართველთა კილოებს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ, ვინაიდან მათ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ევოლუციის პროცესში შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ერთიანი ქართული ენა და ქართული ეროვნული ცნობიერება.

ლინგვისტიკაში დამკვიდრებულია მეცნიერულად არაგუმენტირებული აზრი, რომ არსებობენ ისტორიულად დადასტურებული ქართველური ენები — ქართული, სვანური, ზანური (resp. კოლხური), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი კუთხური ენის ფუნქციას ასრულებდნენ საერთო საზოგადო ქართულის მიმართ, რომელზედაც ჩამოყალიბდა ქართველთა სახელმწიფოებრივი და ეროვნული სულისკვეთება.

¹ თემურ ნუცუბიძე, „ქართული კულტურა, როგორც ესთეტიკური კატეგორია“ (ხელნაწერი).

საქართველო ძველთაგანვე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სამეფოებად, სამთავროებად, ცალკ-ცალკე ფეოდალურ ერთეულებად დაიყოფოდა, მაგრამ ყოველთვის იყო ერთიანი, მთლიანი, როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. მისი გამაერთიანებელი იყო ეკლესია და ენა — ყველა ქართველთა ერთიანი ნაციონალური ენა, რომელსაც აქვს საუკუნოვანი ადმინისტრაციული და ლიტერატურული ტრადიციები.

ენა როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი გარკვეული სოციუმში ფუნქციონირებს. თუ ენას არა აქვს საყოველთაობის სოციალური სანქცია, მაშინ ის უნდა განიხილებოდეს, როგორც კუთხური მეტყველება, რომელსაც, იმისთვის რომ იარსებოს არ სჭირდება სკოლა, ტელევიზია და პრესა. ტრადიციას შეუძლია იარსებოს სამწერლო ენის გარეშე, ამის ნათელი ილუსტრაციაა დრუიდების მიერ შენახული მეცნიერული ცოდნა¹ და ბრაჰმანთა რელიგიური ჰიმნები-ვედეები, რომლებიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. საქართველოში საზოგადო და სამწერლობო ქართული იყო საყოველთაო ენა როგორც პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდში, ისე ქვეყნის გამთლიანების შემდეგ, როგორც მისი ორგანიზებული პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელების ერთ-ერთი მძლავრი იარაღი. იმავეს ადასტურებს ერებისა და ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების მსოფლიო პრაქტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ერი, როგორც პოლიტიკური და კულტურული ერთეული ერთი საერთო, საზოგადო ენით ყალიბდება და ვითარდება.

საზოგადო და სამწერლო ქართულის გვერდით არსებობენ მონათესავე ენებად კვალიფიცირებული ზანური (resp. მეგრულ-ლაზური), სვანური და დიალექტებად წოდებული ქართლური, კახური, იმერული, აჭარული, გურული, ხევსურული, თუშური, იმერხეული, რაჭული, ინგილოური, მოხეური, ფშაური და სხვა... საკითხს რომ ნათელი მოეფინოს, მოვიყვან ციტატას დიდი ქართველი მეცნიერის აკად. ნ. მარის შრომიდან „ქართველთა ეროვნება“², რომელსაც გასდევს

¹ Юлий цезарь, Записки о гальской войне, 1998, გვ. 162-163

² „ქართველთა ეროვნება“, წერილი პროფესორის ნ. მარისა იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზ ი. ვოსტორგოვს წარმოუთქვამს საქართველოს

ღრმაპატრიოტული და პროგრამული კონცეფცია ქართველთა და საქართველოს ერთიანობის შესახებ. აკად. ნ. მარიწერს: „საქართველო“ არის ტერმინი უპირველესად ნაციონალურ-კულტურული. საქართველო ლინგვისტურად დანაწილებული ყოფილა ძველის-ძველად (როდესაც ეს ნაწილები უფრო დაშორებული ყოფილან ურთიერთმანეთისაგან) სხვადასხვა ძმურ მონათესავე ენებად, დიალექტებად და უბნებად. იგი ჩვეულებრივ განიყოფებოდა სხვადასხვა სახელმწიფოებად, მაგრამ ამასთანავე საქართველო ყოფილა მრთელი, როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. მისი შემაერთებელი იყო ქრისტიანობის მიღებიდან, სხვათა შორის ეკლესია და საზოგადო სალიტერატურო ენა. შემდეგ საეკლესიო და საერო ლიტერატურამ კიდევ უფრო მჭიდროდ და ძლიერად შეაკავშირა საქართველოს ტომები. განმტკიცდა და დამყარდა ადგილობრივი და ნაციონალური კულტურა ერთის სალიტერატურო ენითურთ და ეს სალიტერატურო ენა ცნობილი იქმნა ქართულად. ეს სახელი სწორია და მეცნიერულად კანონიერი მხოლოდ შეხედულების გამო, თუ ჩვენ ლინგვისტურად განვმარტებთ მისს დიალექტურ საფუძველს. შეილება ვსთქვათ, რომ ეს სახელი სწორია ისტორიული შეხედულებით, რადგანაც ამ საქმის მოთავეობა ეკუთვნოდა ეთნოგრაფიულად და დიალექტოლოგიურად ქართველებად ცნობილ ტომებს, მაგრამ VI და VII საუკუნიდან ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში მიიღებენ მონაწილეობას ქართლელ-ქართველებს გარდა, სხვა ქართველთა ტომებიც: იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და სხვა. და ამათ საზოგადო ქართულ ლიტერატურაში ერთობით შეაქვთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი ვიდრე თვით ქართლელებს. და ამგვარად ტომებრივი ლიტერატურა მათი გარდაიქმნა ნაციონალურად და სალიტერატურო ენა ქართულ დიალექტურისაგან ზოგად ქართველთა ენად. აი ამის გამოა მრავალი ადგილი ქართველთათვის უძვირფასესი პოემის „ვეფხისტყაოსნისა“ უფრო კარ-

ერზედ უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებლ პირთა კრების წინაშე. ქუთაისი, ი. კილაძის და ი. ხელაძის სტამბა 1905 (თარგმანი რუსულიდან, მთარგმნელის სტილი დაცულია).

გად ესმით, მაგალითად გურულებს, ანუ იმერლებს, ვინემ თვით ქართლელებს, ეთნოგრაფიული საქართველოს ნამდვილ შვილებს. ამის გამოვე მრავალი ფორმები აზრის გამოხატულებისა და სიტყვები საუკეთესო ქართულის პროზისა და პოეზიისა, რომელნიც შიდა-ქართლის სხვადასხვა ადგილას უცნობი არიან, სრულიად ჩვეულებრივად მიაჩნიათ ცოცხალ საუბარში ამჟამად მაჰმადიანებად მყოფს იმერხელებს, ბათომის მაზრაში. ამის გამოვე საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ეპოულობთ წმინდა ჭანურს ანუ მეგრულს და სხვა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულისტორიული შეხედულებით ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვე სვანურია და მეგრული, იმდენადვე გურული და იმერული რამდენადაც ქართული. ის არის ღვიძლია სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომებისათვის სულ ერთია, რა კილოზეც, რა დიალექტზეც, რა ენაზეც უნდა საუბრობდეს იგი სახლში, თავის კერასთან... სადაც საეკლესიო წირვა-ლოცვა ქართულად იყო, ყოველგან ის ადგილები საქართველოდ ყოფილა მიჩნეული, ე.ი. იმ დროისთვის სიტყვა „საქართველოს“ ნაციონალურ-კულტურული ტერმინის მნიშვნელობა ჰქონდა მიღებული. ცოტა ხანს იქით ამ ტერმინის მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოვდება პოლიტიკური მომენტის გამო და რა საკვირველია სიტყვა „საქართველოს“ იმ შორეულ დროიდან აღარ გამოხატავდა მართო ეთნოგრაფიულს ერთეულს. ამის გამო ქართველები თავის ქვეყანას „ქართლს“ კი არ უწოდებენ, რომელიც ნამდვილად ეთნოგრაფიულის ტერმინს ნიშნავს, არამედ „საქართველოს“ და ეს არის ნაციონალურ-კულტურული ტერმინი, რომელიც გამოხატავს ნაციონალურ-კულტურულ ქართველთა ქვეყანას.

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში მწვავედ დგას ენისა და დიალექტის დეფინიციის საკითხი. გაჩნდა ტენდენცია ტერიტორიული დიალექტების ნაციონალურ ენებად გამოცხადებისა. არის მცდელობა საზოგადო ქართულის ანუ ყველა ქართველთა სახელმწიფო (ადმინისტრაციულ-საკანცელარიო), საეკლესიო, სალიტერატურო ქართული ენის ტომობრივ ენებად დაშლისა (მეგრული, სვანური) და ამ ენებზე სკოლებისა და საინფორმაციო საშუალების შექმნისა, ვითომდაც „პატარა“ ენების „გადარჩენის“ მიზნით.

პატარა ენებიდან პატარ ერებამდე ერთი ნაბიჯია. ინტერნეტის ვებსაიტებზე მუსირებს თემა — მეგრელები და სვანები პატარა ერები ყოფილან და ქართველ „ოკუპანტებს დაუპყრიათ“ და ახლა მათ ენებს განვითარების საშუალებას არ აძლევენო. არსებობს „დოქტრინა“: - არ არსებობს ქართველი ერი - არსებობს ცალკეულ ტომთა კონგლომერატი“. დოქტრინის ავტორი უცნობია, მაგრამ მიმდევრები საკმაოზე მეტი გამოუჩნდნენ. ისინი ეყრდნობიან იმ ფაქტს, რომ არსებობს ლინგვისტთა მიერ ქართველურ ენებად კვალიფიცირებული ქართული, სვანური, ზანური (resp. მეგრულ-ლაზური), ამ უკანასკნელს აკად. ა. შანიძე კოლხურს უწოდებს, რაც ფვიქრობ უფრო ზუსტად ასახავს ქართულ სახელმწიფოებრივ და ისტორიულ ტრადიციას.

საქმე უფრო შორს წავიდა — კოლხურის დიალექტები, მეგრული და ლაზური, ცალ-ცალკე ენებად გამოცხადდა. ამას მოჰყვა მათი შემდგომი იზოლაცია ანბანური სისტემის შეცვლით, რასაც უცილობლად მოჰყვება საარტიკულაციო ბაზისის მოშლა. ლაზური ანბანი ანყობილია ლათინური ასოებით, ოღონდ თურქული ანბანური რიგის დაცვით. საბოლოოდ ჩვენ მივიღეთ სრულიად გამოუსადეგარი ანბანური სისტემა, სადაც 10 ბგერას თავისი გრაფიკული გამოხატულება არა აქვს. ხარვეზი შევსებულია დიაკრიტიკული ნიშნებით, ზოგჯერ ორმაგითაც, რაც სავსებით გამოუსადეგარს ხდის მას, როგორც ანბანურ სისტემას. ამას წინ უძღვებოდა რუსეთის უხეირო მცდელობა თურქეთის ლაზისტანში „კირილიცას“ შეტანისა, რაც სრული კრახით დამთავრდა.

არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმი, რომელიც გამიჯნავს ენასა და დიალექტებს, ვინაიდან არ არსებობს კრიტერიუმი, რომელიც შეითავსებს მეცნიერულსა და სახელმწიფოებრივ თვალსაზრისებს. წმინდა ლინგვისტური კრიტერიუმი არ ითვალისწინებს, ან სრულიად იგნორირებს იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეს, სადაც გარკვეულ ტომთა პოლიტიკური და კულტურული ერთობა განსაზღვრა ამ ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფთა პასიონარული განწყობის იგივეობამ მოცემულ ბიოსფერაში, სადაც ენა და მისი მატარებელი საზოგადოება ვითარდებოდა¹.

¹ Л. Гумилев, Этногенез и биосфера земли, Москва, 2011.

ამდენად, თუ საკითხის გადაწყვეტის დროს ვიხელმძღვანელებთ მეცნიერთა თვალსაზრისით ენაზე როგორც სასწავლო ობიექტზე, მაშინ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გვექნება ცალკეულ ენათა კონგლომერატი. ეს იგივეა, რაც ცალკეულ ტომთა კონგლომერატი, რომელიც საფუძველშივე გამორიცხავს ეროვნულ მთლიანობას.

არნ. ჩიქობავა, როგორც მეცნიერი და მოქალაქე, ქართველური ენების ისტორიული წარსულის შესწავლას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს და მეცნიერისათვის დამახასიათებელ ტაქტით ამბობს: „მხოლოდ საჭირო ფაქტური მონაცემის სიმცირეს შეიძლება მივანეროთ ის, რომ ჭანური და მეგრული — ერთმანეთის მიმართ ორ ენად მიაჩნდათ“.

კონცეფცია ლაზურ-მეგრული ენობრივი ერთიანობის შესახებ არნ. ჩიქობავამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა შრომაში „ჭანურის გრამატიკური ანალიზი“ (1936 წ.) და დასახა კიდევ ამ დებულების მეცნიერული დასაბუთების გზები. შემთხვევითი არ არის, რომ იგი თავის კონცეფციას საბოლოო სახით აყალიბებს არა შესავალში, რომელიც, თავის მხრივ, საპროგრამოა, არამედ დასკვნით დებულებებში: „ჭანურის ფონეტიკური სისტემის მიმოხილვა, ბრუნებისა და უღლების ანალიზი, წინადადების სინტაქსური კონსტრუქციის გათვალისწინება — მეგრულთან შედარებით — ცხადყოფს, რომ არ არის არც ერთი ფონეტიკური დებულება, მორფოლოგიური თუ სინტაქსური კატეგორია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ჭანური დავუპისირპიროთ მეგრულს, როგორც ორი თავისთავადი ენა“¹.

შემდგომი განვითარება ამ იდეამ პოვა თ. გამყრელიძე — გ. მაჭავარიანის შრომაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.) ავტორები საერთო - ქართველური ენის დიფერენციაციისა და ქართველურ დიალექტთა ურთიერთმიმართების დიაგრამას წარმოადგენენ, და რაც არსებითია და უაღრესად მნიშვნელოვანი, მიზანშეწონილად მიიჩნევენ კომპარატივისტული თვალსაზრისით ირელევანტურად ჩავთვალოთ მათ შორის არსებული სხვაობები, ვინაიდან

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), ტფილისი, 1936, გვ. 206.

„მეგრული და ქანური მათი დამოუკიდებელ ევოლუციის პერიოდშიც დიდ მატერიალურ და სტრუქტურულ სიახლოვეს ინარჩუნებენ“¹.

ერთი ენის ზიანურის (resp. კოლხურის) დიალექტებად მიიჩნევენ ლაზურსა და მეგრულს ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, ს. ჯიქია, ს. ულენტი, ტ. გუდავა, ი. ასათიანი, გ. კლიმოვი (გარკვეულ პერიოდამდე). ჩემს მიერ 1986 წელს გამოთქმული ვარაუდი, რომ ლაზურს შეიძლება ვუნოდოთ ენა — შეცდომაა, რასაც ვალიარებ. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფონემათა ინვენტარი, მათი პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებანი, ფონეტიკური ევოლუცია და, რაც ყველაზე არსებითია, ფონოტაქტიკა, მეგრულსა და ლაზურს ერთიანი აქვთ.

მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხი უშუალოდ უკავშირდება ქართველი ხალხის ისტორიულ და სახელმწიფოებრივ ტრადიციას. ეს უკანასკნელი კი განისაზღვრება იმ პროცესებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წინა აზიაში გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიები დაეცემოდა. ამ პროცესების გათვალისწინების გარეშე ჩვენ არსებითად ვერ ჩავწვდებით იმას, თუ რატომ არის გართულებული კომუნიკაცია ლაზებსა და მეგრელებს შორის. ლაზური და მეგრული ერთი ენის ზანურის (resp. კოლხურის) დიალექტებია. მართალია, „ზან“ ტერმინის ისტორიულად უკავშირდება მეგრელსაც და ლაზსაც, მაგრამ, თუ ამოვალთ ტერმინის ეთნიკური და პოლიტიკური მნიშვნელობიდან, „კოლხური“ ზუსტად ასახავს ქართველი ხალხის ისტორიულ და სახელმწიფოებრივ ტრადიციას, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზ-მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა და ასე იყო პირველ ორ საუკუნეში². მეგრულისა და ლაზურის შემდგომ დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, არამედ იმ ისტორიულმა პროცესებმა, რომელიც წინა აზიაში თურქ-ოსმალ-

¹ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 16.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფილისი, 1913, გვ. 57.

თა გაბატონებას მოჰყვა. კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის შესუსტდა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან სრულიად შეწყდა.

ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების დამხობის (1453, 1461 წწ.) შემდეგ ოსმალეთს თითქმის სამასი წელი დასჭირდა, რათა საბოლოოდ გაეტეხა ლაზთა პოლიტიკური და კულტურული წინააღმდეგობა. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო მათი რელიგიური მრწამსის, სამეურნეო და კულტურული საქმიანობის, საუკუნეებით დამკვიდრებული ტრადიციების ამოძირკვა, რასაც მიაღწიეს კიდევაც თავისი შორს გამიზნული დიპლომატიისა და ძალისმიერი ხერხების გამოყენებით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფასდაუდებელია ქართული კულტურის დიდი მოღვაწისა და მოამაგის, ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შეგროვილი ცნობები ლაზების კულტურული და სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ვინაიდან ეს არის ხალხის მეხსიერებაში შენახული ისტორია. ეყრდნობა რა ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს, ახალი დროის ევროპელ, რუს და ქართველ მკვლევარებს, ზაქარია ჭიჭინაძე ამავე დროს თვითონ აკვირდება და აღწერს ხავს ლაზი ხალხის მეხსიერებაში შენახულ თითოეულ ყოფით დეტალს და აღადგენს მათ კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას.

ლაზთა ძირითადი საქმიანობა იყო ნაოსნობა, მშენებლობა, ვაჭრობა, ამავე დროს, მაღალგანვითარებული მესაქონლეობა (ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი), მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მინათმოქმედება (პური, ქერი, ჭვავი, სიმინდი, ღომი), მევენახეობა. ყველა ეს ტრადიციული საქმიანობა ოსმალთა ბატონობით მოიშალა. ოსმალები ლაზისტანში ბევრჯერ შეიჭრნენ და სამხედრო ოპერაციებს თითქოს წარმატებით ახორციელებდნენ, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდნენ — ლაზები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და ამარცხებდნენ.

მე-17 საუკუნის 30-იან წლებისთვის ოსმალეთმა ლაზისტანთან ერთად მთელი სამცხე-საათაბაგო დაიმორჩილა და დაიწყო ისლამის ინტენსიური გავრცელება. მე-18 საუკუნის მიწურულს ლაზეთში გაბატონდა ისლამი, თუმცა სერიოზული პოლიტიკური ბრძოლები მერეც გრძელდებოდა. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ჯანიკლი ალი-ფა-

შას ამბობხება, რომელიც აღწერილია დ. ჯანელიძის ისტორიულ ნარკვევში „ლაზების ბელადი“, თბილისი, 1984.

დ. ჯანელიძის შრომას საფუძვლად უდევს რუსეთისა და ევროპის საისტორიო არქივებში დაცული დიპლომატთა მიმონერა და მოხსენებითი ბარათები სპეციალური უწყებებისადმი. ავტორი ზედმიწევნით ფლობს ფრანგულ, რუსულ დიპლომატიურ წყაროებს, საინტერესო და დამაჯერებელ ცნობებს გვანჯდის:

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ლაზი ხალხის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ სათავეში ჯანიკლი ალი-ფაშა და მისი შვილი ბატალი-ბეი უდგნენ. ჯანიკლი ალი-ფაშა ლაზისტანს განაგებდა 1749-1785 წლებში. მას ემორჩილებოდა ოთხი სადროშო (სანჯაყი) და სამოცი მაზრა. ეს იყო უზარმაზარი ტერიტორია მსოფლიოში განთქმული უძველესი ქალაქებით: ტრაპიზონი, სინოპი, არზრუმი, ამაზია... ჯანიკის (resp. ჭანიკის) ტერიტორიაში შედიოდა აგრეთვე კუმჯულაზის რეიდსა და ყიზილ-ერმაკის შესართავთან ახლოს და სამსუნის ყურეს შორის მდებარე ე.წ. თემისკირის ქვეყანა. მადნეულით (სპილენძი, რკინა, თითბერი, თუთია) და ხე-ტყით მდიდარი, ამავე დროს, მოხერხებული ნავსადგურების მქონე ლაზისტანი თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ცხადია, მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ქვეშ მოექცა. „ლაზისტანს სწავლობდნენ საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის დიპლომატები და ცდილობდნენ იგი დაემორჩილებინათ თავიანთი კომერციული და პოლიტიკური ინტერესებისთვის“¹. ეს ინტერესი დღესაც არ განელეებულა, პირიქით, დაინტერესებული ქვეყნების რიცხვი გაიზარდა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა მიუნხენისა და დორტმუნდის ჯგუფები. მათ მიერ ინტერნეტის საშუალებით გავრცელებული ჭორები საქართველოსა და მის შემადგენელ კუთხეებზე, ქართველ ხალხზე, ცინიზმის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ისინი თავისი დეზინფორმაციით ძალუმად იბრძვიან ლაზთა შორის იმ ცნობიერების აღმოსაფხვრელად, რომელიც მათ დედასამშობლოსთან აკავშირებს. მათი პირდაპირი დარტყმის ობიექტია ენა და ანბანი.

¹ დ. ჯანელიძე, ლაზების ბელადი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1984 წ. გვ. 118.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ლაზებს დიდხანს შემორჩათ იმის ცოდნა, რომ ქართველთა მოდგმისანი არიან და მათი ანბანიც ქართულია და არა არაბული. ეს ტრადიცია დაცული იყო ლაზ ბეგებსა და ალებში. ლაზ დიდებულთა შორის ქართული წერა-კითხვა ისწავლებოდა. ქართული წერა-კითხვა იცოდა როგორც კაცებმა, ისე ქალებმა და ქართული ასოებით წერდნენ ლაზურ სიტყვებს. ტრადიციამ თითქმის მე-19 საუკუნის ბოლომდე მოაღწია, ზ. ჭიჭინაძეს საბუთად მოჰყავს ლაზი ბეგის შაინ-ოღლის ოჯახი, სადაც ქართული წერა-კითხვა ყველამ იცოდნენ ოჯახის წევრთა შორის. 1860 წელს ქობულეთელმა ბეგმა ალი-ფაშა თავდგირიძემ ცოლად შეირთო ლაზი დიდებულის შაინ-ოღლის ქალიშვილი დინდინ-ხანუმი და გაირკვა რომ მან ქართული წერა-კითხვა იცოდა, რომელიც ლაზისტანში ჰქონდა ნასწავლი¹.

ზაქარია ჭიჭინაძის, ამ დიდი მამულიშვილის, ცნობებში ეჭვი არასოდეს შემიტანია. რა დიდი იყო ჩემი სიხარული, როდესაც 2003 წლის მაისში თურქეთის ლაზისტანში ეს ცნობა კვლავ დამიდასტურა ფორტუნას ხეობის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში, პარიანთეში (ეს მისი ძველი სახელია), შუახნის ლაზმა ქალბატონმა ნაზიე აქთემირმა. მან რამდენიმე ლაზური ლექსი ჩამაწერინა. ბუნებრივია, მე ვწერდი ნაკლებად გაკრული ხელით, რათა არაფერი შემშლოდა. წერის დროს ნაზიე ხანუმი გულდასმით მადევნებდა თვალყურს, მერე ნაწერი ხელში აიღო და მითხრა: „მაჩუქე ეს დანერილი, „პაპული ჩქიმი ჰაშო ქარუმტუ“ - „პაპაჩემი ასე წერდა“, როცა მე ავუხსენი, რომ ეს ქართული ასოებია, ძალიან მთხოვა, დარჩი ჩემთან და მასწავლეო. დარჩენა არ შემეძლო, მაგრამ თურქული ანბანის გასწვრივ ქართული ასოები დავუწერე და, რაც აკლდა, ისინი ლაზური სიტყვების თავკიდურ პოზიციაში მოვაქციე, რომ ადვილად მიმხვდარიყო. ნაზიე ხანუმი კარგად ფლობს ლაზურს, ცხოვრობს სტამბოლში, ხოლო სოფელში ადრე გაზაფხულზე ჩადის დედამთილთან; მინის დიდ ფერდობიან ნაკვეთს ამუშავებს, უვლის საქონელს და გვიან შემოდგომაზე კვლავ სტამბოლში ბრუნდება შვილებთან, რომლებსაც, მისი თქმით, დისკოტეკა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ფორტუნას ზღაპრული ხეობა.

¹ ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, თბილისი, 1927, გვ. 58.

საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა იმის შესახებ, რომ „სოფ. აბუ-ისლაჰში მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა გაუგზავნიათ მინისტრებთან და უთხოვიათ ნებართვა, რომ „ჩვენ ნება მოგვეცეს ჩვენ სკოლებში ჩვენი ენის გურჯული (ქართული) წიგნი ვასწავლოთ ჩვენს შვილებსო“. ამ საქმეს სათავეში ედგა ლაზი აბდულა აშიკ ჰასან-ოღლი, კაცი — მწიგნობარი, არაბულისა და თურქულის ჩინებული მცოდნე. პირველმა მსოფლიო ომმა (1914 წ.) ამ საქმეს ხელი შეუშალა. 1916 წელს ხოფაში გაიხსნა ქართული სკოლა ჭყონიას თაოსნობით. ჭყონია ქართული ენისა და წერა-კითხვის მასწავლებელი იყო. სკოლამ ორი წელიწადი იარსება. ცოტა ხნის შემდეგ სარფში გაიხსნა ქართული სკოლა, რომელსაც შესანიშნავი მასწავლებელი პოლიკარპე ხაინდრავა ხელმძღვანელობდა. მისი საქმე განაგრძო და ქართული სკოლის არსებობისთვის იბრძოდა სარფის სკოლის დირექტორი ფილოლოგი და ისტორიკოსი ალი თანდილავა, რომლის მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი და შეფასებული.

ბატონიშვილი ვახუშტი თავის საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვანვდის რა ცნობნებს ლაზთა კულტურული დონის შესახებ, წერს: კაცნი არიან ჳელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთთა დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით ან სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი, არამედ იციან კულად ქართული ენა (ნ.ქ.) ვიეთთამე“¹. დღემდე ლაზთა შორის შენახულია მრავალი ცნობა თამარის შესახებ, ყველა ციხე და ყველა ხიდი თამარს მიეწერება.

ცნობილი ფრანგი გეოგრაფი და სოციოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე ჟან ჟაკ ელიზე რეკლიუ (1830-1905), ავტორი საყოველთაოდ აღიარებული შრომისა: „ახალი მსოფლიო გეოგრაფია, ადამიანი და დედამიწა“, წერდა: „ლაზები ქართველი ტომისანი არიან, ამათი ენა არის ქართული, ზოგან ნამდვილი მეგრული ენით ლაპარაკობენ, ზოგან შერეულით, ზნეც ისეთი აქვთ როგორც იმერლებს. კარგად ჩაცმას და

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოს საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 690.

სიმდიდრეს ეტრფიან და სულაც არ არიან ზარმაცნი, როგორც საზოგადოდ ამბობენ მათზედ¹.

ამას ადასტურებს ისტორიული წყაროები, რომელიც უხვად არის წარმოდგენილი მეცნიერთა — ბატონიშვილი ვახუშტი, დიმ. ბაქრაძე, მ. თამარაშვილი, მ. ბარათაევი, პ. ინგოროყვა, ყაზბეგი, ბარონ უსლარი... ცნობებში და რომის კონგრეგაციისადმი კათოლიკე მისიონერ ბერთა მიერ გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში. XVIII საუკუნეში რომმა გადაძლიერა ტრაპიზონის „ქართულ კათოლიკეთა“ ეკლესია, დანიშნა ის თავის მისიონერთა და „პროპაგანდა ფიდეს“ ნევრთა ცენტრად. ეკლესიასთან გაიხსნა სკოლა და სამკითხველო. აქვე იყო დაცული მდიდარი საეკლესიო არქივი. როგორც ზ. ჭიჭინაძე გვამცნობს არქივი სხვადასხვა დროს შეივსო ისტორიული არქივითა და მასალებით თბილისიდან (1752, 1800 წწ.), გორიდან (1795 წბ), ახალციხის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ბიბლიოთეკიდან (1780 წ.). ტრაპიზონის არქივი ცნობილი იყო, როგორც საქართველოს ისტორიის უმდიდრესი არქივი. მას მიხ. თამარაშვილი მოიხსენიებს, როგორც საქართველოს ისტორიის არქივს.

რომიდან ტრაპიზონში მოდიოდნენ დომინიკანელი, ავგუსტინელი, ფრანცისკანელი, თეათინელი მისიონერი ბერები და სხვადასხვა ორდენის იეზუიტები და ყველანი ისინი ტრაპიზონის არქივის საშუალებით სწავლობდნენ ქართულ ენასა და ისტორიას. ტრაპიზონის არქივში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი კათოლიკე მღვდლებიც, რომლებსაც უძვირფასესი ცნობები აქვთ შემონახული ლაზებისა და ლაზეთის შესახებ. მისიონერები, რომლებიც ტრაპიზონიდან საქართველოში მოემართებოდნენ, გზადაგზა აღწერდნენ ენობრივ გარემოს. განსხვავებას ლაზურსა და მერგულს შორის ვერ ხედავდნენ, პირდაპირ წერდნენ — ჩვენ ჩვენი მცირედი მეგრულით კარგად გავდიოდით ფონსაო². ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პატრი ლუდოვიკო გრანჯერიოს წერილი იეზუიტების საზოგადოების გენერლის კლაუ-

¹ ციტირებულია ზ. ჭიჭინაძის, ლაზისტანი, თბილისი, 1927, მიხედვით.

² მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის (XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე), ავტორის მიერ გამოცემული, ტფილისი, 1902 წ. გვ. 136-7 მდ.

დიო აქეავიას მიმართ. წერილი გაგზავნილია სამეგრელოს სოფ. მოქვიდან 1615 წლის 2 მარტს: „... სოფელი რისკა ჩვენის ფაშის სამშობლოა და მთელი მისი სახლობა აქ სცხოვრობს. თუ ეს და თუ სხვა ბევრი სოფელი ეკუთვნის ლაზისტანს, რომელიც გადაჭიმულია ტრაპიზონიდან დანყებულ ვიდრე საქართველომდე. ამ ნაწილში, რომელიც ტრაპიზონზედ ახლოა, ბერძნულს ლაპარაკობენ, ხოლო საქართველოს მახლობელი კი საზოგადო ენა მეგრულია (ნ.ქ.). რიზა ლაზეზის, ანუ ალანელების ახალშენია. ლაზეზი სამეგრელოს ერს ეკუთვნიან (ნ.ქ.). ნელნელა ყველა მაჰმადიანების ურჯულობაში ცვივიან, რადგან ქრისტიანები იყვნენ, ბევრს ხარკს ახდევიებდნენ და მრავალგვარ შეწუხებასაც აყენებდნენ, ამიტომ იმათ მაჰმადიანობა მიიღეს და ოსმალებს ნებას აძლევენ, რომ მათ შვილებს წინადაცვეთა აღუსრულონ... მაინც კი რავდენადაც სიბრძნე მოითხოვდა და რავდენადაც ჩვენის მცირედის მეგრულით შეგვეძლო იქაურ მცხოვრებთა საკმარო რიცხვს, მეტადრე ყმანვილებს დახმარება აღმოუჩინეთ, ვასწავლეთ ჩვენის წმინდა სარწმუნოების უპირველესნი ჭეშმარიტებანი და თათრებზედ გათხოვილ ზოგიერთ დედაკაცებსაც თავიანთი მოვალეობანი გავაცანით¹.

როგორც ვხედავთ, ლაზ-მეგრელები ერთი ენით ლაპარაკობენ. არანაკლებ საინტერესოა წერილის გაგრძელება: „პირველ ივლისს გაუდექით გზას და სამეგრელოს პირველ პუნქტამდე მივიდით...“ ამის შემდეგ აღწერილია მისიონერთა შეხვედრა სამეგრელოს მთავართან, დრანდის მთავარეპისკოპოსთან და ბედიის ეპისკოპოსთან. დაწვრილებით არის აღწერილი სადილი მთავართან, რომელსაც ექვსი ეპისკოპოსი ესწრებოდა: „ამ ქართველებს (ნ.ქ.) ჩვეულებად აქვსთ ხალიჩა დაგებულ მიწაზე დასხდნენ; მათი სუფრები ხბოს ტყავისაა, მაგრამ სუფთა და რაოდენადაც შეიძლება გრძელი, რადგან, როგორც ვსთქვით, ჩვეულებათა აქვსთ სჭამონ დიდრონი ხეების ძირში“. პატრი ლუდოვიკო გრანჯერიო ყველას ქართველებად მოიხსენიებს. იმავეს ადასტურებს პაპი ურბან VIII-ის წერილები ქართველ მეფეთა და მთავართა მიმართ: „ქარ-

¹ მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობას..., გვ. 136

თველ გურიელ მთავარს“, „ქართველ ოდიშის მთავარს“, „იმერეთის ქართველ მეფეს“¹.

ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით, ყველა ლაზურ სოფელში ეკლესია იყო, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა, ხოლო მღვდლები ქადაგებდნენ ლაზურ კილოზე. ყველა ეკლესიის გვერდით სამრევლო სკოლები იყო, სადაც საღმრთო წერილს ქართულ ენაზე ასწავლიდნენ, რადგან ქართული ენა ლაზებისთვის საღვთო ანუ საეკლესიო ენა იყო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2002 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადანიშნულებით აღსდგა ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია.

მინდა დავამთავრო იმით რითიც დავინყე: საქართველოში ქართულის გვერდით, რომელიც საყოველთაოა, არსებობენ ლინგვისტთა მიერ მონათესავე ენებად კვალიფიციურებული კოლხური (ლაზურ-მეგრული) და სვანური. ყველა ესენი კუთხური ენის ფუნქციით არიან აღჭურვილნი საზოგადო, საერთო ქართულთან მიმართებაში. ყოველი მათგანი სხვადასხვა კუთხის ენაა და ამ სახელწოდებაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ არცერთ მათგანს, გარდა ქართულ ენისა, არ ჰქონდა ყოველთა ქართველთა სანქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველებს ყოველთვის გვქონდა ერთი საერთო სახელმწიფო,საეკლესიო და სამწერლობო ენა.

Summary

Georgian Language as the Basis for the Kultural, National, Historical and Political Unity

Georgia, as historical and political entity, has always been divided into more or less diversified speech areas. Linguists have identified these different speeches as related languages or dialects of the same language, yet without strict definition of difference among them.

¹ იქვე 136-7 მდ.

Nowadays in political circles to make distinction between language and dialect on the basis of the rigorous definition has become an urgent issue. They have given visa to the tendency that declares speeches of rural variants as independent languages in their own rights. There are even attempts to disintegrate literary Georgian into tribal “Languages” and establish schools and media in these “Languages” on the pretext of “preserving” small languages. One of the “doctrines” even says that: “there is no such entity as Georgian nation, but a conglomeration of separate tribes”. The author of the doctrine is anonymous but he has quite a few followers. For instance Megrelian and Laz sub-dialects of Zan dialect have been declared as separate languages.

I think that linguistic qualification of the language must be drawn apart from the social function of language. I think the status of language is determined by the social and political function. Through the entire history of the Georgian nation the Georgian language enjoyed the social sanction of “all Georgians”, and this sanction determined it as the cultural phenomenon in the process of formation of the Georgian nation and of the Georgian culture.

Alongside the common literary Georgian language there exist Zan (resp. Megrelian-Laz) and Svan that have been qualified as related languages. Kartilian, Kakhian, Imeretian, Ajarian, Gurian, Khevsurian. Tushian, Ingiloian, Mokhevian, Meskhian, Javakhian, Pshavian, Fereidanian, Mtiulian, Gudamaqarian have been regarded as dialects. The paper also has a lengthy discussion of the functions of the Literary Georgian in the historic Lazy.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ციტატა მომყავს უცვლელად აკად. ნ. მარის შრომიდან ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 9-10. თარგმანის სტილი და ენა სალიტერატურო ენის ნორმას ყოველთვის არ ესადაგება, მაგრამ აზრი ზუსტად არის გამოცემული.
2. Юлий Цезарь, Записки о гальской войне, Санкт-Петербург, 1998.
3. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
4. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფილისი, 1913 წ.
5. Л. Гумилев, Этногенез и биосфера земли, масква, 2011. საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე ავტორი მიერ გამოცემული, ტფილისი, 1902
6. მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ავტორის მიერ გამოცემული, ტფილისი 1902წ.
7. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზის (ტექსტებითურთ) თბილისი, 1936 წ.
8. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
9. ზაქარია ჭიჭინაძე, ლაზისტანი, თბილისი, 1927
10. დ. ჯანელიძე, ლაზების ბელადი, თბილისი, 1984
11. მ. ვანილიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, თბ., 1964.
12. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თემურ ნუცუბიძე, „ქართული კულტურა, როგორც ესთეთიკური კატეგორია, ხელნაწერი“.

ეროვნული სკოლის კონცეფციისათვის*

საზოგადოებას სჭირდება ზნეობრივი და სოციალურად აქტიური პიროვნება. ამის გარეშე ფუჭია შეიქმნას სამართლებრივი სახელმწიფო. თუ სადამდე შეიძლება მივიდეს არასამართლებრივი საზოგადოება, სადაც ყველაფერი შეიძლება, ჩვენ უკვე ვნახეთ! ახლა საჭიროა ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრება! საიდან დავიწყოთ?! ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის სკოლა. ვერავინ უარყოფს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც სკოლას ენიჭება პიროვნების ფორმირების პროცესში. ქვეყანა, რომელსაც ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის ეროვნული კონცეფცია არ გააჩნია, ვერ აღზრდის ღირსეულ მოქალაქესა და პატრიოტს, რომელიც მყარად იდგება საკუთარ ნიადაგზე და ეცოდინება ვინ არის, საიდან მოდის, როგორია მისი რწმენა და რა უნდა აკეთოს. როგორ მესახება ქართული ეროვნული სკოლის კონცეფცია ჰუმანიტარული განათლების სფეროში.

ქართული ეროვნული სკოლა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის გარეშე წარმოუდგენელია. თუ კი რაიმე აქვს საამაყო საქართველოს თავისი სულიერი ცხოვრების სფეროში ეს პირველ ყოვლისა მისი ძველი ქრისტიანული პერიოდის მწერლობაა. ქრისტიანული ლიტერატურის ასეთი ძეგლებით ბევრი დიდი ერი ვერ დაიტრიაბახებს. ძველი ქართული ლიტერატურა ისეთივე უნიკალურია როგორც ადრე და გვიანი შუა საუკუნეების ქართული ფრესკები. მერე და იცნობს მას ქართველი კაცი რიგიანად? შეფასებული და განსაზღვრული აქვს მისი ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიოს ხალხთა კულტურულ საგანძურში? მე ვიტყოდი, რომ არა! პირველ რიგში კი ამით უნდა გვცენ პატივი და არა იმით, რომ სტუმრის მიღების ძველი და ესთეტიკურად დახვეწილი ტრადიციები გვაქვს. მოსულმა კაცმა, ვიდრე სუფრას მიუჯდება, ჯობს ჯერ ის იცოდეს რას და როგორ წერდა მოყოლებული მე-5 საუკუნიდან ქართველი მწერალი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, თუ პოეტი და მაშინ არც ის გაუკვირდება, გაქვს თუ არა გაქვს, სტუმარს რომ მეფურად ხვდები

* პირველად გამოქვეყნდა 1989 წელს: ნ. ქუთელია, „ეროვნული სკოლის კონცეფციისათვის“, „უცხოური ენები სკოლაში“ №4, თბილისი, 1989.

და სუფრას არისტოკრატიული ტაქტით წარმართავ. ტრაბახ-ში ნუ ჩამოგვერთმევა და ქართული ტრადიციული სუფრის ნესებზე უფრო სრულყოფილი ინსტიტუტი ძნელი წარმოსადგენია. ეს ჩვეულებრივი სუფრა კი არ არის, როგორც ზოგიერთს გონია, არამედ მაღალი მორალურ-ეთიკური, ესთეტიკური და ინტელექტუალური ღირებულებების ასპარეზია. ვაგლახ, რომ ამ შინაარსს ის თანდათან კარგავს ჩვენივე წყალობით. მაგრამ განა რუსს, ან ფრანგს, ან იტალიელს ჯერ იმის მიხედვით ვაფასებთ ვის როგორი მასპინძლობა შეუძლია? ყველა ისინი თავისი სულიერი საგანძურით და, პირველ ყოვლისა, დიდი ლიტერატურით ფასდება, მერე და ჩვენ გვაქვს ბატონებო ეს დიდი ლიტერატურა! რატომ არ წარმოვაჩინთ მას როგორც ჯერ არს?! პასუხი ერთია, იმიტომ, რომ არა გვყავს სათანადო მომზადებული სპეციალისტები. არავინ მოქცევია თავის სულიერ მემკვიდრეობას ისე გულგრილად როგორც ჩვენ. სხვათა პატივისცემა არ გვესწავლება — პატარაც დიდად გვეჩვენება, ჩვენის მოვლა-პატრონობაში კი სერიოზული ხარვეზები გვაქს. ძველი ქართული ლიტერატურის ყოველი ძეგლი ისეთი სრულყოფილებით უნდა იქნას გამოკვლეული, როგორც გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, შესრულებული დიდი სწავლული ფილოლოგის პავლე ინგოროყვას მიერ. ამ ნაშრომს ხომ ბეჭდად აზის რა რანგის მეცნიერულ აპარატს ფლობს მისი ავტორი, რა ადვილად მიუწვდება ხელი ძველ ბერძნულ და ლათინურ წყაროებზე. ეს წიგნი მაშინვე უნდა გვეთარგმნა რუსულსა და ევროპულ ენებზე, რაც დიდად შეუწყობდა ხელს მის პოპულარობას არა მარტო რუსეთსა და ევროპაში არამედ მთელს მსოფლიოში. ახლა კი რა გამოდის, არის უნიკალური ჰაგიოგრაფიული ძეგლები, პირველხარისხოვანი გამოკვლევა, მაგრამ კულტურულმა მსოფლიომ ამის შესახებ თითქმის არაფერი იცის. რატომ ვალარიბებთ და ვაფერხებთ მსოფლიო ჰუმანიტარული აზროვნების განვითარებას, ვინ მოგვცა ამის უფლება?! ხომ ცხადია, რომ ტექნიკურმა აზროვნებამ გაუხსნრო ჰუმანიტარულს და არავინ იცის სადამდე მიიყვანს ეს კაცობრიობას. შეგნებული გვაქვს, მთელი სიგრძე-სიგანით, შედეგი, რომელიც შეიძლება მოყვეს ასეთ შეუსაბამობას?

ისმის კითხვა, როგორ გამოვზარდოთ სპეციალისტი, რომელიც ამ ამოცანას გადაჭრის. სად უნდა გამოიწეროს ის, მხოლოდ უნივერსიტეტში? — არამც და არამც! ჩემი ღრმა რწმენით ასეთი სპეციალისტის ჩამოყალიბებას სკოლაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

დღემდე ჰუმანიტარული განათლების ერთიანი, სისტემური პროგრამა ჩვენს სკოლებს არა აქვთ. ამიტომ ბუნებრივია ისმის კითხვა: რა და როგორ უნდა ვასწავლოთ?

მიმაჩნია, რომ, პირველ რიგში, სკოლაში უნდა აღდგეს კლასიკური გიმნაზიის ტრადიცია — ძველი ბერძნული და ლათინური ენების სწავლება. ახლა ხომ ცხადია, სადამდე მიგვიყვანა ამ ტრადიციაზე უარის თქმამ. რა აკლია საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსს და ფილოლოგს, თუ გნებავთ ფილოსოფოსსა და თეოლოგს? სკოლაში მიღებული კლასიკური განათლება, მერედა ვარგა ფილოლოგი, ან ისტორიკოსი ამ განათლების გარეშე? შეუძლია მას სრულად გამოიყენოს ნიჭი, რომელიც ღვთის ნყალობით არ გვაკლია? ამ ენების შესწავლას პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მომავალი ისტორიკოსების და ფილოლოგებისათვის. ოღონდ ეს არ უნდა ხდებოდეს თანამდებროვე ევროპული ენების ხარჯზე — მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე სპეციალისტს გარკვეულ წილად მათი გამოყენება უნდა შეეძლოს — წაკითხული უნდა გაიგოს.

რა სჭირდება დღეს საქართველოს ჰუმანიტარული განათლების თვალსაზრისით? საქართველოს როგორც ძველი კულტურისა და ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის ერს დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება კლასიკური განათლების მქონე ისტორიკოსი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, თეოლოგი, რომელიც მსოფლიოს დაანახევებს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას როგორც ისტორიულ წყაროს, რომელსაც ამავე დროს მაღალი მხატვრული და ესტეტიკური ღირებულება აქვს.

შეუძლებელია ჰაგიოგრაფიული მწერლობის კვლევა ბერძნულ-ლათინურ სამყაროსთან კავშირის გარეშე. ქართული ჰაგიოგრაფია ევროპული ქრისტიანული ჰაგიოგრაფიისა და თეოლოგიური აზროვნების ცოდნის გარეშე ჯეროვნად ვერ შეფასდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სა-

ქართველოს გარეთ დიდი სამონასტრო კულტურული ცენტრების არსებობა სწორედ ამაზე მიგვანიშნებს.

ჩვენს სამონასტრო წესდებაში არ შეიძლება არ ასახულიყო ევროპის სამონასტრო წესდების დიდი რეფორმატორის წმინდა ბენედიქტე ნურსიელის სამონასტრო კოდექსი, რომელიც ეფუძნება არა მარტომ Opus Dei-ს დოქტრინას, არამედ იმთავითვე შეიცავდა Arti-ს ცნებას, რაც გულისხმობდა ბერ-მონაზონთა სამონასტრო მოღვაწეობას. ცნობილი იტალიელი თეოლოგი, ბენედიქტელი ბერი გრეგორიო პენკო აღნიშნავს, რომ მოგვიანებით ეს დოქტრინა დაიხვეწა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სალოცავ ფორმულაში Ora et Labora (ილოცეთ და იშრომეთ!). ამ უკანასკნელმა რეალური გამოხატულება ჰპოვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში. ამის მაგალითია გრიგოლ ხანძთელისა და მისი მონაფეების მთელი მოღვაწეობა, რომელთა „უმაღლესი მიზანი იყო ქრისტიანობისა და ბაგრატოვანთა დინასტიის განმტკიცება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი ნინო და კალისტრატე სალიების წყალობით კარგა ხანია ფლობს შუასაუკუნეობრივი ევროპული ჰაგიოგრაფიული მწერლობის კორპუსს — Acta Sanctorum. მისი ცოდნის გარეშე ძნელია მიუჩინო ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობას მისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობაში.

1972 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკად. ი. ვეკუას ინიციატივითა და თაოსნობით შეიქმნა ბერძნულ-ლათინური კლასიკური მწერლობის მთარგმნელობითი სექცია, რომელიც დიდ საქმეს აკეთებდა. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე არსებობდა კლასიკური ფილოლოგიის სპეციალური განყოფილება, რომელიც ძველბერძნული და ლათინური ენების სპეციალისტების კვალიფიციურ კადრებს ამზადებდა მოგვიანებით მის ბაზაზე შეიქმნა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. მაგრამ ეს არ კმარა, ვინაიდან მათ აქვთ თავიანთი გადაუდებელი საქმე — თარგმნონ კლასიკური მემკვიდრეობის ძეგლები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია კულტურული ერის სულიერი ცხოვრება.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა მოვამზადოთ ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი-ფილოლოგი, რომელსაც ეცოდინება ძველბერძნული და ლათინური იმდენად, რომ თავისუფლად შეეძლოს ტექსტის გაგება. ქართული ჰაგიოგრაფია რომ განსხვავდება შუასაუკუნეების ევროპული ჰაგიოგრაფიისაგან ამას ინტუიტურად ყველა სპეციალისტი გრძნობს და ამიტომაც ხშირად ისმის კითხვა: ჰაგიოგრაფიაა ეს თუ საერო ლიტერატურა, სადაც მარტვილობა კი არ არის აღწერილი მხოლოდ, არამედ სასულიერო პირის აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოებრივობის დაცვისა და განმტკიცებისათვის. იმისათვის, რომ შეაფასოს ქართული ჰაგიოგრაფია როგორც სულიერი კულტურა ქრისტიანული ლიტერატურის უზარმაზარ მემკვიდრეობაში, არადა ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, სპეციალიატმა უნდა შეძლოს გაეცნოს დედანში (მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას), ბერძნულ-ლათინურენოვანი ჰაგიოგრაფიის ნიმუშებს, რათა ჯეროვანი ადგილი მიუჩინოს ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას.

ამასთან დაკავშირებით დროა ეროვნული სკოლის წინაშე დაისვას საკითხი: უნდა ისწავლებოდეს თუ არა ძველი ქართული ენა და ასომთავრული დამწერლობა? ჩემი ღრმა რწმენით — აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს! ყველა ქართველმა უნდა იცოდეს ასომთავრულის წაკითხვა. თუ ეს არ მოხდა სკოლაში, შემდეგ მისი მასიური ცოდნა შეუძლებელია. სავალალოა, რომ ძეგლებზე საექსკურსიოდ, თუ სამუშაოდ გასული ახალგაზრდების უმეტესს ნაწილს ასომთავრულის წაკითხვა არ შეუძლია. არაფერს ვამბობ იმ მოგზაურსა, თუ უცხოეთში მომუშავე ქართველზე, რომელიც ტაძრის კედელზე ამოტვიფრული ასომთავრული წარწერის წინაშე დგას და არ იცის, რომ ეს ქართულია. უფრო მეტიც, მსოფლიოს ხელნაწერთა ფონდებში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბევრი ქართული ხელნაწერი ასომთავრული, თუ ნუსხახუცური სომხურად იქნა მიჩნეული; ანდა საერთოდ, ფონდის მცველისთვის უცნობია რომელ ენაზეა ის შესრულებული. დასამალი არ არის, რომ ჩვენს მეცნიერებს დიდი ხნის განმავლობაში არა ჰქონდათ საშუალება თავისუფლად, თავისი სურვილისამებრ სწვეოდნენ მსოფლიოს ცნობილ წიგნთსა-

ცავებს, გასცნობოდნენ ამ ქვეყნების საისტორიო არქივებს, რომლებსაც საქართველოსთან ჰქონდათ ურთიერთობა. ამით დღეს ვართ განებივრებულნი, თავისუფალი მისვლამოსვლის საშუალება გვაქვს; ამიტომ ქართული ხელნაწერის ცნობა, მე არ ვამბობ მისი მეცნიერული შეფასება, ყოველ ქართველს უნდა შეეძლოს. უცხო ქვეყნებში სხვადასხვა სპეციალობით, ან დიპლომატიურ სარბიელზე მომუშავე ქართველებს ამის საშუალებაც აქვთ და ბევრ მათგანს სურვილიც, მაგრამ არა აქვთ ელემენტარული ცოდნა ამოიცნონ ქართული მანუსკრიპტი. ყველაფერი ეს ძალზე აღარიბებს ჩვენს მწერლობასა და ისტორიოგრაფიას, რომელიც გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ამიტომ ყველა ქართველი მოვალეა იცნოს ასომთავრული და ნუსხახუცური, ამის გაკეთება კი მხოლოდ სკოლას შეუძლია. ამის გარდა ქართველ კაცს ახალ ქართულზე თარგმნილი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება არ უნდა სჭირდებოდეს. არადა, დასამალი არ არის, რომ ტექსტის მთელი რიგი ადგილები გაუგებარია მისთვის. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ ბევრმა ლექსიკურმა ერთეულმა იცვალა მნიშვნელობა და დღეს სხვა შინაარსი დევს მათში. ძველი და საშუალო პერიოდის ქართულ ლექსებათა დღევანდელი მნიშვნელობით გაგებას კი ფრიად სავალალო შედეგები მოჰყვება ხოლმე. ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს.

ვფიქრობ მე-5 კლასიდან, როდესაც მოსწავლე კარგად არის უკვე დაუფლებული მხედრულ, ანუ თანამედროვე ქართულ წერა-კითხვას, უნდა დავინყოთ ასომთავრული ანბანის შესწავლა და წრთვნა, რომელიც სამ წელს მაინც უნდა გრძელდებოდეს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლაში, ხოლო თუ ჩვენ გვექნება ჰუმანიტარული პროფილის სკოლები ნუსხახუცურიც უნდა იქნეს შემოღებული, ამ უკანასკნელის შესწავლა სახარების ტექსტის მიხედვით უნდა ხდებოდეს, რაც ორმაგ სარგებლობას მოუტანს — გონებრივ და სულიერ ამაღლებას.

ბუნებრივია ისმის კითხვა: მეტისმეტად ხომ არ გადაიტვირთება სწავლის პროცესი? რასაკვირველია გადაიტვირთება! თუ არსებულ პროგრამას დაემატება ყველაფერი ის, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. არა თუ გადაიტვირთება, არამედ შეუძლებელიც გახდება თვით ყველაზე ბეჯითი

მოსწავლისთვისაც კი, თუ სწავლების შინაარსიდან არ ამოვიღებთ მეორეხარისხოვან მასალას. ახალ ეროვნულ სკოლაში სწავლების გარკვეულ ეტაპზე დიფერენცირებული (პროფილირებული) სწავლება უნდა შემოვიღოთ და პროგრამებიც ამ პროფილების მიხედვით უნდა დგებოდეს.

ძველი ქართული, ბერძნული და ლათინური ენები შესწავლის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია დიდი ხნის ნაცადი ხერხი — ძველი და ახალი აღთქმის წიგნების სახელმძღვანელოდ გამოყენება. ამ ენათა შესწავლა ბიბლიის ტექსტით უნდა ხდებოდეს, ვინაიდან ბიბლიის ტექსტი შეიცავს სიტყვასიტყვით და აზრობრივად უზუსტეს თარგმანს, ეს კი მოხსნის ლექსიკონის წამდაუნუმ ხმარების აუცილებლობას, რაც თავის მხრივ გააადვილებს სწავლების პროცესს.

მინდა შევჩერდე, ჩემი თვალსაზრისით ერთ მეტად საჭირობოროტო საკითხზე. ქართველმა ბავშვმა იმთავითვე, სკოლის მერხიდან უნდა იცოდეს, რომ კოლხური (ლაზურ-მეგრული), სვანური და ქართული ერთი საერთო ფუძე ენიდან მომდინარეობენ, რომ იყო დრო, როდესაც ისინი ამ ფუძე ენის დიალექტები იყვნენ. ამისთვის საჭიროა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ელემენტარული გამოყენებით ვაჩვენოთ მას, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ძირი სხვადასხვა კუთხეში მოლაპარაკე ქართველთა შორის. ადვილად მისაწვდომი და სწორად ჩამოყალიბებული მეთოდი ძირეული ქართველური ლექსიკის ტრანსფორმაციისა ამოხსნის იმ გაუგებრობას, რომელიც ექმნება ქართველ კაცს, როდესაც მას არ ესმის სვანურ, ლაზური, ან მეგრული მეტყველება, ამ დროს კი იცის, რომ ყველანი ისინი ქართველები არიან, ქართველი ერისა და ქართული კულტურის შემქმნელები. ბუნებრივია, რომ ბავშვს, და არა მარტო ბავშვს, დაებადოს კითხვა: რატომ არის მისთვის გაუგებარი სვანური, ლაზურ-მეგრული თუ ისინი ერთი საერთო ენის შვილები არიან; ან რატომ არის, რომ ქართველები ყველგან ერთნაირად არ ლაპარაკობენ. ყველა ქართველის მშობლიური ენა არის ქართული, მაგრამ აბა ვნახოთ, იმერელი და ხევსური, ან გურული და ფშაველი, ქართლელი და ინგილო, ფერეიდნელი და კახელი ერთნაირად ლაპარაკობენ? რაშია განსხვავება? ან ეს განსხვავება მარტო ჩვენთან არის თუ სხვა ერებთანაც იგივე მდგო-

მარეობაა? აქ უნდა მოვიშველიოთ ფრანგების, ესპანელების, იტალიელების, გერმანელების და სხვათა მაგალითი, რომელთაც ანალოგიური ვითარება აქვთ. სკოლაში უნდა ავუხსნათ ბავშვს რას ნიშნავს დიალექტი და დიალექტური სხვაობანი, რომელიც შეიძლება ისე შორს არის წასული, როგორც ეს ჩინური ენის მიმართ მოხდა. ჩინელები იძულებულნი არიან იდეოგრამებით წერონ და არა ასოებით, ვინაიდან იდეოგრამას ყველა თავის დიალექტზე კითხულობს, ასოებით კი მხოლოდ ერთ დიალექტზე მოხერხდებოდა წაკითხვა, რაც უთუოდ გათიშავდა ჩინელ ხალხს. მოსწავლეს უნდა ავუხსნათ ისიც, რომ დიალექტთა შორის სხვაობამ შეიძლება იმატოს იმდენად, რომ ისინი ენებად ჩამოყალიბდნენ, როგორც ეს მოხდა ჩვენთან, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სვანები და ლაზ-მეგრელები ქართველები აღარ არიან, ისე როგორც კატალონიელები ან პროვანსალები, რომელთაც ლიტერატურაც კი გააჩნიათ ამ ენებზე, აღარ არიან ესპანელები ან ფრანგები; კატალონიელი ისეთივე ესპანელია როგორც კასტილიელი და ანდალუზიელი, პროვანსაელი ისეთივე ფრანგია, როგორც ბრეტონელი და გასკონელი, ხოლო სვანი და მეგრელი ისეთივე ქართველი როგორც კახელი და გურული. სკოლის მოსწავლეს აუცილებლად უნდა მოუყვანოთ ლაზების მაგალითიც, რომლებმაც ეთნიკური მთლიანობა შეინარჩუნეს, მაგრამ ისტორიამ მოწყვიტა ისინი დედა სამშობლოს — საქართველოს. ლაზი ერი კი არ არის, არამედ ერთ-ერთი კოლხური ტომია, რომელთაგან, დღეს სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი ქართველი ტომია.

მინდა დავამთავრო იმით, რითაც დავიწყე, რომ ქართული ეროვნული სკოლის შექმნის პროცესში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კლასიკური ენებისა და ძველი ქართული ენის სწავლების აუცილებლობა, მითუმეტეს, რომ ახლა ყალიბდება პროფილირებული სწავლების სკოლები, სადაც დიდი შესაძლებლობა გვექნება ჩავუყაროთ საფუძველი სერიოზულ ჰუმანიტარულ განათლებას.

მართლმეტყველების რეგულირებისათვის ქართულში*

მე არაერთხელ აღმინიშნავს სამეცნიერო პუბლიკაციებში და საჯარო გამოსვლების დროს და კვლავაც მინდა შევეხო ქართულ ორთოეპიას (resp. მართლმეტყველებას), რომელიც ბოლო ხანებში მძიმე კრიზისს განიცდის. ჩვენ თითქოსდა ვზრუნავთ მართლწერაზე, მაგრამ სრულიად არ ვზრუნავთ მართლმეტყველებაზე. თავის დროზე აკად. გ. ახვლედიანმა გამოთქვა მოსაზრება და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მასობრივი იარაღი, როგორცაა სალიტერატურო ენა, მით უკეთ ასრულებს თავის დანიშნულებას, რაც უფრო ზუსტადაა დადგენილი მისი მოხმარების წესები, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ყველა მოხმარებლისათვის — როგორც დამწერისა, ისე მთქმელისათვის. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა წერილმეტყველებისა და ზეპირმეტყველების ანუ ორთოგრაფიისა (მართლწერა) და ორთოეპიის (მართლმეტყველება) გარკვეული წესებით რეგულირდება.

ქართული სალიტერატურო ენის ორთოეპიისა და ორთოგრაფიის რეგულირება სამ ძირითად პრინციპს ემყარება:

1. იცავს თუ არა მოლაპარაკე მშობლიური ენის საარტიკულაციო ჩვევათა ნორმებს, ანუ წარმოთქვამს თუ არა სწორად მშობლიური ენის ბგერებს;

2. ფლობს თუ არა ქართული სალიტერატურა ენის რითმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის ნორმებს, ანუ იცავს თუ არა მშობლიური ენის ინტონაციას;

3. რამდენად შეესაბამება ორთოგრაფიის წესები ტრადიციით დაგენილ ნორმებს და ქართული ფონოტაქტიკის წესებს¹.

ენა, როგორც სისტემა, ძალზე მდგრადია. ისტორიულად ენის განვითარებას ენის შიგნით არსებული კანონები განაპირობებენ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ექსტრალინგვისტური პროცესები. ენა მოიცავს ჩვენი ცხოვრე-

* პირველად გამოქვეყნდა 2011 წელს: ნ. ქუთელია, „მართლმეტყველების რეგულირებისათვის ქართულში“, გელათის მეცნიერებათა აკადემიის უფროსი, 10, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2004.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 171-მდე

ბის ყველა მხარეს, ამდენად, მასზე ზემოქმედების სპექტრი ფართოა და ცვლილებათა მიზეზები ყოველთვის თვალსაჩინო არ არის, შედეგი კი გვიან იჩენს თავს. ენა ვითარდება და დროთა განმავლობაში იცვლება — ეს ენის განვითარების ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ენა იცვლება არა ერთბაშად — ენის სხვადასხვა მხარე იცვლება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტემპით. ეს პროცესი შეუმჩნეველია და ბუნებრივიც არის, რათა არ შეფერხდეს კომუნიკაცია. არავის ძალუძს ჩაერიოს ენის განვითარების ბუნებრივ პროცესში — იგი არაცნობიერია, მაგრამ არის ისეთი პროცესები, რომლის რეგულირება ჩვენ შეგვიძლია.

სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, მისი რეგულირება ჩვენს ხელთაა. მართლმეტყველებაში გვაქვს სერიოზული და სახიფათო დარღვევები ვინაიდან პროცესი შორს არის წასული. ამ დარღვევების ძირითადი წყარო არის მასობრივი საინფორმაციო საშუალებანი, განსაკუთრებით კი ტელევიზია; მხედველობაში მაქვს დიქტორთა და ტელეჟურნალისტთა მეტყველება და აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა სატელევიზიო გამოსვლები. რატომ ვამახვილებ ყურადღებას ტელევიზიაზე? — იმიტომ, რომ ტელევიზია არის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. მას დიდი გავლენა აქვს ყველა თაობის მსმენელზე.

აკად. გ. ახვლედიანი აღნიშნავდა, რომ წარმოთქმის მკაფიობამ შეუნარჩუნა ქართული ენის ბგერით სისტემას ისტორიული მდგრადობა¹. ტელედიქტორთა და ტელეჟურნალისტთა ერთი ნაწილი ბგერისთვის საჭირო არტიკულაციურ ქმედებას აშკარად არ ანხორციელებს, ვინაიდან დანაწევრებულ ბგერათა წარმოქმნის უნარი არა აქვს გამომუშავებული ან არ შეუძლია, ვერ ამბობს. ზოგჯერ ეს დისლალიური დარღვევების შედეგია. ამიტომ ტელედიქტორთა კორპუსი დიდის გულმოდგინებით უნდა იქნეს შერჩეული.

ქართულ ორთოეპიას (resp. მართლმეტყველებას) საფუძვლად უდევს: 1. ბგერათა მკაფიობა, რომელიც ხელს უწყობს მკვიდრი საარტიკულაციო ბაზისის შენარჩუნებას, და 2.

¹ Г.С. Ахвледiani, Лингвистические заметки. Уше раз об исторической устойчивости звуков грузинского языка, Известия Академии Наук СССР, серия литературы и языка, т XXX 3, Москва 1971.

მეტყველების ნაკადის რითმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად ლოგიკურ-ემოციური მახვილებისა და ინტონაციის ურთიერთშეთანხმების ქმედებით მიიღწევა.

უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში გაჩნდა პალატალიზებული (resp. დარბილებული) ლ, რომელიც მასობრივად გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. ეს პროცესი მოედო მთიანეთს, გარე და შიდა კახეთს, შიდა ქართლს, გავრცელდა თბილისში და მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას. ამასთან დაკავშირებით 70-იან წლებში მქონდა პატივი მიმემართა ისეთი ცნობილი ლოგოპედებისათვის, როგორც იყვნენ ქალბატონი ტატა უგულავა, თინათინ ფერაძე და ბატონო სანდრო შაიშმელაშვილი. მოგვიანებით მივმართე ლოგოპედთა უფრო ფართო წრეს, რომელთაც თეორიული ფონეტიკის კურსს ვუკითხავდი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში და ვთხოვე სკოლაში, დაწყებით კლასებში შეეჩერებინათ ლ-ს დარბილების პროცესი, მაგრამ შემდგომმა პროცესებმა და ლოგოპედიური სამსახურის სრულმა უგულვებელყოფამ მძიმე შედეგები გამოიღო პროცესი შორს არის წასული, პალატალიზებულ ლ-ს რეალიზაციის სიხშირე დღითიდღე იზრდება. აქ მართო ერთი ბგერის საკითხი არ დგას, პალატალიზაციის პროცესი ძლიერმოქმედი ტენდენციაა, ის არა მართო არბილებს ბგერას — პალატალიზაცია ძირფესვიანად ცვლის სიტყვის ფონეტიკურ ორგანიზაციას, ცვლის ისტორიულად გამომუშავებულ ფონეტიკას, გარდაქმნის სიტყვის სტრუქტურას, ასუსტებს ცალკეულ ბგერებს და ახდენს მათ იოტირებას. იოტირდება სიტყვის ანლაუტი, აუსლაუტი — არა ერთი ბგერა, არამედ რამდენიმე კომპონენტის შემცველი ბგერითი კომპლექსი. ამის მაგალითები მრავლადაა. ქართველურ ენა-კილოებს ისტორიულად თან სდევს ტენდენცია პალატალიზაციისა. ეს არ არის მხოლოდ ბგერის დარბილება; დარბილება პალატალიზაციის ყველაზე მარტივი, პოზიციურად ადვილად მოქმედი პროცესია და ხშირად ხდება. მისი მოქმედების სფერო გაცილებით უფრო ვრცელია და შეიძლება მოიცავს მთლიანად ენა, გამოიწვიოს ფონოლოგიური ღირებულებების ცვლილებები ან მივიღოთ ახალი, სხვა ფონეტიკურ — ფონოლოგიური ორგანიზაციის ენა. გავიხსენოთ, რა როლი ითამაშა თანამედროვე რუსუ-

ლი ენის ჩამოყალიბებაში I, II და III პალატალიზაციის პროცესებმა ისტორიულად.

ენის განვითარების შინაგანი პროცესების შეჩერება ჩვენ არ შეგვიძლია. ეს არის ბუნებრივი განვითარების პროცესი, მაგრამ არის ისეთი ტენდენციები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან ქართული ენის სტრუქტურულ კანონზომიერებას და მათი შეჩერება აუცილებელია. ენის განვითარებაზე ექსტრალინგვისტური პროცესებიც ახდენენ გავლენას. მათი ამოცნობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე საკუთრივ ლინგვისტური პროცესებისა. ექსტრალინგვისტური პროცესები მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ადამიანური ცხოვრების ბიოლოგიურ, სულიერ და სოციალურ სამყაროს.

ისმის კითხვა, ვის ევალება, ან ვის შეუძლია ორთოეპიის კონკრეტული პრობლემის მოგვარება? ვფიქრობთ, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს და ლოგოპედებს.

ლოგოპედიას, როგორც ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების მნიშვნელოვან დარგს, აკად. გ. ახვლედიანმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში. მანვე შემქნა ლოგოპედთა ბრწყინვალე სკოლა, რომლის სათავეებთან იდგნენ მაღალი რანგის სპეციალისტები ქალბატონები ტასო კაიშაური, ტატა უგულავა, თინა ფერაძე, ბატონი სანდრო შაიშმელაშვილი, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. შესაბამისად, ლოგოპედიური სამსახური სკოლებსა და სამედიცინო დაწესებულებებში მაღალ დონეზე იდგა. დღეს ლოგოპედიური სამსახური, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სექტორში, უკიდურესად არის შემცირებული. ლოგოპედიის წინაშე მარტო დისლალიისა და ლოგონევროზის პრობლემები როდი დგას; მხოლოდ ლოგოპედს ხელენიფება სწორი წარმოთქმის ნორმათა დამკვიდრება საარტიკულაციო ბაზისში პროფესიულ დონეზე. აშკარაა, რომ პალატალიზებული ლ დამკვიდრდა იქ, სადაც მას არავითარი პოზიციური საფუძველი არ გააჩნია (ლამაზი, ლურჯი, ლომი...). კოარტიკულაცია, ანუ სიტყვაში შემავალ ბგერათა თანაარტიკულაცია, თანდათან შეუცვლის ლოკალიზაციის ადგილს კონტაქტურ და დისტანციურ მეზობლობაში მყოფ სხვა ბგერებს, რაც საგრძნობლად დააზარალებს ქართული საარტიკულაციო ბაზისის საფუძველებს, რომელიც ბგერათა წარმოთქმის მკაფიობას ემყარება.

ისტორიულად ქართულ ბგერათა წარმოთქმის „კონსერვატიულ“ ხასიათს გ. ახვლედიანი წარმოთქმის მკაფიობასა და აბრუპტივებისა და ასპირატების (resp. ფშვინვიერების) თანაზომიერ განაწილებაში ხედავდა. ამდენად, დღესდღეობით ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია ევროპული ენებიდან ყრუ ხშულთა სწორი გადმოტანა ქართულში.

ქართულში დამკვიდრდა ინგლისური გვარ-სახელების და სხვა ნახესხები ლექსიკური ერთეულების (მხედველობაში მაქვს პოლიტიკურ, იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ტერმინოლოგია) ყრუ ხშულთა გადმოტანა ქართული ყრუ ფშვინვიერით (resp. ასპირატით). საინფორმაციო საშუალებებმა — რადიომ, ტელევიზიომ, პრესამ, ეს ტენდენცია თითქმის დაამკვიდრა. იმავეს აკეთებენ ქართული ლიტერატურის მესვეურნი, განსაკუთრებით მთარგმნელთა ერთი ნაწილი.

დავინწყოთ იქიდან, რომ ევროპული ენებიდან ყრუ ხშულების გადმოტანას ყრუ ფშვინვიერებით ქართულში არ გააჩნია არავითარი მეცნიერული საფუძველი. არც ერთ ევროპულ ენაში და მათ შორის არც ინგლისურში ფშვინვიერების თვალსაზრისით ისეთი ხშული ასპირატი, როგორც ქართულში გვაქვს, არ არის. ინგლისურში, ისევე როგორც ამ ქვეყნუფის სხვა ენებში, ყრუ ხშულები პრერუპტივებია და რა ასპირატები. პრერუპტივებში კი ასპირაციის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს ქართულ ასპირატს აქვს. ასპირაციის ხარისხი ევროპულ ყრუ ხშულში სხვადასხვაა, ინგლისური ენის პრერუპტივებს შეიძლება მეტი აქვს ფშვინვა, ვიდრე ეს რომელიმე რომანულ ამ სლავურ ენაშია, მაგრამ ეს მაინც პრერუპტივია და არა ასპირატი; ამიტომ მისი გადმოტანა ქართულში ასპირატად უმართებულოა, ანუ პირდაპირ უნდა ვთქვათ: ინგლისურ p-t-k-ს ფიზიკურ-აკუსტიკური თვალსაზრისით არ შეესაბამება ქართული ფ-თ-ქ. ქართული ყრუ ფშვინვიერები (ფ-თ-ქ) ძლიერი ასპირაციის მქონენი არიან; ნაკლები ასპირაციის შემცველია ინგლისური, უფრო ნაკლებისა — გერმანული და რუსული ყრუ ხშულები, რომლებიც პრერუპტივებია და არა ასპირატები. ეს რაც ეხება ცალკეული ბგერის ფიზიკურ-აკუსტიკურ თვისებებს. მაგრამ არსებობს სხვა მოვლენაც, რაც განსაზღვრავს ქართული სიტყვის აგებულებას, მის სტრუქტურას — ფონემათა დისტრიბუციის კანონზომიერებანი, საუკუნეებით გამომუ-

შავებული ფონოტაქტიკა, რომელმაც გამოიმუშავა ფონემათა შეერთების წესები და ჩამოაყალიბა სტრუქტურული კანონზომიერებანი. ბგერათა არანჟირება გარკვეულ შეთავსება-შეთავსებლობის პრინციპით ხორციელდება. ამ ენაზე მოლაპარაკენი ამას ქვეცნობიერად ანხორციელებენ, ამიტომაც არ გვქონია პრობლემები ლექსემათა სესხების და საკუთარი სახელების გადმოტანის დროს ქართულში.

ძალზე მნიშვნელოვანია ასპირატთა და აბრუპტივთა სწორი ბალანსირება. არ უნდა ვამბობდეთ და ვწერდეთ: თეთჩერი, ქეთფორდი, ქითსი, თუთანხამონი, ამენხოთეფ IV, ნეფერთითი, ჰითი. ყველაფერს ამას გვთავაზობს ქართული პრესა და ტელევიზია. ბელეტრისტიკასა და სამეცნიერო შრომებში ეს უკვე აისახა: დიდი ინგლისელი პოეტი კიტსი — „ქითსის“ სახით მოგვევლინა, ეგვიპტის ჭაბუკი ფარაონი ტუტანხამონი — „თუთანხამონის“ სახით, მისი წინამორბედი ეხნატონი (resp. ამეხოტებ IV) — ამენხოთეფ IV სახით, ეგვიპტის მშვენიერი დედოფალი ნეფერტიტი — „ნეფერთითის“ სახით, ხოლო ჰითი რა არის, ეს არც მე ვიცი.

არის შემთხვევები, როდესაც პრერუპტივი გადმოსულია ყრუ-ფშვინვიერით და თუ ეს ტრადიციით არის დამკვიდრებული და მას უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს — გადასინჯვას არ მოითხოვს, უცვლელად უნდა დარჩეს (არნ. ჩიქობავა).

ტრადიციულ ქართულ მართლწერას ეს ბგერები მკვეთრებით (resp. აბრუპტივებით) გადმოჰქონდა — ეს იყო ნორმა. ამ ნორმის დარღვევას დისბალანსი შეაქვს მკვეთრისა და ფშვინვიერის განაწილებაში, რაც პირველ რიგში ქართულ ბგერათა წარმოთქმის ისტორიულ მკაფიობას შეარყევს. ამ უკანასკნელმა კი საუკუნეების მანძილზე უცვლელად შემოგვინახა ქართული საარტიკულაციო ბაზისი, წინა აზიის ცოცხალ და ამჟამად მკვდარ ენებთან ქათული ენის მჭიდრო კავშირი ისტორიული ფაქტია. ქართულში სპარსულ-არაბულ-თურქული ნასესხობანი უხვად გვაქვს, მაგრამ კვეთრისა და ფშვინვიერის განაწილების სტრუქტურული კანონზომიერება დაცულია, ვინაიდან ქართულ მართლმეტყველებასა და მართლწერაში უცხო ენიდან შემოსული სიტყვების სწორი მოხმარების წესს იცავდნენ. მთავარი ის კი არ არის, ასპირაციის რა ხარისხი აქვს ინგლისურს, გერმანულს ანდა რუსულს, არამედ ის, რომ არ შევქმნათ დისბალანსი ქართულ

ყრუ მკვეთრთა და ყრუ ფშვინვიერთა განაწილებაში, არ დავარღვიოთ ფონემათა დისტრიბუციის სტრუქტურული კანონზომიერება ქართულში, დავიცვათ ფონემათა დისტრიბუციის სტრუქტურული კანონზომიერება ქართულში, დავიცვათ ფონემათა არანჟირების წესები, რომელსაც ქართული ენის ფონოტაქტიკა გვკარნახობს. არა აქვს მნიშვნელობა, როგორ წარმოთქვამენ ყრუ ხშულებს თავიანთ ენებზე იმ ენის წარმომადგენლები, საიდანაც ვსესხულობთ, მთავარია, როგორ შეიგუებს მას ქართული ენა, ექვემდებარება თუ არა მსესხებელი ენის ბგერათშეერთების სტრუქტურულ წესებს და ენაში დამკვიდრებულ ტრადიციას.

და ბოლოს, ჩვენ შეიძლება სწორად წარმოვთქვათ ცალკეული ბგერები, ამავე დროს, უცხო სიტყვათა და გვარ-სახელთა გადმოტანისას დავიცვათ ყრუ ფშვინვიერ და მკვეთრ ხშულთა შეთავსების სინტაგმატური კანონზომიერებანი, მაგრამ მართლმეტყველებისათვის ეს არ კმარა. მთელი ეს ბგერითი ნაკადი უნდა მოექცეს გარკვეულ რითმიკულ-მეთოდოლოგიურ სტრუქტურის ჩარჩოებში, რომლის ორგანიზაციას მრავალი კომპონენტი განსაზღვრავს, სახელდობრ, ბგერის ხანგრძლივობა, ინტენსივობა, მჟღერობა, სიყრუე, ტონი, ტემბრი, ჩქამი, მახვილი — ლინგვისტური და ლოგიკურ-ემოციური. ყველა ამ კომპონენტის კოარტიკულაციური მთლიანობა ხმის მოდულირების სხვადასხვა სურათს იძლევა. საბოლოოდ ვლბებულობთ კონკრეტული ენის რითმიკულ-მეთოდოლოგიური სტრუქტურის მოდელს, რომელიც მხოლოდ ამ ენისათვის არის დამახასიათებელი და შეიცავს ტონის მოდულაციის მრავალფეროვან არსენალს. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ბ-ნი გიორგი ახვლედიანის მიერ მოყოლილი ამბავი: 1928 წელს კემბრიჯში შედგა ლინგვისტთა საერთაშორისო კონგრესი, სადაც ქართველთა მომხსენებელმა, რომელიც რიგიანად ფლობდა ინგლისურის, წაიკითხა მოხსენება ინგლისური ენაზე, ინგლისელებმა აღიქვეს ის, როგორც ქართული ენა, რომელიც ჰგავს ინგლისურს. მიზეზი ამისა იყო უკიდურესად ქართულ-გურული აქცენტუაცია. მაშასადამე, როგორც კი დაირღვა ინგლისური აქცენტუაციის ნორმები, ინგლისელებმა გამონათქვამი მთლიანობაში ვერ გაიგეს; გაიგეს მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა.

ქართულმა თეატრმა და კინომ, რადიომ და ტელევიზიამ დღემდე მოიტანა არა მარტო სალიტერატურო ქართული

ენის რითმიკულ-მეთოდური სტრუქტურა, არამედ კუთხურ მეტყველებათა მრავალფეროვნება, ლოგიკურ-ემოციურ მახვილთა უფაქიზესი ნიუანსები. კინოსა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწენი დიდი სიფაქიზით, ზომიერების გრძნობის დაცვით უდგებოდნენ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ, სხვადასხვა კუთხის მეტყველებაში დამკვიდრებულ ინტონაციურ თავისებურებებს და ყოველგვარი უტრირების გარეშე ახდენდნენ მის რეალიზაციას საჭიროებისას. ეს არ იყო ფორმალური ილუსტრაცია ხმის მოდულირებისა, არამედ აქცენტუაციის საშუალებით გამოხატული ესთეტიკა ქცევისა, მეტყველებისა, შესტისა.

რა ხდება დღეს? რატომ შეირყა ქართული აქცენტუაციის საფუძვლები? ადამიანი ხომ ქვეცნობიერად ფლობს მას და იყენებს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. რატომ ლაპარაკობენ ტელეგადაცემათა დიქტორები, ტელევიზიაში მოწვეული სტუმრები პოლიტიკური მოღვაწენი, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რასაკვირველია ყველა არა, მაგრამ უმეტესობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, არაქართული ინტონაციით?!

ტელედიქტორთა და ტელეჟურნალისტთა ერთი ნაწილი აშკარად არღვევს ქართული საარტიკულაციო ბაზისის საფუძვლებს არა მარტო ბგერათა დაუნაწევრებელი და არასწორი წარმოთქმით, არამედ ქართული ინტონაციური მოდელის სრული უგულებელყოფით და ფრანგულ-ინგლისური ინტონაციური არსენალის არაბუნებრივი გამოყენებით. არც ერთი მათგანი არ ფლობს არც ფრანგულსა და არც ინგლისურ ენას ისე, რომ ამას გავლენა მოეხდინა მათ ქართულ აქცენტუაციაზე. სამწუხაროდ, ყველაფერს ამას ღრმა პროვინციული ელფერი ადევს. უცხო ენების ფლობა კულტურულ ადამიანს არ უშლის ხელს, სწორად იმეტყველოს მშობლიურ ენაზე. არაფერს ვამბობ იმ ტერმინოლოგიურ აღრევაზე, რომელიც ისმის ტელევიზიიდან.

თუ ჩემს სტატიას მოჰყვება შუასაუკუნეობრივი იურიდიული კაზუისტიკით გაჯერებული მტკიცებულებანი „კანონიერებისა“ და უკანონობის“ შესახებ, რასაც ასე უხვად იყენებენ იურისტები დევნილი „Fiat justitia...“, და დავინყებთ თავის მართლებას, ან ერთმანეთზე გადაბრალებას, არაფერი გამოგვივა — ყველანი დამნაშავენი ვართ, ვინაიდან ჩვენი იდუმალი თან-

ხმობით მოხდა ყველაფერი, გაჩუმებაა ის იდუმალი თანხმობა, რომელიც ხელს უწყობს არა მარტო ბოროტებისა და უსამართლობის დამკვიდრებას, ტრადიციების უგულვებლყოფას, არამედ ერის ინტელექტუალურ და ზნეობრივ დეგრადაციას.

მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართებისთვის*

ენა მოიცავს ადამიანის ყოფიერების ყველა სფეროს. ამავდროს კონკრეტული ენა როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი გარკვეულ სოციუმში არსებობს, რომლის ისტორიულ-კულტურულ ერთობას განსაზღვრავს გარკვეულ ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ერთიანობა მოცემულ ბიოსფერაში.

ნებისმიერი ენა ვითარდება ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციის ზეგავლენით: დიფერენციაციისა და უნიფიცირების. უნიფიცირების პროცესს განიცდის როგორც ერთიანი საზოგადო ენა, რომელიც მოქმედებს გარკვეულ სივრცეში და ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, ასევე მისგან უკვე დიფერენცირებული დიალექტი, რომელიც უნიფიცირდება თავის თავში. აქ აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდში ქართული ენა იყო სახელმწიფო, საეკლესიო და სამწერლო ენა ყველა ქართველთათვის. ეს საყოველთაოება განისაზღვრება არა ლინგვისტური გარემოებებით, არამედ ორგანიზებული პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებით. „მხოლოდ ცივილიზაცია აძლევს საშუალებას ენებს განვივრცონ დიდი მოცულობით“ (რენანი), თუ რომელიმე საზოგადო ენა იშლება, კარგავს თავის საყოველთაობის ფუნქციას, ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური კავშირები, რომელიც მას აერთიანებდნენ, დასუსტდნენ (ჟ. ვანდრიესი).

ისმის კითხვა: როგორ განისაზღვროს დამოკიდებულება ზოგადად ენისა და კერძოდ ქართული სალიტერატურო ენის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებასთან. არსებითად ძნელია საზღვრის დადგენა მათ შორის, ვინაიდან ისინი განუწყვეტლივ ურთიერთზემოქმედებენ. მათი ფონეტიკური, მორფოლოგიური და

* პირველად გამოქვეყნდა 2011 წელს: ნ. ქუთელია: „მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართებისთვის“, ლინგვოკულტურული დიებანი II, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გამომცემლობა, ბათუმი, 2011.

სინტაქსური ელემენტები გადადის ერთი მეორეში, ურთიერთშეღწევადაა. მიუხედავად ისტორიული განვითარების სხვადასხვაობისა, მათი ფონოლოგიური და გრამატიკული სტრუქტურის მოდელი ერთიანია. ლექსიკა, გრამატიკული წყობა, ფონემათა ინვენტარი, მათი პარადიგმატიკული მიმართებანი, ფონეტიკური ტენდენციები დღესაც გასაოცარ სიახლოვეს ინარჩუნებენ ერთმანეთთან.

მე არა ერთხელ მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო: ენობრივი პოლიტიკა პროფესიული ლინგვისტიკის სფეროს სცილდება, ვინაიდან მეცნიერების განვითარების პროცესში მეთოდები იცვლება და იცვლება შედეგები. ენათმეცნიერება საბუნებისმეტყველო დარგი არ არის, ის ჰუმანიტარულ სექტორს განეკუთვნება და აქ ყველაფერს მათემატიკური სიზუსტით ვერ განვსაზღვრავთ. ალბათობა ნებისმიერი ჰიპოთეზისა მცირეა, თუმცა სხვა ჰუმანიტარულ დარგებთან შედარებით სიზუსტის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს და არა იმიტომ, რომ მათემატიკურად გამოითვალა, არამედ იმიტომ რომ შეუძლია ერთეულთა სტრუქტურული სისტემატიზაცია ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი და მეოცე საუკუნის დასაწყისი აღინიშნა განსაკუთრებული ინტერესით იბერიულ-კავკასიური ენებისადმი. ამ ენათაგან უძველესი სამწერლო ტრადიციები მხოლოდ ქართულს აქვს. ენათმეცნიერები აღმოჩნდნენ დიდი და გადაუდებელი ამოცანის წინაშე — დროულად აღენუსხათ და შეესწავლათ კავკასიური არეალის არასამწერლო ენები. ამ ენათა რიცხვს განეკუთვნება ერთ-ერთი უძველესი ქართველური ენა ზანური ანუ ლაზურ-მეგრული, რომელსაც აკ. შანიძე კოლხურს უწოდებს, რაც, ვფიქრობ, უფრო ზუსტად ასახავს ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ-ისტორიულ ტრადიციას.

საენათმეცნიერო სივრცეში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ყოველგვარი მეცნიერული და ლოგიკური დასაბუთების გარეშე მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ ენებად გამოცხადდა.

მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხი უშუალოდ უკავშირდება ქართველი ხალხის ისტორიულ და სახელმწიფოებრივ ტრადიციას, ეს უკანასკნელი კი განისაზღვრება იმ ისტორიული პროცესებით, რომელთაც ადგი-

ლი ჰქონდა წინა აზიაში გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიები დაეცემოდა. ამ პროცესების გათვალისწინების გარეშე ჩვენ არსებითად ვერ ჩანვდებით იმას, თუ რატომ გართულდა კომუნიკაცია მათ შორის. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზ-მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა და ასე იყო პირველ ორ საუკუნეში. შემდეგ ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი შეიჭრა შიგ შუაგულში, რასაც მოჰყვა მეგრელებისა და ლაზების დაცემა. ლაზურის შემდგომ დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, არამედ თურქ-ოსმალთა გაბატონებამ წინა აზიაში. კომუნიკაცია მეგრულსა და ლაზურს შორის უკიდურესად გართულდა და მე-20 საუკუნის 20-იან წლებიდან სრულიად შეწყდა.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია ურთიერთობა ქართულ სამწერლო ენასა და მის ენა-კილოებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს — სრულიად აშკარაა მათი ურთიერთქმედება. ამავე დროს აუცილებელია იმ ხელოვნური ბარიერის მოხსნა, რომელიც ხელს უშლის ქართულ მწერლობას დაამკვიდროს სალიტერატურო ენაში ქართველთა ენობრივ არეალში არსებული უმდიდრესი ლექსიკა და მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებანი, ისე როგორც ამას ადგილი ქონდა ისტორიულ ტრადიციაში.

დღეს მე არაფერს ახალს არ ვიტყვი, უბრალოდ ერთხელ კიდევ მინდა შევახსენო საზოგადოებას და კერძოდ საენათმეცნიერო საზოგადოებასაც იმ ლინგვისტური კვლევის შედეგების შესახებ, რომლებსაც აწარმოებდნენ ერთის მხრივ პროფ. ტ. გუდავა და აკად. თ. გამყრელიძე მეგრულის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ თქვენი მონა-მორჩილი ლაზური ფონოლოგიური სტრუქტურის და ფონოტაქტიკის კანონზომიერებათა დადგენის თვალსაზრისით.

თავისი კონცეფცია ლაზურ-მეგრული ენობრივი ერთიანობის შესახებ არნ. ჩიქობავამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა შრომაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“¹.

შემდგომი განვითარება ამ იდეამ ჰპოვა თ. გამყრელიძე გ. მაჭავარიანის შრომაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936, გვ. 205.

ქართველურ ენებში (1965 წ.) ავტორები მიზანშეწონილად მიიჩნევენ კომპარატივისტული თვალსაზრისით ირელევანტურად ჩათვალონ ლაზურსა და მეგრულს შორის არსებული სხვაობები, ვინაიდან „მეგრული და ქანური მათი დამოუკიდებელი ევოლუციის პერიოდში დიდ მატერიალურ და სტრუქტურულ სიახლოვეს ინარჩუნებენ...“

ჩემს მიერ 1986 წელს გამოთქმული ვარაუდი, რომ ლაზურს შეიძლება ენა ვუნოდოთ ეყრდნობოდა მხოლოდ გაგებინების გართულებას მეგრულსა და ლაზურს შორის. ეს იყო შეცდომა, რომელიც მე ვალიარე არაერთგზის.

ერთმანეთს მოცილებული ადამიანების მეტყველება შეიძლება ისე განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, რომ საერთოდ აღარ ესმოდეთ ერთმანეთის. საინტერესოა ე. სეპირის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „დიალექტი ეს არის მხოლოდ ფორმა მეტყველებაში ინდივიდუალური ცვლილებების უნივერსალური ტენდენციის გამოვლენისა, რომელიც მთლიანად კოლექტივის კუთვნილებაა“ (ე. სეპირი. 1931, 5, 123-126).

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფონემათა ინვენტარი, მათი პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებანი, ფონეტიკური ევოლუცია და, რაც ყველაზე არსებითია, ფონოტაქტიკა ერთიანია.

XX საუკუნემ განსაკუთრებული როლი ითამაშა ლინგვისტიკის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების განვითარებაში. სწორედ მან განსაზღვრა ენა როგორც საკუთრივ ლინგვისტიკის ობიექტი თავის სრულ და მრავალმხრივ განზომილებაში.

თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითადი პოსტულატებია:

1. ენა როგორც ენათმეცნიერების ობიექტი;
2. სისტემა და სტრუქტურა, იერარქია და იერარქიული დონეები;
3. იერარქიულ დონეთა ერთეულები, მიმართებანი და პროცედურები.

„ფონემისა“ და „მორფემის“ როგორც აბსტრაქტულ ერთეულთა ახლებურმა გაგებამ საშუალება მისცა ლინგვის-

¹ E. Sapir. Dialekt. Encyclopedia of Social Sciences, New York, 1931, 5. gv. 123-126

ტებს შეესწავლათ ენა სხვადასხვა იერარქიულ დონეზე რეალურად არსებულ სტრუქტურებში, რომლებიც თავის მხრივ აყალიბებენ ენობრივ სისტემას მთლიანობაში. ენობრივი იერარქიის ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხი როგორც ერთი იერარქიის, ისე სხვადასხვა იერარქიულ დონეზე ენათმეცნიერების ძირითად საკითხად იქცა. ასეთმა მიდგომამ გადააქცია ენათმეცნიერება ზუსტ და ობიექტურ მეცნიერებად და, რაც მთავარია, სერიოზული შედეგები გამოიღო ქართველოლოგიაში. 1981 წელს გამოქვეყნდა ტ. გუდავა — თ. გამყრელიძის შრომა „თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში“¹, სადაც პირველად იქნა გამოვლენილი მეგრულში კონსონანტური სისტემის ელემენტთა სინტაგმატურ მიმართებათა კანონზომიერებანი და მათი მოქმედების შედეგები ენობრივი იერარქიის მორფოლოგიურ დონეზე.

2005 წელს ჩემს მიერ წარმოდგენილ მონოგრაფიაში „ლაზური-ფონემატური სტრუქტურა“² განხილული იყო ფონემათა ინვენტარი და მათი პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებანი, ფონოტაქტიკის წესები, და სხვადასხვა სიდიდის ვოკალურ და კონსონანტურ სინტაგმათა გარდაქმნები. აღნიშნული მდგომარეობა საშუალებას მაძლევს შევადარო მეგრული და ლაზური კონსონანტური და ვოკალური სინტაგმატიკის სტრუქტურულ კანონზომიერებათა შედეგები.

მეგრულისა და ლაზურის თანხმოვანთა პარადიგმატული სისტემის სინქრონული შესატყვისობანი რეკონსტრუირებული დიაქრონული ინტერპრეტაციის გათვალისწინებით გვაძლევს სრულ საფუძველს, აღვწეროთ ის ორი ძირითადი ნიშნის მიხედვით: ლოკალური რიგი და სერია³:

¹ ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, თსუ კრებული „აკაკი შანიძეს“, თბ., 1981.

² ნ. ქუთელია, ლაზური ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005. მონოგრაფიაში, კანონიკური ფგუფების სტრუქტურები 1979 წლიდან რეგულარულად იბეჭდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ და Sprachen Eeuropas und Asiens Friedrich-Schiller-Universität, Jena 1985.

³ ყოველი ლოკალური რიგი წარმოადგენს ტრიადას, რომლის ერთეულები ერთმანეთის მიმართ ჰომოგრანულ და ჰომოგენურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ყოველი სერია შეიცავს ერთეულებს, რომლებიც ჰომოგენურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან მყრებობა — სიყრუის თვალსაზრისით.

ლაზური		მეგრული		ქართული
ბ ფ	პ-ბილაბიალური	ბ ფ პ		ბ ფ პ
დ თ	ტ-დენტალური	დ თ ტ		დ თ ტ
ძ ც	წ-წინაალვეოლარული	ძ ც წ		ძ ც წ
ჯ ჩ	ჭ-უკანალვეულარული	ჯ ჩ ჭ		ჯ ჩ ჭ
გ ქ	კ-წინაველარული	გ ქ კ		გ ქ კ
- -	ყ-უკანაველარული	- - ყ(ყ)		- - ყ

სისტემის ელემენტთა რეალიზაცია სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში დასაშვებია.

ყოველი სამეული ფონემათა რეალიზაციის თვალსაზრისით გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს:

ყოველი სამეულის მუდერი და ასპირირებული წევრი გარკვეული სიხშირით იმავე რიგის მკვეთრი ვარიანტის სახით რეალიზდება ლაზურში:

- ბ ფ პ : ბ > პ; ფ > პ
- დ თ ტ : დ > თ; თ > ტ
- ძ ც წ : ძ > წ; ც > წ
- ჯ ჩ ჭ : ჯ > ჭ; ჩ > ჭ
- გ ქ კ : გ > კ; ქ > კ

I და II სერიის წევრთა ჩანაცვლება მკვეთრით მეგრულში არ ხდება.

დეფარანგელიზაცია საერთო-ქართველური მოვლენაა, მაგრამ საერთო ქართველური ენობრივ არეალში ველარული ფონემა /ყ/ სტაბილურია ქართულში; მეგრულში შეზღუდული დისტრიბუციით ფუნქციონირებს, თუმცა სტაბილურად არის წარმოდგენილი ჰარმონიულ კომპლექსთა B სისტემაში. რაც შეეხება ლაზურს, ფაქტიურად ის შენარჩუნებული ქონდა ხოფურს. გარკვეულ პერიოდში ეს ტენდენცია შესუსტდა, ახლა კვლავ გაძლიერდა სოციალური კავშირების და კომუნიკაციის გაძლიერებით.

იდენტურია სპირანტთა პარადიგმატული სისტემა. შეიცავს ხუთ ლოკალურ რიგს და ორ სერიას, ლარინგალური რიგის ფუნქცია შესუსტებულია და დისტრიბუციულად შეზღუდული.

ჰ ფონემა დისტრიბუციულად უკიდურესად არის შეზღუდული ქართულსა, მეგრულსა და ლაზურში. ამ უკანასკნელში ანლაუტის წინა ვოკალურ პოზიციაში რეალიზდება ძირითადად :

ლაზური	მეგრული	ქართული
ჰ — f	ჰ —	ჰ —
ზ — ს	ზ ს	ზ — ს
ჟ — შ	ჟ შ	ჟ — შ
ლ — ხ	ლ ხ	ლ — ხ
— ჰ	— ჰ	— ჰ

საკითხი იმის შესახებ არის თუ არა f ბგერა ფონოლოგიური ღირებულების მქონე ლაზურისთვის, ვფიქრობ, დღეს დავას აღარ უნდა იწვევდეს. აკად. ნ. მარს f ლაზურის ფონემათა სისტემაში შეჰყავს¹. არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ „ჭანურმა ისე ძლიერად განიცადა უცხო ენათა ზეგავლენა, რომ ბგერა ისესხა²... აკად. ს. ჯიქია თვლის, რომ თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში ლაზურისთვის ისტორიულად უცხო თანხმოვანი თითქმის ყველგან დაცულია.³ ძალიან დიდია თურქულიდან და ბერძნულიდან შეთვისებულ იმ ლექსიკურ ერთეულთა რიცხვი, რომელშიც ეს ბგერა მონაწილეობს. f საკუთრივ ლაზურ ლექსიკაშიც რეალიზდება.

სონორთა კლასი ლაზურსა და მეგრულში, ისევე როგორც ქართულში შეიცავს ოთხ ელემენტებს: რ-ლ-მ-ნ. მეგრულში ისევე როგორც ლაზურში სინანტი ლ დაემორჩილა პალატალიზაციის ძლიერ ტენდენციას: რ > ლ, ოღონდ არა ისეთი სიხშირით როგორც ეს ლაზურში ხდება.

პალატალიზაცია საერთო ქართველური მოვლენაა და ისტორიულად ის სხვადასხვა იერარქიულ დონეზე გამოვლინდა.

ზოგადად პალატალიზაცია გულისხმობს ბგერის მეორეულ არტიკულიციას მისი აკუსტიკური დარბილების თვალსაზრისით, მაგრამ პალატილიზაციის პროცესი ისტორიულად ასე ცალსახად არ ვლინდება. მისი მოქმედების სფე-

¹ Март Н.Я. Грамматика, ганского (лазского) языка, СПб, 1910, с. 3-4.

² არნ. ჩიქობავა, ჭანური გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 15.

³ ს. ჯიქია, ტურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, II, თსუ შრომები, 8-9, თბ., 1974.

რო სცილდება ტრადიციულ სქემას და შედეგები შეიძლება გლობალური აღმოჩნდეს ენის სტრუქტურისათვის. ენის ფონემატურ სტრუქტურას, მის ფონოტაქტიკას არსებითად განაპირობებს ისტორიულად მოქმედი ფონეტიკური პროცესები და ე.წ. ფონეტიკური ტენდენციები. ძირითადად ფონეტიკური კანონები წარმართავენ მოცემული ენის ფონოლოგიური მოდელის ჩამოყალიბებას. ამავე დროს ენის სტრუქტურა, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად ყალიბდება ფონეტიკური ევოლუციის პროცესში თვითონვე მოქმედებს ამ ევოლუციის ხასიათზე.

ისტორიულად პალატალიზაციის ტენდენციის წარმოქმნა საერთო-ქართველური ფუძე ენის მონათესავე ენებად დაშლის პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. ფარინგალური რიგის მოშლა ქართულში ჰარმონიულ კომპლექსთა კომპონენტების შორის წარმოქმნილი საურთიერთო პალატალიზაციის მოქმედების შედეგს უნდა მიენერებოდეს. ჩვენი ვარაუდით ამ ტენდენციამ თავი იჩინა A და B სისტემის ჰარმონიულ ჯგუფებში. ამ ჯგუფების არსებობა საერთო-ქართველურ დონეზე დადასტურებულია. ისიც ცხადია, რომ სისტემის ჰარმონიულ ჯგუფთა არაერთგვაროვნება ბაძებს კითხვას მათი პირვანდელი სახის შესახებ. გ. ახვლედიანის მიერ რეკონსტრუირებულ *B₁₁ სისტემის ჯგუფებს, სადაც მეორე კომპონენტებად ნავარაუდევია ფარინგალური ტრიადა, კომპონენტთა შორის არსებული საურთიერთო პალატალიზაციის საფუძველზე უნდა მოეცა ამ სისტემის დღევანდელი სახე. ფარინგანული რიგის გადმოწევა, რის შედეგადაც მივიღეთ ჰეტეროგენურ თანხმოვანთა ჰომორგანული ტრიადა (ლ-ხ-ყ), რომელიც უნდა განიხილებოდეს, როგორც შედეგი კომპონენტთა საურთიერთო პალატალიზაციისა.

სპირანტები ლ-ხ ინარჩუნებენ იგივე ფუნქციიას, რაც მათ წინამორბედ გ-ჳ-ს ჰქონდათ. ლ-ხ-ყ-ს მონაწილეობა B სისტემის ჰარმონიულ ჯგუფებში მათი ფუნქციონალური

იდენტურობის მაჩვენებელია¹ ყ —ს მიმართ, შდრ.ჰ. ფოგ-ტი.²

პალატალიზაციის მოქმედება უფრო მკაფიოდ გამოვ-ლინდა მეგრულში და წარმოქმნა თვისებრივად ახალი ბგერა ლ³. მეგრულის კილოკავებში, რომლებიც პალატალიზაციის ხარისხით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (არნ. ჩიქობავა). ხშირია ლ-რ-ს იოტიზაცია აუსლატის ი-ს წინა პოზიციაში. თანხმოვნის, განსაკუთრებით სონორთა პალატალიზაცია, როგორც ი-ს დაკარგვის კომპენსაცია, ნორმად იქცა.

პალატალიზაციის პროცესმა რთული და მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო ლაზურში. პალატალიზაციის ძლიერ-მა მოქმედებამ არსებითად შეცვალა ლაზური სიტყვის სტრუქტურა და საგრძნობლად დააცილა ის მეგრულს. მეგრულისაგან დიფერენციაციის პროცესში გართულდა ვოკალური სისტემა ლაზურში, გაჩნდა პალატალიზებული ხმოვნები, რომელთაც ფონოლოგიური ღირებულება აქვთ. ცალკეულ თანხმოვნებს და თანხმოვანთკომპლექსებს გაუჩნდათ ტენდენცია იოტიზაციისა. ამან ხელი შეუწყო რთული ვოკალური ჯგუფებისა და უკონსონანტო სიტყვების წარმოქმნას, რასაც ადგილი არ ჰქონდა მეგრულ-ლაზური ერთიანობის პერიოდში და, მითუმეტეს, სავარაუდო არ არის ზანურ-ქართულ ენობრივი ერთიანობის პერიოდოსათვის.

პალატალიზაციის ტენდენციამ მკვეთრად იჩინა თავი ანლაუტისა და აუსლაუტის პოზიციებში, რასაც მოჰყვა ამ უკანასკნელის დიფთონგიზაცია. პალატალიზაციის მოქმედების თვალსაზრისით ათინურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლაზურის კილოკავებს შორის, აქ აღინიშნა წინაველარულ ბგერათა გადაწევა: გ-ქ-კ > ჯ-ჩ-ჭ.

თანხმოვან ფონემათა დისტრიბუციული მიმართებების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ძირეული მორფემის ფონოლოგიური სტრუქტურის საკითხს. თანხმოვანთა კომბინირების თვალსაზრისით ლაზური ძირითადად დესეციური წყო-

¹ Кутелия Н. С. Две системы гармонических согласных в грузинском языке (авторсферат диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1956.

² ფოგტი ჰ. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961, გვ. 14.

³ ს. ჟღენტი. ჭანურ-მეგრული ფონეტიკა, თბ., 1953.

ბის ენაა. იგივე ვითარებაა მეგრულში ტ. გუდავა — თ. გამ-
ყრელიძე თავის გამოკვლევაში ადასტურებენ, რომ თანხმო-
ვანთმომდევრობა მეგრულში მორფემის ფარგლებში მუდამ
დეცესიურია.

დეცესიური მიმდევრობის ჰარმონიული კომპლექსების
არსებობა დადასტურებულია საერთო-ქართველურ დონეზე.
გ. მაჭავარიანი ვარაუდობს, რომ დეცესიური ჰარმონიული
კომპლექსები უნდა მომდინარეობდნენ მონოფონემატური
კონსონანტური ერთეულებისაგან, რომლებიც რაღაც ნიშ-
ნით — გემინაციით, ინტენსიობით, ველარიზაციით, უპირის-
პირდებოდნენ ჩვეულებრივ ანტიერიორულ თანხმოვნებს. ავ-
ტორი იქვე დასძენს, რომ „ეს ჰიპოთეზა არ ეწინააღმდეგება
დებულებას ჰარმონიული დეცესიური კომპლექსების არსე-
ბობის შესახებ გვიანდელ საერთო-ქართველ დონეზე... (მა-
ჭავარიანი 1965, 93-94). ჩემს მიზანს არ შეადგენს ამ ჰიპოთე-
ზის დეტალური ანალიზი, ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ასეთი
კომპლექსების შექმნის ტენდენცია ისტორიული ხანის ქარ-
თველურ დიალექტთა განვითარების გვიანდელ პერიოდშიც
შეინიშნება და დღესაც მოქმედებს ლაზურსა და მეგრულში,
და არა იმიტომ, რომ არსებობენ ანტიერიორული რიგის მონო-
ფონემატური ერთეულები, რომლებიც რაღაც ნიშნით
უპირისპირდებიან ჩვეულებრივ ანტიერიორული რიგის ელე-
მენტებს, არამედ იმიტომ რომ ლაბიო-ველარიზაციის პრინ-
ციპი მეტ-ნაკლებად ვრცელდება ანტიერიორული წარმოების
ყველა ბგერაზე. გარდა ამისა გ. ახვლედიანის დეცესიურ-აქ-
ცესიური ჯგუფების თეორიის თანახმად არსებობს ზოგად
სტრუქტურული წესი, რომელიც გულისხმობს დეცესიური
მიმდევრობის კომპლექსთა შექმნის ტენდენციის არსებობას:
ს-ქართვ.* ჩვენ -; ქართ. ჩვენ-. მეგრ., ჩქი, ჩქ , ლაზ. ჩქინ,
ქჩუნ- ჩქუ-, (არქ. ვინ.), შქუ- (ათინ) „ჩვენ“.

ეს არ ნიშნავს იმას რომ არადეცესიური ჯგუფები ენაში
არ არსებობენ. აქცესიური ჯგუფები ენაში არა თუ არ არსე-
ბობენ, არამედ ზოგჯერ იქმნებიან კიდევ დეცესიური ჯგუ-
ფებისაგან.

ზოგი არადეცესიური ჯგუფი ლაზურში სტაბილური
აღმოჩნდა. ასეთებია A და B სისტემის ასპირირებულ ჰარმო-
ნიულ კომპლექსთა აქცესიური ვარიანტები: ქთ-ქც-ქჩ-ხო-
ხც-ხჩ; ამავე სისტემის ქვეჯგუფები გზ-ქს-ქშ. ყველა ამ

ჯგუფს მიდრეკილება აქვს სუპერაციისაკენ სხვადასხვა გზით:

1. პირველი კომპონენტის გასპირანტება;
2. პირველი ან მეორე კომპონენტის დაკარგვა;
3. სუპერაციის როტაციზმისებრი ფორმა, რომელიც ძირითადად მეგრულში ხორციელდება, გზ. რზ: ორზოლი „საგზალი“.

მეგრულსა და ლაზურში აქცესიური მიმდევრობის სუპერაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ანაპტიკური ხმოვნის წარმოქმნა, რომელიც ფონოლოგიზირებულია:

ს. — ქართვ. კბ - : კბ-ილ: ქართ. კბილი, მეგრ. კვბირი, კიბირი, ლაზ. კიბირი >კიბიი; ს.-ქართვ.* ტბ-: ქართ. ტბა, მეგრ. ტობა//ტობო, ლაზ. ტობა, ტიბა.

ფმ: სა-ქართ.* თ-: ქართ. თმა, მეგრ. თომა, თუმა; ლაზ. თომა, ნთომა.

დისტრიბუციული ანალიზი ცხადყოფს, რომ მეგრულსა და ლაზურში მორფემის ფარგლებში თითოეულ პოზიციაში დასაშვებ თანხმოვან ფონემათა რიგი მკაცრად არის განსაზღვრული: ლაზურსა და მეგრულში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტური ჯგუფი მორფემის ფარგლებში შეიცავს ოთხ ელემენტს. ეს ელემენტი გამოსახულია სიმბოლოებით a-b-c-d.

ა — პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ლაზურში ნაზალური სონანტი მ/ნ, რ, ეს უკანასკნელი შეზღუდულია დისტრიბუციულად და მხოლოდ ორწევრიან კონსონანტურ ჯგუფებში გვაქვს.

ბ — პოზიციაში წარმოდგენილი არიან ანტერიორული რიგის თანხმოვნები: ბფპ, დთტ, ძცწ, ჯჩჭ და ამავე რიგის სიბილანტები: ზ-ს, ყ-შ.

ც — პოზიციაში პოსტერიორული რიგის თანხმოვნები გ-ქ-კ; ღ-ხ-ყ;

მეოთხე d — პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ფონემა ვ.

უფრო დაბალი რიგის სამი და ორწევრიანი კომპლექსები მიიღება **abcd** მიმდევრობიდან ერთი ან ორი წევრის ამოღებით, რიგების აღრევა, დაუშვებელია, ანუ დასაშვებია **abcd, abc, bcd, abd, acd, ab, ac, ad, cd, bd** მიმდევრობით, ასეთი ჯგუფები კანონიკურია ლაზურისათვის. დაუშვებელია

bacd, bac, cad, cba, ba, ca, aa, bb, cc და მისთ. მიმდევრობანი და ამდენად არაკანონიკურია ლაზური ფონოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით.

სონანტი რ მონანილეობს მხოლოდ ორწევრიან ჯგუფებში შეზღუდული დისტრიბუციით. უფრო მაღალი რიგის სამ და ოთხწევრიან კომპლექსებში მისი მონანილება დადასტურებული არ არის, გარდა თითო-ოროლა მაგალითისა, რომელიც მეგრულ ენობრივ არეალთან მჭიდრო კონტაქტით არის პირობადებული; ან უნდა ვივარაუდოთ, რომ უფრო არქაული ფორმებია და განეკუთვნება მეგრულ-ლაზური ენობრივ ერთიანობის პერიოდს.

გამოყვანილი წესის თანახმად ლაზურში დაუშვებელია სონანტი თანხმოვნის მომდევნი პოზიციაში. დებულება არა ერთი ან ორი მაგალითის საფუძველზეა ფორმულირებული. იგვეს ადასტურებს ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის მიერ დადგენილი თანხმოვანთ შეერთების სტრუქტურული წესები მეგრულში. ამ მოდელის მიხედვით კანონიკურია:

a-რ, ნ

b - ბფჰ, დთტ, ძცწ, ჯჩჭ, ზს, ყშ

c - გქკ, ლხყ

d-ვ.

„აკრძალულია ისეთი თანხმოვანთშეერთებანი, რომლებიც გულისხმობენ **a-b-c-d** მიმდევრობაში (და შესაბამისად ყველა უფრო დაბალი რიგის მიმდევრობაში) ერთ-ერთი რიგის გადასმას, ე.ი. დასაშვებია მიმდევრობა **abcd** ან მისი გარდაქმნა ერთ ან ორი წევრის ამოღებით, მაგრამ დაუშვებელია რიგების აღრევა, ერთ-ერთი რიგის გადაადგილებით, **a-b-c-d**, **a-c-d** გვაქვს და ა.შ., მაგრამ გამორიცხულია **a-c-b-d**, **d-c**, **b-a**, **d-c** და მისთ. მიმდევრობანი.¹

კანონიკურია ის რაც შეესატყვისება ფონემათა შეერთების სტრუქტურულ კანონზომიერებას მოცემული ენისათვის. ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ენაში მხოლოდ კანონიკური სტრუქტურის ბგერათკომპლექსები რეალიზდებიან; კანონიკური ჯგუფების გვერდით არის არაკანონიკური ჯგუ-

¹ ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთა კომპლექსები მეგრულში, თსუ კრებული „აკაკი შანიძე, თბილისი, 1981, გვ. 205

ფები, რომლებიც ძირეულ მორფემებში რეალიზდებიან და გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებენ.

ქვემოთ წარმოვადგენ სხვადასხვა სიდიდის კანონიკური ჯგუფთა სისტემებს ძირეული მორფემის ფარგლებში ლაზურსა და მეგრულში.

S₃C S₂C S₁C სტრუქტურის დეცესიური ორნეკრიანი კომპლექსები

ლაზური

მბ მფ მპ	მვ	[ნბ ნფ ნპ]	ნვ-
მღ მთ მტ	მზ მს	ნღ ნთ ნტ	ნზ ნს
მძ მც მწ	მყ მშ	ნძ ნც ნწ	ნჯ ნშ
მგ მქ ნკ	მლ მხ	ნგ ნქ ნკ	ნღ ნხ
მგ მქ ნკ		ნგ ნქ ნკ	ნვ (?) —

მეგრული

რდ რთ რტ	რვ-	ნდ ნთ ნტ	ნვ (?) -
რძ რც რწ	რზ რს	ნძ ნწ ნჭ	ნზ ნს
რჯ რჩ რჭ	რყ რშ	ნჯ ნჩ ნჭ	ნყ ნშ
რგ რქ რკ	რღ რხ	ნგ ნქ ნკ	ნღ ნხ
	რყ ნშ	ნღ ნხ	

CC სტრუქტურის ჰარმონიული კომპლექსები

ლაზური

მეგრული

A სისტემა	B სისტემა	A სისტემა	B სისტემა
ბგ ფქ პკ	ბღ ფხ პყ>პკ; პყ//პკ	ბგ ფქ პკ	ბღ ფხ პყ
დგ თქ ტკ	დღ თხ ტყ>ტკ; ტყ//ტკ	დგ თქ ტკ	დღ თხ ტყ
ძგ ცქ ცკ	ძღ ცხ ცყ>ცკ; ცყ//ცკ	ძგ ცქ ცკ	ძღ ცხ ცყ
ჯგ ჩქ ჭკ	ჯღ ჩხ ჭრ >ჭკ; ჭრ//ჭკ	ჯგ ჩქ ჭკ	ჯღ ჩხ ჭყ

S₃CC, S₆CC, S₉CC სტრუქტურის სამწევრიანი ჯნუფები

ლაზური

მბგ	მფქ	მპკ	მბლ	მფხ	მპყ	მზგ	მზქ//მსკ
მღგ	მთქ	მტკ	მღლ	მთხ	მტყ	მუგ	მუქ//მშკ
მძგ	მცქ	მწკ	მძლ	მცხ	მწყ		
მჯგ	მჩქ	მჭკ	მჯლ	მჩხ	მჩყ		
ნღგ	ნთქ	ნტკ	ნღლ	ნთხ	ნტყ		
ნძგ	ნცქ	ნწკ	ნძლ	ნცხ	ნწყ		
ნჯგ	ნჩქ	ნჭკ	ნჯლ	ნჩხ	ნჩყ		

მეგრული

რღგ	რთქ	რტკ	რღლ	რთხ	რტყ
რძგ	რცქ	რწკ	რძლ	რცხ	რწყ
რჯგ	რჩქ	რჭკ	რჯლ	რჩხ	რჩყ
ნღგ	ნთქ	ნტკ	ნღლ	ნთხ	ნტყ
ნძგ	ნცქ	ნწკ	ნძლ	ნცხ	ნწყ
ნჯგ	ნჩქ	ნჭკ	ნჯლ	ნჩხ	ნჩყ

S₃CC₃ S₆C₆ სტრუქტურის სამწევრიანი ჯგუფები

ლაზური

მბვ	მფვ	მპვ	ნღვ	ნთვ	ნტვ	ნზვ	ნსვ	ნზვ	ნსვ
მღვ	მთვ	მტვ	ნძვ	ნცვ	ნწვ	მჟვ	მშვ	ნჟვ	ნშვ
მძვ	მცვ	მწვ	ნჯვ	ნჩვ	ნჭვ	მღვ	მხვ	ნღვ	ნხვ
მჯვ	მჩვ	მჭვ	ნგვ	ნქვ	ნკვ				
მგვ	მქვ	მკვ							

**S₉CCCვ, S₆CCCვ და S₄CCვ, S₆CCCვ სტრუქტურის
ოთხნევრიანი ჯგუფები**

ლაზური

მბგვ	მფქვ	მპკვ	მბღვ	ფხვ	მპყვ
მდგვ	მთქვ	მტკვ	მდღვ	მთხვ	მტყვ
მძგვ	მცქვ	მწკვ	მძღვ	მცხვ	მწყვ
მჯგვ	მჩქვ	მჭკვ	მჯღვ	მჩხვ	მჭყვ
ნდგვ	ნთქვ	ნტკვ	ნდღვ	ნთხვ	ნტყვ
ნძგვ	ნცქვ	ნწკვ	ნძღვ	ნცხვ	ნცყვ
ნჯგვ	ნჩქვ	ნჭკვ	ნჯღვ	ნჩხვ	ნჭყვ
		მზგვ	მსქვ//მსკთ		
		მჟგვ	მშქვ//მშკვ		

მეგრული

რდგვ	რთქვ	რტკვ	რდღვ	რთხვ	რტყვ
რძგვ	რცქვ	რწკვ	რძღვ	რცხვ	რცყვ
რჯგვ	რჩქვ	რჭყ	რჯღვ	რჩხვ	რჭყვ
ნდგვ	ნთქვ	ნტკვ	ნდღვ	ნთხვ	ნტყვ
ნძგვ	ნცქვ	1ნწკმ	ნძღვ	ნცხვ	ნწყვ
ნჯგვ	ნჩქვ	ნჯკვ	ნჯღვ	ნჩხვ	ნჭყვ

მცდელობა წარმოადგინო მეგრული და ლაზური სხვადასხვა ენებად მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს — არ არსებობს მეცნიერული არგუმენტი, ისევე როგორც არ არსებობს არავითარი საფუძველი შეუქმნან ლაზებს ლათინურ ანბანზე დაფუძნებული დამწერლობა. ამას მოწმობს ისტორიული ტრადიცია, რომელიც დღემდე ცოცხალია.

THE RELATION BETWEEN MEGRELIAN AND LAZ

SUMMARY

Disintegration of the Common Kartvelian Language gave rise to appearing of language units that later acquired the form of historically testified Kartvelian dialects^ Georgian, Coech, Svan. At the earlier stage of disintegration of the Kartvelian Languages according to H. Deeters Svan was distinguished as an independent unity contrary to Georgian-Colch language unity. At a later stage Georgian and Colch (Laz-Megrelian) were distinguished.

Disintegration of Colch (resp. Megrelian-Laz) language unity was caused by cultural and historical factors. At the beginning of new era Kartvelian tribes – Lazs and Megrels according to historical traditions were known as Colch, maintained territorial integrity, transgression of which supposedly belong to VI-VIII centuries (I.A. Javakhishvili). Later development of historical events brought them to complete isolation.

In spite of isolation from the areal of other Kartvelian language units Laz maintained surprising similarity to them as regards phonemic inventory and their paradigmatic and syntagmatic relations.

The analyzed material showed the main structural peculiarity^ Laz and Megrelian as mostly of decessive structure.

Any effort to present Megrelian and Laz as two different languages is devoid of any scientific grounds.

There is not any basis either to make a written language for the Laz grounded on the Latin alphabet – it is proved by historical traditions that are still alive today.

ЕЩЁ РАЗ, ОБ ИЗДРЕВЛЕ УСТОЯВШИХСЯ, ГАРМОНИЧЕСКИХ КОМПЛЕКСАХ СОГЛАСНЫХ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Имея в виду, что историческая справедливость не всегда торжествует, желание каверкать ее и тем самым фальсифицировать результаты научных достижений, я взялась за труд огородить будущих ученых языковедов от хитроумного умысла одной неудачной попытки, а именно отстранить имя акад. Г.С. Ахвледиани от собственного же научного достижения, и приписать это другому. Задача моя деликатная, но необходима, ибо имеет единственную цель – остановить ложь, не дать ей возможность укорениться в сознании молодого поколения учённых.

Несмотря на очевидную важность научных достижений акад. Г.С. Ахвледиани для современной науки, они, до настоящего времени, остаются малодоступными широкому кругу ученых на западе и в России, а ведь он один из крупнейших славистов, создатель блестящей школы славистики в Грузии, достаточно пересчитать имена: Д.С. Мгеладзе, Вачнадзе, Н.А. Хидашели, И.К. Мревлишвили, Д.С. Чантуришвили, Е.Л. Кремер, В. Жидко, М. Мулкиджанян, незабвенный Вахтанг Чедиа. Это трудно понять – ведь у академика Ахвледиани были тесные научные связи с крупнейшими представителями русской языковедческой школы, его любили, уважали, к нему приезжали со всех концов советского союза аспиранты, диссертанты, крупные специалисты по иранистике, индологии, санскритологии, славистики и т.д.

Наука о звуках как на западе, так и в России понесла большой ущерб – фундаментальный труд акад. Ахвледиани «Основы общей фонетики», созданный одним из пионеров функциональной фонетики – фонологии оказался недоступным специалистам.

Уже в 20-30-ых годах прошлого века школа акад. Ахвледиани определяет фонему как абстрактную единицу и рассматривает ее как синтез материальной субстанции и функции. Т.С. Ахвледиани формирует правила синтагматичных соотношений, устанавливает системный характер этих

соотношений. Он же и закладывает основы фонотактики – правила сочетаемости фонем.

Новое понятие абстрактной единицы языка – «фонема» позволили акад. Г.С. Ахвледиани воплотить идею иерархии в реальной структуре организующей звуковую систему языка в целом.

Чуть позже на западе зреет лингвистика XX века. Густав Гийом, ученик Антуана Мейе, читает свои знаменитые лекции – «Принципы теоретической лингвистики», тема: «язык как система систем». Совершенно очевидно, что акад. Ахвледиани рассматривает языковую систему «как обобщающую конструкцию, как систему систем и находит в ней не только связь и соотношение элементов в парадигматических системах и синтагматических построениях, он раскрывает основное свойство динамической системы языка – диахроническую трансформацию языковой системы.

Одной из особенностей консонантизма грузинского языка является наличие в нём гармонических комплексов согласных децессивного порядка.

«Понятие «акцессивных» и «децессивных» комплексов согласных было впервые введено Г.С. Ахвледиани при описании комплексов грузинского языка и мыслится им как общефонетическая закономерность, объясняющая исторические преобразования комплексов в языках разных типов»¹.

На гармонические комплексы согласных первым обратил внимание акад. Н.Я. Марр в своей грамматике грузинского литературного языка и название «гармонические» дано этим комплексам им же.

Как предполагает Г.С. Ахвледиани, Н.Я. Марр имел в виду гомогенность компонентов с точки зрения звонкости – глухости.

Многогранный фонетический опыт и большая лингвистическая эрудиция позволяют Г.С. Ахвледиани – одному из пионеров функциональной фонетики, впервые выявить системный характер гармонических комплексов и сформулировать их в виде двух систем:

¹ Т. В. Гамкрелидзе, Вяз. Вс. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы. Тбилиси, 1984, стр. 145.

Система А				Система В						
ბა	ფქ	ჰჰ	bg	p ^(h) k ^(h)	p'k'	ბჟ	ფხ	ჰჰ	by p ^(h) x	p'q'
ფა	თქ	ჭჰ	bg	p ^(h) k ^(h)	t'k'	ფჟ	თხ	ჭჰ	dy t ^(h) x	t'q'
ძა	ცქ	წჰ	ყგ	ck ^(h)	c'k'	ძჟ	ცხ	წჰ	ჟუ cx	c'q'
ჯა	ჩქ	ჭჰ	ჭგ	čk ^(h)	č'k'	ჯჟ	ჩხ	ჭჰ	ჭგ čx	č'q'

Система реконструированна на общекартвельском уровне. Исходная общекартвельская система гармонических комплексов сохранилась в колхском (resp. лазско-ментрельском) полностью. Общепринятое положение о недопустимости глотализованных (resp. абруптивных) гармонических комплексов системы В в лазском нами отвергается, ибо она сохранилась в хопском наречии. В вицском, архавском и атинском наречиях абруптивные комплексы подверглись диахроническим преобразованиям и заменены комплексами III серии системы А. В результате дальнейшего преобразования явилось полное исчезновение второго компонента абруптивных комплексов системы А в атинском наречии.

«... Исследование систем не уводит нас от рассмотрения языковых фактов, а приводит к их более широкому пониманию и к пониманию того, что системная зависимость двух или большего числа форм представляет собой такой же факт языка, что и существование самих этих форм»¹

Мы можем определить правила фонотактики гармонических комплексов;

1. все фонемы антериорных рядов I, II, III серии смычных сочетаются с фонемами постериорных рядов той же серии:

ბ	ფ	ჰ	b	p ^(h)	p'
ფ	თ	ჭ	d	t ^(h)	t'
ძ	ც	წ	ჯ	c	c'
ჯ	ჩ	ჭ	ჭ	č	č'
ბ	ქ	ჰ	g	k ^(h)	k'
-	-	ყ	-	-	q'

¹ Густав Гийом. Принципы теоретической лингвистики; гл. I системный характер языка. Москва, Прогресс, 1992.

а) В корнях могут сочетаться только гомогенные согласные по признаку звонкий + звонкий. Глухой придыхательный + глухой придыхательный, глухой абруптив (глотализованный) + глухой абруптив;

в) Недопустимы сочетания смычных согласных гетерогенных по признаку звонкости – глухости.

с) в корневой морфеме не сочетаются смычные и спиранты одного локального ряда.

Из ряда вопросов, возникающих в связи и установлением двух систем гармонических смычных Г.С. Ахвледиани особо выделил вопрос о неоднородности комплексов системы В, а именно: первоначально ли это неоднородность. Г.С. Ахвледиани предполагает, что «вторые компоненты комплексов системы В первоначально были однородные: все они были смычные фарингалы, $\gamma'qq'$ но постепенным перерождением стачала γ' , а затем и q , они заменились в комплексах соответствующими заднеязычными спирантами: возможность такой замены была заложена в них, как в спирантоидах. Один только смычный фарингал не перешол в спирант: это q' , который как абруптив, не может спирантизироваться в грузинском языке, ибо обруптивных спирантов грузинский язык не знает¹.

Известно, что шестая триада смычных Т.Н. дефектный ряд (Г.С. Ахвледиани) в современном грузинском языке представлен двумя членами: аспирированный $\mathfrak{z}-q^{[h]}$ и абруптивный $y q'$. В данном случае для нас исходным является не только литературный язык, а живой язык с наречиями и говорами и более мелкими языковыми единицами, без учёта которых мы не сможем судить о языковых процессах².

В большинстве диалектов и в литературном грузинском уже нет фарингального ряда согласных. Сохранился единственный фарингальный согласный $y(q')$, который сегодня сегодня имеет велярную. Фарингальная артикуляция сохранилась только в тех наречиях грузинского (хевсурского,

¹ Г.С. Ахвледиани. Две системы гармонических смычных в грузинском (сб. Памяти академика Льва Владимировича Щербы, 1951, Ленинград стр. 115.

² Л. Блумфилд. Язык. Москва, 1968г. стр. 65

кизихского...), где сохранен глухой придыхательный того же ряда $\mathfrak{z}(q)$; $\mathfrak{z}(q)$ в лазском и мегрельском утерян¹.

Звонкий фарингал Н.Я.Марр внес в теоретический восстановленный ряд. Г.С. Ахвледиани предположил реальное существование звонкого фарингального смычного звука и засвидетельствовал этот звук в речи девочки, которая вместо веляных $g-j-j$ ($g-k^{(h)}-k'$) произносила фарингальные $\mathfrak{z}'-\mathfrak{z}-y^2$.

С. Жгенти убедительно показал, существование звонкого фарингального смычного в сванском³. Он засвидетельствовал их у множества информантов в процессе работы над сванскими текстами (лахамульский, лашхский, балсземойский).

С. Жгенти экспериментально изучил триаду фарингольных смычных в сванском и определил их как спирантоиды из-за их спирантоабразиого начала: «поскольку эти фарингальные содержат наполовину спирантные и наполовину смычные элементы, поэтому больше всего к этим звукам подходит термин Г.С. Ахвледиани спирантоид».

Г.С. Ахвледиани специально исследовал фарингальный ряд в грузинском и счел достоверным его существование в картвельских языках: «Исторически существования этого звука требует троичная система грузинских смычных: в шестой триаде его вставка придаст триаде полный вид.. В историческую эпоху это (фарингальный звонкий), как видим, бесследно исчез в грузинском (resp. картвельских) языках, возможно, что его

¹ См. Г. Рогова. К вопросу о рядах фарингольных взрывных в картвельских языках. Иберинско-Кавказское языкознание т. I. Тбилиси. 1946 стр.1-17 (На грузинском языке).

² Г.С. Ахвледиани. К вопросу о значении логопедии в историческом языковедении. Труды тбилисского института функционально-нервных заболеваний. II, 1945, стр. 235 (На грузинском языке).

³ В современном языкознании высказывается мнение, что существующие в системе пустые клетки не всегда дают основание для восстановления. Действительно, статистический анализ текстов некоторых языков показал, что звонкий заднего ряда часто не функционирует, но эта точка зрения опирается на данные статистического анализа текста в синхронном аспекте и не учитывает исторический аспект развития языка.

заменял ლ (γ) так же, как в современном грузинском ჯ (q^[h]) заменен ბ(x) поскольку გ:ლ = ჯ:ბ¹.

Г. Рогава в результате анализа картвельских языков считал, что ლ-ბ-ყ (γ-х-қ') это рефлексы фарингальных смычных: «В грузинском и заисском языках фарингальный придыхательный дает х и к^[h] – рефлексы, а абрунтив ყ и к' рефлексы.

Рогава разделяет мнение Ахвледиани о существовании полного фарингального ряда в картвельских языках: «... звонкий фарингальный смычный мог замениться на ყ(q') звонкий велярный спирант ლ(γ) того же ряда заменяется на ი и იად, а придыхательный фарингальный заменяется იახ или იაჟ(k).

Значит, рефлексами триады фарингальных смычных в картвельских языках мы должны считать:

ყ > ყ ჯ	ყ'ყ ჯკ'
ჯ > ბ ჯ	ჯ[h] > ხ კ[h]
ლ > ლ ბ	ლ > γ გ

Г. Ахвледиани поставил вопрос о первоначальном виде системы, опираясь на неоднородность вторых компонентов системы гармонических комплексов. Вторым элементом гармонических комплексов первоначальной системы Г. Ахвледиани считал фарингальных ლ'-ჯ-ყ(q-ყ-ყ'). Соответственно система имела такой вид:

სისტემა B					
ბლ'	ფჯ	ჰყ	ბყ	პყ	პ'ყ'
გლ'	თჯ	ტიყ	დყ	ტყ	ტ'ყ'
ძლ'	ცფ	ხყ	ჯყ	ცყ	ც'ყ'
ჯლ'	ჩფ	ჭყ	ჭ	ჭ'ყ'	ჭ'ყ'

Предположение Г. Ахвледиани подтвердили проведенные нами эксперименты. Выяснилось, что компоненты гармонических групп систем А и В не являются механическим соеди-

¹ Т.С. Ахвледиани. Вопросы общей и грузинской фонетики, т. I, Тб., 1938, стр. 133 (на грузинском языке).

нением двух звуков. Эти компоненты являются таким слиянием децессивных комплексов, когда реализуется третий закон звукосоединения Г. Ахвледиани — закон одновременности приступа.

Стремление компонентов к одновременности особенно выявляется в группах системы В, где вторым членом выступают ɥ-b-y ($\gamma-x-q'$). Полная спирантизация у q как абрунтива невозможна.

Можно предположить, что такое преобразование впервые произошло в гармонических комплексах: сильная взаимная палатализация компонентов гармонических комплексов вызвала передвижение второго компонента вперед, а усиление спирантного приступа, естественно, вызвало его полную спирантизацию. Сегодня вторые компоненты гармонических групп системы неоднородны: у x относятся к группе спирантов и входят в двоичную систему, а у q — абрунтив и представлен в троичной системе смычных как единственный член шестой дефектной триады. Так что, объединение этих фонем происходит не по их системной принадлежности, а по тому функциональному единству, которое у них образовалась в силу диахронической трансформации гармонических групп системы В.

Нужно думать, что такое артикуляционное передвижение фарингальных звуков было возможно сначала в гармонических комплексах системы В. После экспериментальных наблюдений стало ясно, что артикуляция компонентов децессивных гармонических комплексов стремится не только к одновременности приступа, но и к максимальному сближению — компоненты обеих систем характеризуются сильной взаимной палатализацией,¹ локализация артикуляционных мест их образования стремится к центру палатума. Такая тенденция особенно характеризует вторые компоненты гармонических комплексов и со временем они превратились в заднеязычные ɥ-b-y у x q.

Итак, можно предположить, что первоначальные гармонические комплексы системы В имели форму:

¹ слияние компонентов происходит и не зря. закон правописания запретил разделять гармонический комплекс во время переноса слова.

ბღ'	ფჳ	ჰყ	bq	pq ^(h)	p'q'
ღღ'	ფჳ	ტყ	dq	tq ^(h)	t'q'
ძღ'	ცჳ	ხყ	ჟq	cq ^(h)	c'q'
ჯღ'	ჩჳ	ჭყ	ჟq	čq ^(h)	č'q'

На следующем этапе развития гармонические комплексы системы В принимают ныне существующую форму:

by	px	p'q'	ბღ	ფხ	ჰყ
dy	tx	t'q'	ღღ	თხ	ტყ
ჟყ	cx	c'q'	ძც	ცხ	ხყ
ჭყ	čx	č'q'	ჯღ	ჩხ	ჭყ

Ныне вторыми компонентами системы В выступает гетерогенная тройка гомоганных согласных:

- ღ [γ] – заднеязычный звонкий спирант;
- ბ [x] - заднеязычный глухой аспирированный спирант;
- ყ [q'] - заднеязычный абрунтивный спирантоид.

Система реконструирована на общекартвельском уровне профессором Г. Мачавариани. Г. Мачавариани полагает, что децессивные гармонические комплексы должны восходить к монофонемным консонантным единицам, которые по какому-либо признаку – геминации, интенсивности, веляризации противопоставлялись «обычным антериорным согласным». Автор присовокупляет там же, «что эта гипотеза не противоречит положению о существовании гармонических децессивных комплексов на позднем общекартвельском уровне: надо полагать, что сегментация гипотетичных геминированных» (resp. сильных, «веляризованных») согласных и создание таким путем гармонических децессивных комплексов имело место еще в эпоху единства картвельского языка на самостоятельные диалектные ареалы». Я не намерена детально анализировать эту гипотезу, однако отметим, что тенденция к образованию таких комплексов отмечается также и на поздних этапах развития

картвельских языков, а в лазском они действуют поныне и не только потому, что существуют монофонематичные единицы антериорного ряда, по каким-либо признакам противостоящие «обычным» элементам антериорного ряда, а потому, что принцип лабио-веляризации в той или иной степени распространяется на все звуки антериорного образования. Г. Мачавариани не случайно заостряет внимание на признаке веляризации. Более того, согласно теории Г. Ахвледиани, существует общеструктурное правило, подразумевающее образование децессивных комплексов как естественных.

Общекартв. * $\check{c}ven$: груз. $\check{c}ven$ мы, мегр. $\check{c}k^{(h)}i$, $\check{c}k^h\grave{a}$, лаз. $\check{c}k^{(h)}in$ (хоп.) $\check{c}k^hun$, (арх., виц.) $\check{s}k^hin$ (атин.).

Материальная субстанция элементов системы подвержена диахронической трансформации, но она не выходит за пределы канонических групп картвельских языков. Формирование системной модели гармонических комплексов А и В подчиняется правилам фонотактики, однако материальная субстанция может подчиняться комбинаторным преобразованиям.

Члены системы трансформируются, однако фонотактическая модель остается стабильной в отношении грузинского (картвельского) языка, что дает нам возможность предположить возникновение гармонических комплексов в эпоху языкового единства картвельских диалектов.

АКАД. А. ЧИКОБАВА О ЛАЗАХ И ЛАЗСКОМ ЯЗЫКЕ В КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКОМ АРЕАЛЕ КАРТВЕЛОВ*

Картвельские языки – грузинский, мегрело-лазский (занский) и сванский – исходят из общего языка-основы, условно именуемого общекартвельским языком. Чем больше углубляемся в историческое прошлое этих языков, тем яснее становится их происхождение из одного языка-основы и это вполне естественно, ибо все племена носители указанных языков являются грузинами, (resp. картелами) созидателями грузинской нации и грузинской культуры.

Распад Общекартвельского языка положил начало возникновения отдельных языковых единиц, которые приобрели в дальнейшем форму исторически засвидетельствованных картвельских языков. На раннем этапе распада Общекартвельского языкового единства сванский, согласно Г. Деетерсу, выделился как самостоятельная единица в противоположность грузино-занскому языковому единству. К более позднему этапу относится выделение грузинского и занского (мегрело-лазского) языков.

К наиболее позднему этапу надо относить распад занской языковой общности и, тем самым, возникновение и обособленное развитие мегрельского и лазского (resp. чанского) диалектов.

Причиной распада занского языкового единства послужили культурно-исторические факторы.

Лазы длительное время находились под политическим и культурным влиянием Византии. Нужно отметить, что основное население юго-западной части Трапезундской Имнерии¹ в

* მოხსენება ნაკითხული იქნა 1998 წლის 22 ოქტომბერს არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმის სხდომაზე, რომელიც „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა. სრული ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 2009 წელს: Н. Кутелия. АКАД. А. ЧИКОБАВА О ЛАЗАХ И ЛАЗСКОМ ЯЗЫКЕ В КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКОМ АРЕАЛЕ КАРТВЕЛОВ, კავკასიოლოგიური ძიებანი №1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

¹ Э. Жордания. Этнический состав населения Понтеа в XIII-XV вв. часть I. Лазы. Byzantinoslavika, 1997. т. 59, ст. 125-139. ego же. Этнический состав населения Понта в XIII-XV вв. и некоторые вопросы топонимики Понта. Част II: Чаны, ст. 71-85

весьма значительной степени было эленизировано и это повлияло на речь лазов, проживавших в регионе Трапизунд-Ризе-Атина, тогда как лазская речь в регионе Вице-Архаве-Хопа в значительно меньшей степени испытала это влияние.

В 1453 году турки-османы взяли Константинополь и Византийская империя пала. Несколько позднее, в июле 1461 г. турецкий флот подступил к Трапезунду. 15 августа того же года султан Мехмед II вступил в город и Империя Великих Комнинов, включавшая в себя административную единицу – фема Великая Лазия, которая начиналась с Атины и доходила до границ Грузии (А. Брайер) прекратила существование. Наступил крутой перелом не только в политической, но и в культурной жизни всех народов Передней Азии, в том числе и лазов. Экспансия тюрков-османов в конечном итоге вызвала денационализацию лазов. Некоторые из лазов выселились в континентальную Грецию и растворились среди греков. Основная же часть лазов, оставшаяся на родной земле, с невероятным упорством сопротивлялась любым попыткам их этнической и языковой ассимиляции, сумела сохранить язык, территориальное единство и, что самое главное, этническую целостность.

Лазы компактными группами проживают в современной Турции. Ныне Турецкий язык для лазского населения является вторым языком, более того, государственным языком. Лазы, говорящие на атинском наречии в течение веков, теснейшим образом общались с грекоязычным населением. Лингвистическое следствие столь тесных межъязычных контактов настолько значительное, что ныне лазы, говорящие на разных наречиях, говорах и подговорах, с трудом понимают атинский, более того, часто и друг друга. С другой стороны, усложнилась коммуникация между лазским и мегрельским. Разница между ними раньше была столь мала, что проблема взаимопонимания никогда не вставала.

Несмотря на полную изоляцию от ареала распространения других картвельских языков, лазский сохраняет удивительное сходство с ними с точки зрения фонемного инвентаря и парадигматических отношений, значительно расходясь в правилах синтагматической сочетаемости.

Структуру языка в значительной степени обуславливает имевшие место в языке фонетические процессы, так называемые фонетические тенденции. Эти тенденции и возникшие на этой основе основные фонетические законы и направляют процесс формирования фонологической модели языка. Взаимодействующие и взаимообуславливающие действия фонетической эволюции и структуры языка определили одновременность процессов дифференциации занской (мегрело-лазской) языковой общности и интеграции мегрельского и лазского как независимых языковых единиц. Чикобава всегда утверждал, что «чанский» и мегрельский два диалекта одного языка, именуемого условно занским; эти два диалекта также близки друг к другу, как гурийский и хевсурский наречия грузинского языка и более близки, «чем лентехский и нижнебалийский диалекты сванского языка»¹.

Акад. Чикобава особо подчеркивает, что при анализе фонетических и грамматических явлений лазского и мегрельского генетическое взаимоотношение и история этих явлений становятся ясными, поскольку опорной базой служит грузинский язык, его диалекты, его история.

Наиболее важной и, я бы сказала, исходной точкой для картвелистики является задача, изложенная Чикобава в следующем суждении: Богатейшее историческое прошлое грузинского языка не может быть объяснено только данными картвельских языков, необходимо выйти за пределы этих языков с одной стороны к языкам абхазско-адыгейской и чечено-дагестанской группы; с другой стороны, он не может обойти вопроса об отношении этих языков к древним языкам Передней Азии. В этой связи особое значение имеют неиндоевропейские языки исторически смежных территорий Ближнего Востока:

шумерский — неиндоевропейский язык древнейших пиктографических и клинописных текстов IV-III тысячелетия до н.э. из Месопотамии;

¹ Арн. Чикобава. Грамматический анализ чанского (лазского) диалекта, Тбилиси, 1936, с. 205.

хаттский-неиндоевропейский язык автохтонного населения северо-восточных областей Малой Азии, известный по отрывкам в составе хеттских клинописных текстов;

эламский – неиндоевропейский язык северо-западной части Ирана;

хурито-урартский – группа неиндоевропейских языков, засвидетельствованная III-I тысячелетиях до н.э. в разных областях Передней Азии – Верхней Месопотамии, Северной Сирии, Малой Азии, Южном Закавказье, северо-западном Иране. Исходя из этого Чикобава выдвинул свой основополагающий тезис: «... исследование прошлого картвельских и других кавказских языков тесно связано с проблемой этих языков»¹. Положения Акад. А. Чикобава о задачах картвелистики было изложено в 1936 году в фундаментальном исследовании о грамматическом строе лазского языка с богатым текстовым материалом. Однако на данном этапе картвелистики работы, учитывающие данные вышеназванных языков Передней Азии, отсутствуют, если не учитывать результаты работ хеттолога акад. Г. Гиоргадзе и тюрколога проф. Ш. Габискирия.

Современный лазский характеризуется сильной дифференциацией. Отмечая это обстоятельство, акад. А. Чикобава совершенно справедливо указывал на необходимость особого изучения лазской речи. Видя столь интенсивный процесс дифференциации лазской речи, акад. Чикобава поставил перед лингвистами неотложную задачу изучить не только хопский, архавский, вицкий, атинский наречия и отдельные говоры, но и речь каждой лазской деревни, ибо, в силу дифференциации коммуникация между ними усложнилась, а иногда и вовсе неосуществима. Хочу особо отметить, что полный разгул фонетических, лексических и в какой-то мере, грамматических процессов, особенно на уровне синтаксических соотношений, ставит под угрозу междиалектные, межговорные коммуникации лазского населения.

¹ Арн. Чикобава, *ibud.* с. 206.

Чтобы сохранить язык, его целостность, а главное, коммуникабельность, надо было осуществить нормативный акт в отношении лазской речи. Стал вопрос о создании книги на лазском, которая была бы доступна всем лазам. инициатором этой идеи был известный тюрколог проф. Отар Гигинеишвили, поддерживал идею акад. Г. Ахвледиани. Задача эта была поручена мне. Руководителем и главным консультантом всех моих работ был акад. Арн. Чикобава. Трудно переоценить роль акад. Арн. Чикобава в деле сохранения культурного наследия и этнического сознания лазов.

В чем конкретно заключалась деятельность акад. Чикобава в этом направлении? Сильная дифференциация лазской речи, полный, осмелюсь сказать, разгул процессов дифференциации на всех иерархических ступенях языка, довели лазскую речь в отдельных регионах до полного непонимания. Перед учеными стояла задача – обуздать разгулявшиеся процессы и направить их в какой-то мере в интеграционное русло, дабы сохранить основную функцию – коммуникацию.

С этой целью была создана первая книга на лазском – «Лазури парамитепе». К тексту был приложен словарь на лазском, мегрельском, грузинском и турецком языках. Турецкие соответствия были выполнены крупнейшим тюркологом акад. С. Джикия. Ему принадлежат уникальные записи атинского наречия лазской речи и исследования в области турецко-лазских языковых контактов. Задача которую поставил Арн. Чикобава была такая: Надо было очистить текст от новождения греческой и турецкой лексики, найти утраченные, исконно лазские слова, восстановить путем сравнительного анализа картвельских языков некоторые лексические основы, существование которых было бесспорным.

Вопрос на каком алфавите будет выполнена первая книга вообще не стоял. Тут проявилась мудрость ученого и гражданская стойкость акад. Чикобава – занский (мегрело-лазский) как один из картвельских языков должен пользоваться своим картвельским алфавитом, который адекватно передает фонемный инвентарь лазской речи.

На западе появилась тенденция навязать лазам латинский алфавит. Этому предшествовала неудачная попытка приспособить лазский к славянской «кириллице», как «исконно» лазскому алфавиту. Я помню случай, когда педагог-лаз из Турции, написав мне письмо по-английски, извинялся по поводу незнания «лазского алфавита» – «кириллицы» и обещал в следующем «исправить» эту ошибку. Хочу отметить, что, по моему глубокому убеждению, данное положение исходит не от лингвистов.

В лингвистических трудах лазская речь представлена латинской транскрипцией, также как любой другой языковой материал, но составлять учебники и словари, издавать журналы на любом другом алфавите, кроме как грузинский алфавит надо расценивать как акт, направленный против истории и культурных традиций лазов.

Ныне лазы, проживающие на своих исконных землях, являются гражданами Турецкой республики. Для них открыты все возможности цивилизованной и культурной жизни. Лазы играют довольно-таки весомую роль в политической и культурной жизни Турции. Турецкий язык является государственным языком лазов, но существует лазский этнос и лазская речь и убересть их от вымирания цивилизованный мир обязан.

NATELA KUTELIA

ARN. CHIKOBAVA ON THE LAZ AND THE PLACE OF THE LANGUAGES IN THE KARTVELIAN WORLD

Summary

Disintegration of the Common Kartvelian languages gave rise to appearing of language units that later acquired the form of historically testified Kartvelian dialects: Georgoan, Colch, Svan. At the earlier stage of disintegration of the Kartvelian languages according to G. Deeters Svan was distinguished as an independent

unity contrary to Gorgian-Colch language unity. At a later stage Georgian and Colch (Laz-Megrelian) were distinguished.

Disintegration of Colch (resp. Megrelian-Laz) language unite was caused by cultural and historical factors. The Laz were under political and cultural of Byzantine for a long period of time. In 1453 the Turks captured Constantinople and Byzantine Empire fell. Later in August 1461 Turkish warriors burst into besieged Trabzon and Great Komnenian Dynasty including of historical Lazica came to an end. There was a sudden change in the character of Turkish dominion. However, Lazs managed to maintain their language territorial integrity and, which is more important, ethnic unity.

In spite of isolation from the areal of other Kartvelian language units Laz maintained surprising similiary to them as regards phonemic inventory paradigmatic relations, but there is considerable difference in the rules of sintagmatic combinability.

აკად. არლონდ. ჩიქობავა ლაზუკისა და ლაზურის შესახებ ქართველთა კულტურულ-ისტორიულ არაალში

ქართველურ ენათა ჯგუფს შეადგენს ქართული, სვანური ზანური ანუ, მეგრულ-ლაზური (კოლხური), რომლებიც საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობენ. რაც უფრო ღრმად მივდივართ ამ ენათა ისტორიულ წარსულში, მით უფრო ცხადი ხდება მათი წარმომავლობა ერთი საერთო ფუძე-ენიდან; ბუნებრივიც არის, ვინაიდან ყველა ამ ენის მატარებელი ტომები ქართველები არიან, ქართველი ერისა და ქართული კულტურის შემქმნელები.

საერთო-ქართველურის დაშლა დაედო საფუძვლად ცალკეული ენობრივი ერთეულების წარმოქმნას და ჩამოყალიბდა ისტორიულად დადასტურებული ქართველური ენები. ადრეულ ეტაპზე დეეტერსის მიხედვით გამოიყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის საპირისპიროდ. გვიანდელ ეტაპზე მოხდა ქართულისა და ზანურის (მეგრულ-ლაზური) როგორც დამოუკიდებელი ენების გამოყოფა. უფრო მოგვიანებით ზანურს გამოეყო მეგრული და ლაზური და დაიწყო მათი დამოუკიდებელი განვითარება. ზანურის დაშლას კულტურულ-ისტორიული ფაქტორი ედო საფუძვლად.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზ-მეგრელებს ისტორიულ ტრადიციაში „კოლხებს“ ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა „ასე იყო, როგორც ჩანს, პირველს ორს საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა, ერთ-ერთ ქართველ ტომთაგანი ან აღმოსავლეთიდან, ან არადა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთმანეთს დაუშორებია...¹

„ლაზურისა და მეგრულის შემდგომ დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, რომლის შედეგადაც მათი ურთიერთქმედება შეწყდა და განვითარება დამოუკიდებელი გზებით წარიმართა; უდიდესი მნიშვნელობისა იყო ენობრივი გარემოცვა, რომელშიც ისინი მოექცნენ“².

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 57

² არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 8-9

„დიდი კრმენების იმპერიის“ (resp. ტრაპიზონის იმპერიის) შექმნამ ეს გავლენა საგრძნობლად შეასუსტა. ახლახან მიმოქცევაში გაჩნდა არაბი, სპარსი და თურქი ქრონიკების წყაროები, სადაც ისინი „დიდი კომნენების იმპერიის ბასილევსებს მოიხსენიებენ, როგორც malik-i Jānit „მეფე ჭანეთისა“. XIII საუკუნის ცნობილი სპარსულენოვანი სელჯუკი ისტორიკოსი იბნ-ბიბი დიდ კომნენს — ტრაპიზონის იმპერატორს მოიხსენებს ორნაირად tẓābzūnī „ტრაპიზონელი“ და janiti „ჭანეთელი“¹.

1453 წელს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერია დაემხო. ცოტა მოგვიანებით, 1461 წლის ივლისში თურქეთის ფლოტი ტრაპიზონს მოადგა, ხოლო 15 აგვისტოს სულთანი მეჰმედ II ქალაქში შევიდა და დიდი კომნენების იმპერიამ, რომლის მფლობელობაშიც შედიოდა ისტორიული ლაზეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, შეწყვიტა არსებობა. ამას მოჰყვა გარდატეხა წინა აზიის ხალხთა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ცხოვრებაშიც. დაიწყო თურქ-ოსმალთა ექსპანსია, რასაც საბოლოო ანგარიშში მოჰყვა ლაზების დენაციონალიზაცია. ლაზების ერთი ნაწილი კონტინენტალურ საბერძნეთში გადასახლდა და მათი ენა ბერძნულმა შთანთქა. ლაზების ძირითადმა ნაწილმა კი, რომელიც მშობლიურ მინა-წყალზე დარჩა შეინარჩუნო ენა და გასაოცარი სიჯიუტით აღუდგა წინ ეთნიკურ და ენობრივ ასიმილაციას.

ლაზები კომპაქტურად მოსახლეობენ ამჟამინდელ თურქეთში. თურქული მათთვის სახელმწიფო ენაა. ასე რომ ლაზურ მოსახლეობაში თავი იჩინა მასიურმა ორენოვნებამ. ათინურ კილოკავზე მოლაპარაკე ლაზების ერთი ნაწილი საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულენოვან მოსახლეობასთან. ასეთი მჭიდრო ენობრივი კონტაქტის ლინგვისტური შედეგი ისე შორს არის წასული, რომ ლაზურის ნებისმიერ კილოკავებზე მოლაპარაკეს ზოგჯერ უჭირს ათინელის გაგება; მათ შორის ენობრივ კომუნიკაციას თანხმოდან ბგერათა გადანევა აფერხებს, რაც ენის

¹ Шукуров Р., Великие Комнины и восток (1204-1461). Санкт-Петербург, 2001, стр. 47-50.

2. Рансимен. Падение Константинополя 1453 году. М. 1983

განვითარების შიდა კანონებით არის გამოწვეული და სხვა ენათა გავლენას არ მიეწერება. თავის მხრივ გართულდა კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის, ადრე მათ შორის სხვაობა ისე მცირე იყო, რომ გაგებინების პრობლემა არასოდეს არ მდგარა. მიუხედავად ასეთი იზოლაციისა ქართველ-ნოვან სამყაროსაგან, ფონემათა ინვენტარისა და პარადიგმატურ მიმართებათა თვალსაზრისით ლაზური დღესაც გასაოცარ სიახლოვეს ინარჩუნებს ქართველურ ენებთან, მაგრამ ამავე დროს განსხვავდება მათგან ფონემათა დისტრიბუციული მიმართებების თვალსაზრისით.

ენის სტრუქტურას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ენაში ისტორიულად მოქმედი ფონეტიკური პროცესები, ე.წ. ფონეტიკური ტენდენციები. სწორედ ეს ტენდენციები და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ფონეტიკური კანონები წარმართავენ ენის ფონოლოგიური მოდელის ფორმირებას. ენის სტრუქტურის და მისი ფონეტიკური ევოლუციის ურთიერთქმედება და ურთიერთგანპირობებულობა დაედო საფუძვლად ზანური ენობრივი ერთიანობის დიფერენციაციასა და იმავდროულად მეგრულისა და ლაზურის დამოუკიდებელ ერთეულებად ინტეგრაციის პროცესს. მიუხედავად ამისა აკად. არნ. ჩიქობავა ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ლაზური და მეგრული ერთი ენის - ზანურის დიალექტებია. ეს ორი დიალექტი ამბობს არნ. ჩიქობავა - ისევე ახლოს არის ერთმანეთთან, როგორც ქართული ენის გურული და ხევსურული კილოები და უფრო ახლოს ვიდრე სვანურის ლენტეხური და ბალსქვემოური დიალექტები. აკად. არნ. ჩიქობავა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართული ენა, მისი დიალექტები, მისი ისტორია გახლავთ ის საფუძველი, საიდანაც ცხადი ხდება ლაზურის და მეგრულის გენეტიკური ერთიანობა და ისტორია.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ამოცანა, რომელიც აკად. არნ. ჩიქობავამ ქართველოლოგიას დააუსახა; ქართველური ენების მდიდარი ისტორია არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქართველური ენების მონაცემებით, საჭიროა გასვლა მის ფარგლების გარეთ. აუცილებელია, ერთის მხრივ აფხაზურ-ადილური და ჩეჩნურ-დაღესტნური ენების მასალათა მოხმობა, მეორეს მხრივ წინა აზიის მკვდარი ენების მონაცემების გათვალისწინება. განსაკუთრებულ მნიშვნე-

ლობას ანიჭებდა აკად. არნ. ჩიქობავა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულად მეზობელი ქვეყნების არაინდოევროპული ენების შესწავლას, სახელდობრ:

შუმერული — IV-III ათასწლეულის არაინდოევროპული ენა. დადასტურებული პიქტოგრაფიული და ლურსმული დამწერლობით შესრულებული ტექსტებში მესოპოტამიიდან.

ხათური — არაინდოევროპული ენა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობისა. დადასტურებული ლურსმული დამწერლობით შესრულებულ ხეთურ ტექსტებში.

ელამური — ლურსმული დამწერლობით შესრულებული არაინდოევროპული ენა, აღმოჩენილი ე.წ. „აქამენიდურ ნარნერებში“.

ხურიტულ-ურარტული — ჯგუფი არაინდოევროპული ენებისა. დადასტურებული III-I ათასწლეულში წინა აზიის სხვადასხვა რეგიონში; ზემო მესოპოტამია, სირიის ჩრდილო ნაწილი, მცირე აზია, სამხრეთ კავკასია და ჩრდილო-დასავლეთ ირანი.

აკად. ჩიქობავას ძირითადი თეზა მდგომარეობს შემდეგში: ქართული და კავკასიური ენების ისტორიის შესწავლა უშუალოდ უკავშირდება ამ ენებს. ქართველოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება აკად. ჩიქობავამ წამოაყენა ჯერ კიდევ 1936 წელს თავის ფუძემდებელ შრომაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქართველოლოგიური კვლევის დღევანდელ ეტაპზე შრომები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ამ ენათა მონაცემებს, არ გაგვაჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხეთოლოგის აკად. გ. გიორგაძისა და თურქოლოგის პროფ. შ. გაბისკირიას გამოკვლევებს.

თანამედროვე ლაზურს ახასიათებს ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია. მიუთითებდა რა ამაზე აკად. ჩიქობავა სრულიად სამართლიანად აყენებდა საკითხს ყოველი ლაზური სოფლის მეტყველების შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მინდა ავლნიშნო, რომ ფონეტიკური, ლექსიკური, გარკვეულ წილად გრამატიკული, განსაკუთრებით სინტაქსურ მიმართებათა პლანში, პროცესების სრულმა განუკითხაობამ ის შედეგი გამოიღო, რომ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ლაზთა შორის კომუნიკაცია ზოგჯერ შეუძლებელიც კია.

იმისათვის, რომ შეგვენარჩუნებინა ენა, მისი მთლიანობა, და რაც მთავარია, კომუნიკაბელობა, უნდა განხორციელებულიყო ნორმატიული აქტი ლაზური მეტყველების მიმართ. დადგა საკითხი შექმნილიყო ნიგნი ლაზურზე, რომელიც გასაგები იქნებოდა ყველა ლაზისათვის. ამ იდეის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ცნობილი თურქოლოგი პროფ. ოთ. გიგინეიშვილი, მას მხარი დაუჭირა აკად. მ. ახვლედიანმა, ნიგნის დაწერა დამევალა მე. ჩემი მუშაობის ხელმძღვანელი და მთავარი კონსულტანტი იყო აკად. არნ. ჩიქობავა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის აკად. ჩიქობავას ლაზური კულტურის და ლაზთა ეთნიკური შეგნების შენარჩუნების საქმეში. ბუნებრივია დაისვას კითხვა რაში გამოიხატებოდა აკად. ჩიქობავას მოღვაწეობა ამ მიმართულებით? მე უკვე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: სრულმა განუკითხაობამ, თავანყვეტილმა ფონეტიკურმა პროცესებმა ენობრივი იერარქიის ყველა საფეხურზე მიიყვანეს სხვადასხვა რეგიონის ლაზთა მეტყველება სრულ გაუგებრობამდე. ენათმეცნიერთა წინაშე იდგა ამოცანა — შეეზღუდათ ის პროცესები და მოექციათ ისინი გარკვეული ინტეგრაციულ სფეროში, რათა შენარჩუნებულიყო მთავარი ფუნქცია — გაგებინება.

ამ მიზნით შეიქმნა პირველი ლაზური ნიგნი „ლაზური პარამითეფე“. ტექსტს ახლავს ლაზურ-მეგრულ-ქართულ-თურქულ ლექსიკონი. თურქული კორპუსი შეადგინა დიდმა თურქოლოგმა აკად. სერგი ჯიქიამ, რომელიც ამავე დროს ზანურის ალიარებული მკვლევარი იყო. მის მიერ ჩანერილი ათინური ეტქსტები უნიკალურია და ასეთად დარჩება ყველა დროის ქართველურ ენათა მკვლევართათვის. მთავარი ამოცანა, რომელიც აკად. ჩიქობავამ დასახა იყო შემდეგი: ტექსტი უნდა განმენდილიყო ჭარბი თურქულ-ბერძნული ლექსიკისგან და მოგვეძებნა საკუთრივ ლაზური სიტყვები; ქართველური ენათა შედარების საფუძველზე აღდგენილი იყო ის ლაზური ძირები, რომელთა არსებობა უდაო იყო. ასე მაგალითად, ტყის აღმნიშვნელი სიტყვა ლაზურში დღეს აღარ არის. შეუძლებელია, რომ ხე-ტყით მდიდარ ლაზებს ტყის აღმნიშვნელი სიტყვა არ ქონოდათ, მითუმეტეს რომ ლაზურში არის გამოთქმა „მტკური ქოთუმე“, რაც ტყის, გარეულ ქათამს ნიშნავს, „მტკური სხული“ „ტყის მსხალი (პანტა

მსხალი) . ლაზ. „მტკა“ სხვა არაფერია, თუ არა საერთო-ქართველური ტყე (შესატყვისებაზე ჯერ კიდევ პროფ. ა. ცაგარელი და აკად. ნ. მარი მიუთითებდნენ).

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ანბანით უნდა გვესარგებლა პირველი ლაზური ნიგნის შექმნისას საერთოდ არ მდგარა. აქ გამოვლინდა აკად. ჩიქობავას სიბრძნე და მოქალაქეობრივი პოზიციის უდრეკელობა. ზანური (მეგრულ-ლაზური), როგორც ერთ-ერთი ქართველური ენა, უნდა სარგებლობდეს თავისი საკუთარი ქართული ანბანით, რომელიც ადეკვატურად გადმოცემს ლაზურ ფონემათა ინვენტარს.

დასავლეთში გაჩნდა ტენდენცია — თავს მოახვიონ ლაზებს ლათინური ანბანი. ამას უსწრებდა უხეირო ცდა მიესადაგებინათ ლაზურისთვის სლაფური „კირილიცა“. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ასეთი შემთხვევა: თურქეთიდან მივიღე ინგლისურ ენაზე დანერილი წერილი ლაზი მასწავლებლისაგან. ის ბოდიშს იხდიდა იმის გამო, რომ არ იცოდა „ლაზური“ ანბანი — „კირილიცა“ და მპირდებოდა, რომ შემდეგ წერილში ამ „შეცდომას“ გამოასწორებდა.

ევროპულ საენათმეცნიერო შრომებში ლაზური მაგალითები წარმოდგენილია ლათინური ტრანსკრიპციით, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა ენის მასალა, მაგრამ სახელმძღვანელო, ლექსიკონი, ყურნალი უნდა გამოდიოდეს ქართული ანბანით. ყველა ცდა ამის უგულვებელყოფისა მიგვიყვანს ლაზების ისტორიის და კულტურული ტრადიციების უარყოფამდე.

დღეს ლაზისტანი თურქეთის რესპუბლიკაში შედის. მათ ცივილიზებული და კულტურული ცხოვრების ყველა პირობა გააჩნიათ. ლაზები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ლაზების სახელმწიფო ენა თურქულია, მაგრამ არსებობს ლაზური ეთნოსი და ლაზური მეტყველება და მათი შენარჩუნება ცივილიზებული სამყაროს ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ანლაუტისა და აუსლაუტის სტრუქტურისათვის¹

თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაცია, რომელიც კურილოვიჩის კონცეფციის თანახმად თავიკიდურ ჯგუფებში მათ დისტრიბუციულ მიმართებებს უნდა ემყარებოდეს, აუცილებლად დასვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი სტრუქტურისაა ანლაუტი¹.

ანლაუტი ორგვარი შეიძლება იყოს: ვოკალური და კონსონანტური. მთელი რიგი ფონეტიკური ტენდენციები ყველაზე მკვეთრად სწორედ ანლაუტის პოზიციაში იჩენენ ხოლმე თავს. ამ მოვლენის ილუსტრირებისათვის არა ნორმატიული, არა სამწერლო ენები გვაძლევენ ყველაზე მდიდარ და სანდო მასალას. როგორც ვოკალური, ისე კონსონანტური. ანლაუტი ძირითადად უნდა განსაზღვრავდეს ფონემათა შემდგომ განაწილებას სიტყვაში, ხოლო, როგორც კურილოვიჩი ამბობს ბოლოკიდურ ჯგუფებში იგი მხოლოდ შედეგია. ამის არა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ქართველური ენის კოლხურ (resp. ზანურ) არეალში². ეს ფონეტიკური ტენდენციები ართულებენ ვოკალურსა და კონსონანტურ ანლაუტს და იგივე ტენდენციები ამარტივებენ სიტყვის ბოლოკიდურ ჯგუფებს.

აკად. გ. ახვლედიანი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ წერს: „ცალკეული სიტყვა არსებობს არა მხოლოდ როგორც სემანტიკური და გრამატიკული ერთეული, არამედ აგრეთვე როგორც ფონეტიკური ერთეული და, განმარტავს:

„ფონეტიკური თავიკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი შემართვა: ასეთია პაუზის მიმყოლი ყოველი ბგერა.

¹ პირველად გამოქვეყნდა 2004 წელს: ნ. ქუთელია „ქრისტიანული ტრადიცია ლაზურ ლექსიკასა და რიტუალში“, „პერსპექტივა“ XXI, VI, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2004.

² Kurylowich J. „Contribution a la théorie de la syllable“ (Bulletin de la „Société Polonaise de Linguistique, 1948: Mlle Eli Fischer – Jörgensen. On the Definition of Phoneme Categories on a Distributional Basis. Acta Linguistica VII. of. 1-2. Copenhagen 1952; პ. ფოგტი ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.

² იხ. ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.

ფონეტიკური ბოლოკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი დამართვა: ასეთია ყოველი ბგერა პაუზის წინ¹.

მაშასადამე, ფონეტიკურ ტრადიციაში ანლაუტი, ანუ როგორც მას უწოდებენ, „აბსოლუტური თავი“ გულისხმობს მხოლოდ თავკიდურ ბგერას. აუსლაუტი ანუ „აბსოლუტური ბოლო“ - სიტყვის ბოლოკიდურ ბგერას. თუ გავითვალისწინებთ ფონემათა სინტაგმატური მიმართებების ბოლო პერიოდის მონაცემებს და სინტაგმათა შეერთების წესებს ტრადიციული ლინგვისტიკის ეს პოსტულატი ვფიქრობ გადასასინჯია.

ცოცხალ მეტყველებაში ადამიანი წარმოთქვამს სიტყვას და არა განცალკევებულ ბგერებს. ჩვეულებრივ, ყოველი სიტყვა წარმოადგენს ბგერათა შეერთებას. სიტყვა, როგორც კოარტიკულიციური ერთეული, ბგერათშეერთების გარკვეულ წესებს ექვემდებარება. მხედველობაში მაქვს გ. ახვლედიანის ბგერათშეერთების სამი წესი, სახელდობრ I და III, თუმცა აქვე მინდა დავსძინო, რომ II — „უმოკლესი გზის“ წესი რეალიზაციის სიხშირით ორივეს უნდა აღემატებოდეს. ეს უნივერსალური წესებია და სინტაგმატურ მიმართებათა კვლევის დროს მათი გაუთვალისწინებლობა სერიოზულ შედეგებს ვერ მოგვცემს. ამავე დროს ყოველი მათგანი სიტყვაში შემავალი ბგერათა კოარტიკულაციის საფუძველია. მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სიტყვა, როგორც კოარტიკულაციის შედეგი, ამ წესით შეერთებულ ბგერათა მექანიკური ჯამია. ყოველ სიტყვას აქვს თავისი განუშეორებელი არტიკულაცია, რომელიც განპირობებულია მასში შემავალ ფონემათა დისტრიბუციით მინიმალურ ოპოზიციათა მქონე კორელაციურ წყვილთა დაპირისპირების დროსაც კი, თუ, რასაკვირველია, არ მოხდა მათი ნეიტრალიზაცია.

მოკლედ რომ ვთქვა, ბგერათშეერთების სამი წესით ხორციელდება კოარტიკულაცია. ამჯერად მინდა შევჩერდე I და III წესზე.

ბგერათშეერთების I წესი, ანუ „საზიარო არტიკულაციის“ წესი, გულისხმობს, რომ კონტაქტურ მიმდევრობაში შე-

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949

იძლება აღმოჩნდეს ორი ან მეტი ისეთი ბგერა, რომელთა არტიკულაცია განხორციელდება ერთხელ, მაგ., სიტყვაში „აა-შენა“ გვექნება ერთი გრძელი ა. არ არსებობს მთქმელი, რომელიც განახორციელებს ორ შემართვას, ორ დაყოვნებას და ორ დამართვას მიუხედავად იმისა, რომ მორფმათა გასაყარზე არიან. მოცემულ შემთხვევაში /აა/ ორი ფლექსიური მორფია ერთნაირი ფონემური გამოხატულებით, რომელიც სეგმენტირებულია როგორც ერთი გრძელი ხმოვანი. მაშასადამე, აბსოლუტური თავი შეიცავს განსხვავებული ფუნქციის მქონე, სხვადასხვა გრამატიკული შინაარსის გამომსახველ ორ ფონემას და შესაბამისად ანლაუტი ორწევრიანია.

ორწევრიანი შეიძლება იყოს კონსონანტური ანლაუტი. საზიარო არტიკულაციის წესით შეერთდება ისეთი ჰომორგანული კონსონანტური ჯგუფები, რომელთა პირველი წევრი ნაზალური სონანტია: მბ-მფ-მპ-ნდ-ნთ-ნტ-ნც-ნძ-ნწ-ნჯ-ნჩ-ნჭ... ყველა ეს კომპლექსი ანლაუტის პოზიციაში ილუსტრირებულია ქართულ ენა-კილოთა ზანურ არეალში.

აუსლაუტიც ორკომპონენტიანი შეიძლება იყოს. ლაზურში ხშირია ორწევრიანი ვოკალური აუსლატი¹.

ლაზურში არის სიტყვები, სადაც ანლაუტიცა და აუსლაუტიც ორწევრიანია. ასე, მაგ., მტიი<მტიილი — „ტილი“. ამ სიტყვაში ანლაუტის პოზიცია რა არსებობს, გვაქვს ანლაუტი და აუსლაუტი და თითოეული მათგანი შეიცავს ორ-ორ კომპონენტს /მტ//ნტ/ და /იი/. ამ გარემოებას ხელი შეუწყო, ერთის მხრივ, მ/ნ ნაზალურ სონანტთა განვითარებამ თანხმოვნის წინა პოზიციაში და, მეორეს მხრივ, რ/ლ სონანტების დაკარგვამ ინტერვოკალურ პოზიციაში; ასევე ყ ფონემის ნულოვანმა რეფლექსმა: **ოუუ<ოყურუ**.

იგივე ვითარება გვაქვს ჰარმონიული კომპლექსების მიმართ, რომელიც ორ სისტემას შეიცავს:

A სისტემა			B სისტემა		
ბგ	ფქ	პკ	ბღ	ფხ	პყ
დგ	თქ	ტკ	დღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

¹ ი.ნ. ქუთელია, დასახელებული შრომა, გვ. 47-80.

ჰარმონიული კომპლექსები, რომელთა არტიკულაცია „ერთჟამიერობის წესს“ ექვემდებარება, სიტყვის არცერთ პოზიციაში არ გაიყოფა, თუმცა შეიცავს ორ კომპონენტს. თავის დროზე ქართული ორთოგრაფიის მესვეურნი გენიალური ინტუიციით კრძალავდნენ მათ გათიშვას სიტყვის გადატანის დროს. გაუგებრობას ინვეეს მხოლოდ ის ტენდენცია, რომელიც დღევანდელ ქართულ ორთოგრაფიაში მკვიდრდება, კერძოდ, ამ კომპლექსთა გათიშვა სიტყვის გადატანისას.

ანლაუტის სტრუქტურა შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს და ის სამწვერიანი გახდეს. ლაზურში ნაზალურ სონანტთა განვითარების გამო ჰარმონიულ კომპლექსთა წინა პოზიციაში სამწვერიანი ანლაუტი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა: ნთხომბუ „თხმელა“, ნტკაბუმს „ტკეპნის“, ნთხა „თხა“ და სხვა მისთ.

ორივე სისტემის ყველა ჰარმონიული კომპლექსი, რომელიც ანლაუტის ან აუსლაუტის პოზიციაში აღმოჩნდება, წარმოქმნის ორწვერიან ანლაუტსა და აუსლაუტს. B სისტემის ერთჟამიერი შემართვა ეჭვს არ ინვეეს მეორე კომპონენტის სპირანტულობის გამო, ხოლო გლოტალიზებული რიგის კომპლექსები (პყ-ტყ-წყ-ჭყ) თავისთავად ხსნიან ამ პრობლემას უბრალო მიზეზი გამო — არ საჭიროებენ ექსპირატორულ ჰაერნაკადს.

A სისტემის მიმართაც იგივე ითქმის — კომპონენტთა ჰომოგენურობა და ერთჟამიერობისაკენ მისწრაფება გადააქცევს მას ორი კომპონენტის შემცველ არტიკულაციურ მთლიანობად, ხოლო ფუნქციონალურად — მონოფონემატურ ერთეულად, როგორც ამას გ. მაჭავარიანი ვარაუდობდა: „...ჰარმონიულია ისეთი ჰომოგენური კონსონანტური ჯგუფები, რომლებსაც აქვთ უნარი, ნებისმიერ სივრცეში დაიკავონ ცალი თანხმონის ადგილი ერთი მორფემის ფარგლებში. ჰარმონიული (კერძოდ, დეცესიური) ჯგუფების ეს თვისება გასაგები გახდება, თუ დავუშვებთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ჯგუფები მიმდინარეობენ მონოფონემატური კონსონანტური ერთეულებისაგან, რომლებიც რაღაც ნიშნით (გემინაცია? ინტენსიობა? ველარიზაცია?) უპირისპირდებოდნენ „ჩვეულებრივ ანტიერიორულ თანხმონებს, ველარული ელემენტის განვითარება უნდა ყოფილიყო ამ ჰიპოთე-

ტურ თანხმობანთა აღნიშნული დისტინქციური ნიშან-თვისების დამოუკიდებელ თანხმობენებად ჩამოყალიბების შედეგი. მიღებული თანხმობენები შეერწყნენ უკვე არსებულ წინაველარულ და უკანაველარულ თანხმობენებს¹.

ეს ჰიპოთეზა არ ეწინააღმდეგება დებულებას ჰარმონიული დეცესიური კომპლექსების არსებობის შესახებ გვიანდელ საერთოქართველურ დონეზე: უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰიპოთეტური „გემინირებული (resp. „ძლიერი, ველარიზებული“) თანხმობენების სეგმენტაციას და ამ გზით ჰარმონიული დეცესიური ჯგუფების ჩამოყალიბებას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში, უფრო ადრე, ვიდრე დაინყებოდა ქართველური ენობრივი არეალის დამოუკიდებელ „დიალექტურ არეალებად“ ჩამოყალიბება.

ჩემი თვალსაზრისით, რომელიც მე ადრეც გამოომიქვამს, ლაბიოველარიზაციის“ კანონის მოქმედების შედეგად უნდა წარმოქმნილიყვნენ A და B სისტემის ჯგუფები ისტორიულად, ვინაიდან კანონი ვრცელდება ანტიერიორული წარმოების ყველა წევრზე, თუ მისი მომდევნო წევრი დიდი მანძილით დაცილებულ დეცესიურ მიმდევრობაში აღმოჩნდება მის მიმართ.

ქართველურ ენა-კილოთაგან ლაზურში შეინიშნება ტენდენცია ვოკალური და კონსონანტური ანლაუტის გართულებისა. ვოკალური ანლაუტი რთულდება პალატალიზაციის, ფარინგალიზაციის და ასპირაციის ხარჯზე. ხმოვნური ანლაუტის პალატალიზაცია ძირითადად ლაზურის ხოფურ კილოკავს ახასიათებს, სპორადულად ვიწურსა და არქაბულშიც შეინიშნება. არქაბულში ძირითადად ასპირირებული ვოკალური ანლაუტი გვაქვს. ათინურისთვის დამახასიათებელია ვოკალური ანლაუტის ფარინგალიზაცია. ყველა ეს პროცესი მიმდინარეობს ყოველგვარი კომბინატორიკის გარეშე, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვოკალური ანლაუტის მიერ მეორეული არტიკულაციის შექმნა არაკომბინატორულია. ფონეტიკურად ფარინგალიზებულ, ასპირირებულ, პალატალიზებულ ფონემათა სეგმენტაცია ხდება. ს. ჟლენტის მიერ გამოყოფილი ფშვინვიერშენართვიანი ხმოვნები¹ ჩვეუ-

¹ ს. ჟლენტი. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1956

ლებრივ ა-ე-ი-ო-უ- სგან სწორედ ამ ნიშნით განსხვავებულ ბგერებად მიიჩნევიან.

About the structure of anlaut and auslaut Summary

According to traditional linguistics in the position of anlaut was meant only the initial sound of the word, but in the position of auslaut the final sound of the word was meant.

According to the first rule of sound cluster in the word ‘ააშენა’ (aašena) we have two-member anlaut consisting of two phonemes and pronounced as one long sound it consists of two inflected morphs having two different grammatical meanings though it is segmented as one long phoneme.

არეალური კონტაქტები და ვოკალური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია კოლხურში (მეგრულ-ლაზურში)*

საერთო ქართველური წინარე ენის დაშლა საფუძვლად დაედო ენობრივი ერთეულების წარმოქმნას, რომელზეც შემდგომში ჩამოყალიბდნენ, როგორც ისტორიულად დადასტურებული ქართველური დიალექტები. ქართველური ენები ისტორიული ხანის ქართველური დიალექტებიდან მიმდინარეობენ, რომელთა შემდგომი დიფერენციაცია საფუძვლად დაედო ლინგვისტთა მიერ ქართველურ ენებად კვალიფიცირებულ ქართულს, კოლხურს (resp. მეგრული-ლაზური) და სვანურს.

ლაზური და მეგრული ერთი ენის კოლხურის (resp. ზაზურის) დიალექტებადაა მიჩნეული. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზ-მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა და ასე იყო პირველ ორ საუკუნეში. შემდეგ ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი შეიჭრა შიგ შუაგულში, რასაც მოჰყვა მეგრელებისა და ლაზების დაცილება და ენობრივ ურთიერთქმედების შესუსტება (ივ. ჯავახიშვილი, 1913, 57). მეგრულისა და ლაზურის შემდგომ დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, არამედ იმ ისტორიულმა პროცესებმა, რომელიც წინა აზიაში თურქ-ოსმალთა გაბატონებას მოჰყვა. კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის შესუსტდა და XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თითქმის შეწყდა. მიუხედავად მეგრულისა და ლაზურის ასეთი იზოლაციისა ფონოლოგიური და გრამატიკული სტრუქტურის მოდელი ერთიანია.

მიუხედავად იზოლაციისა ქართულენოვან სამყაროსაგან ფონემათა ინვენტარისა და პარადიგმატულ მიმართებათა თვალსაზრისით კოლხური (ლაზურ-მეგრული) დღესაც გასაოცარ სიახლოვეს ინარჩუნებს ქართველურ ენებთან.

* პირველად გამოქვეყნდა 2009 წელს: ნ. ქუთელია, არეალური კონტაქტები და ვოკალური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია კოლხურში (მეგრულ-ლაზურში), კავკასიოლოგიური ძიებანი №1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

ამავე დროს განსხვავდება სინტაგმატურ მიმართებათა თავ-
ლსაზრისით.

ნებისმიერი ენის ფონოლოგიურ სტრუქტურას მნიშვნე-
ლოვანწილად განაპირობებს ენაში ისტორიულად მომხდარი
ფონეტიკური პროცესები. ფონეტიკური ტენდენციები და
ე.წ. „ფონეტიკური კანონები“, ფონემათა შეერთების წესები
— ფონოტაქტიკა განაპირობებენ მოცემული ენის ბგერითი
სისტემის ორგანიზაციას და საბოლოოდ აყალიბებენ ენის
ფონოლოგიურ მოდელს. ფონეტიკური და ფონოლოგიურ ას-
პექტების ერთობლივობა და ქრონოლოგიური თანაჟამიერო-
ბა განსაზღვრავენ ენის ფონოლოგიურ სტრუქტურას მთლი-
ანობაში.

ფონეტიკური ევოლუციის და ენის სტრუქტურის ურ-
თიერთმოქმედებამ და ურთიერთგანპირობებულობამ გან-
აზღვრა მეგრულ-ლაზური ენობრივი ერთიანობის დიფე-
რენციაციის და ინტეგრაციის თანაჟამიერი პროცესი და მა-
თი ჩამოყალიბება კოლხურის დიალექტებად.

მეგრულ-ლაზური ფონოლოგიური სტრუქტურა ვი-
თარდება ამ ენის შინაგანი კანონებით და განიხილება ჩემს
პიერ როგორც შედეგი ისტორიულად მოქმედი პალატალიზა-
ციის, დეფარინგულიზაციის, გლოტალიზაციის და სონორი-
ზაციის პროცესების შედეგი. ყველა ეს ტენდენციები სცილ-
დება კომბინატორული ინტერპრეტაციის საზღვრებს და
გლობალურია ენისთვის, ვინაიდან განპირობებულია თავად
ენის სტრუქტურით.

ამ თავითვე მინდა დავადასტურო: სინტაგმატურ მი-
მართებათა კანონიკური ფორმები დადგენილი მეგრულში ტ.
გუდავა-თ. გამყრელიძის მიერ სრულად ემთხვევა ჩემს მიერ
დადგენილ ძირეული მორფემის თანხმოვან ფონემათა დის-
ტრიბუციულ მიმართებებს კონტაქტურ მიმდევრობაში. თან-
ხმოვანთა კომბინირების თვალსაზრისით ლაზურ-მეგრული
ძირეული მორფემის წყობა ძირითადად დეცესიურია, მაგრამ
ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქცესიური მიმდევრობის კომპლექ-
სები ენაში არ რეალიზდება; გვაქვს შემთხვევები, როდესაც
დეცესიური ჯგუფი აქცესიურად გარდაიქმნება.

კონსონანტთა შეთავსების ძირითადი კანონიკური
ჯგუფები განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურებით:

ლაზური

SmCCCv - SnCCCv

SmCC - SnCC

SmCCv - SnCCv

CCCv; SrCC;

SmC; SnC; SmCv; SnCv; CC; CCv

მეგრული

SrCCCv - SnCCCv

SrCC - SnCC

SrCCv - SnCCv

CCCv

SrC; SnC; CC; CCv

ლაზურსა და მეგრულში მორფემის ფარგლებში თითოეულ პოზიციაში დასაშვებ თანხმომავან ფონემათა რიგი მკაცრად არის განსაზღვრული: პირველი **a** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ სონანტები **მ-ნ-რ**: მეორე **ხ** პოზიციაში ანტერიორული რიგის თანხმომენები: **ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ-ზ-ს-ჟ-შ**: მესამე **ც** პოზიციაში პოსტერიორული რიგის თანხმომენები: **გ-ქ-კ, ლ-ხ-ყ**: მეოთხე **d** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ფონემა **ვ**: უფრო დაბალი რიგის სამ- და ორწევრიანი ჯგუფები მიიღება **a-b-c-d** მიმდევრობიდან ერთი ან ორი წევრის ამოღებით. რიგების აღრევა დაუშვებელია¹.

წინამდებარე გამოკვლევა ეხება ლაზური ვოკალური სისტემის დიაქრონიულ ტრანსფორმაციას. ვოკალურმა სისტემამ ლაზურში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც ფონემათა ინვენტარის თვალსაზრისით, ისე მისი პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებათა თვალსაზრისით. ლაზური ვოკალური სისტემა გართულდა ქართულსა და მეგრულთან შედარებით; მარტივი ხმოვნების გვერდით ჩამოყალიბდა პალათილიზებული ხმოვნები, რომლებიც მეორეული წარმოშობისანი არიან. პალათალიზებულ ხმოვნებს პირველად აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება (Март Н., Грамматика чаского (лазского) языка, СПб, 1910) და გრაფიკულად უმლაუტის ნიშნით გამოხატა: **ი̣** **ჟ̣**; უმლაუტის ნიშნით გადმოგვცემს ამ ბგერებს **ი**. ყიფშიძე თავის ჩხალურ ტექსტებში. პალათალიზებულ ხმოვნებს გრაფიკულად უმლაუტის ნიშნით გადმოგვცემს **ჟ**. დიუმეზილი არქაბულ ტექსტებში. ადრე მე ისინი გამოვხატე **მა-მე-მო-მუ** ნიშნით თუმცა ამჟამად გაუმართლებლად მიმაჩნია, ვინაიდან **ა** —

¹ იხ. ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმომავანთ კომპლექსები მეგრულში, თსუ კრებული „აკაკი შანიძე“, თბ., 1981; ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თსუ, თბ., 2005.

დამოუკიდებელი ფონემაა და რიგ შემთხვევებში შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, მაგ. ისეთ ფორმაში როგორცაა **ძუჭოფუ „უყიდა“**. ვოკალური ელემენტები **ა-ჟ-რ-ჭ** ლაზურში ფუნქციონირებენ და ზმნურ პარადიგმებში კორელაციურ ოპოზიციებს ქმნიან:

ა ~ ა

გაძიცინუ (გაეცინა) ~ გაძიცინუ „დასცინა“
გალუ (გავლა, სიარული) ~ გალუ „ჩასვლა“

ო ~ ო

განთხუ „გაჭიმა“ ~ გრთხუ „ჩაარტყა, ჩასცხო“;
გოთუ „შეახვია, შემოახვია“ ~ გრთხუ „დააფარა“;
გოკითხუ „კითხა, გამოკითხა“ ~ გრკითხუ „შეაგინა“;

უ ~ უ

გულუნ „სიარული“ ~ გ უ ლუნ „ჩამოსვლა“;
უზდი „მოუჭირე“ ~ უ უ ზდი „აიღე“

ქართველურ ენათა სიტყვის სტრუქტურა ძირითადად სხვადასხვა სიდიდის კონსონანტური ჯგუფებით განისაზღვრება. ამ მხრივ თანამედროვე ლაზურში განსხვავებული ვითარება გვაქვს — აქ წარმოდგენილია ორ-, სამ-, ოთხ- და ხუთ- ნევრიანი ვოკალური ჯგუფები; წარმოთქმაში გვაქვს უკანოსონანტო ჯგუფებიც, რაც პალატალიზაციის ტენდენციის მოქმედების სრული შეუზღუდაობით აიხსნება.

იოტიზაცია როგორც პალატალიზაციის მოქმედების შედეგი კანონზომიერ ხასიათს ატარებს ლაზურში **რ, ყ** ფონემების მიმართ. იოტიზაციის ტენდენციას დაექვემდებარენ აგრეთვე სხვა ცალკეული ფონემები და ფონემათა ჯგუფები: **ვ, ლ, შ, ჟ, ს, ჯ, რს, მს, ჩხ, ნჩხ...**

ლაზურში ცალკეულ ფონემათა და ფონემათა ჯგუფების იოტიზაციამ რეგულარული ხასიათი მიიღო და წარმოიქმნა რთული ვოკალური ჯგუფები როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ისე მორფემათა გასაყარზე.

ქართულ-ზანური მასალის გაანალიზების შედეგად **შ. ძიძიგურმა** დაადგინა ორნევრიანი ვოკალური ჯგუფების **ABC** რიგები, რომელთა ფონეტიკური სუბსტანცია გარკვე-

ულ კანონზომიერებას ამყლავნებს: A=ლია+ვინრო ხმოვნები; B=ვინრო+ლია, C=თანაბარი ლიაობის მხოვანთა კომბინაციები. ვოკალთა კომბინირების პროცესი ძირეულ მორფემაში და მორფემათა გასაყარზე სრულად არის წარმოდგენილი ჩემს მონოგრაფიაში „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“, 2005. და საჭიროდ არ ჩავთვალე გამემეორებინა.

ლაზურში წარმოიქმნება სამ-, ოთხ-, და ხუთწევრიანი ვოკალურ ჯგუფები. რთულ ვოკალურ ჯგუფებს ქმნიან სრული ხმოვნები ა-ე-ი-ო-უ და ნახევარხმოვნები მ, ჟ. უ იშვიათად რეალიზდება სამწევრიან ვოკალურ ჯგუფებში; სრულიად არ გვხვდება ოთხ-და ხუთწევრიან ჯგუფებში. სამწევრიან ვოკალურ ჯგუფში პირველი (ა) და მესამე (ც) პოზიცია შეიძლება დაიკავოს ნებისმიერმა სრულმა ხმოვანმა, მეორე (ბ) ადგილზე ყოველთვის იქნება მ, იშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს ი.

ოთხწევრიანი ვოკალური ჯგუფი სამწევრიანი ჯგუფის მოდელზეა აგებული, მეოთხე d პოზიცია შეიძლება დაიკავონ ა, ი || მ ე ხმოვნებმა. ოთხი და ხუთწევრიანი ვოკალური ჯგუფები შეიძლება გამარტივდნენ და გარდაიქმნან უფრო დაბალი რიგის ხმოვანთკომპლექსებად ერთი ან ორი წევრის ამოღებით.

ისტორიულად რთული ვოკალური ჯგუფების წარმოქმნა და ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათი სტრუქტურული მოდელის ჩამოყალიბება მორფემის ფარგლებში და მორფემათა გასაყარზე ლაზური ფონოტაქტიკის ურთულესი პრობლემაა. დავუბრუნდეთ ვოკალთა პარადიგმატული სისტემის გართულებას, კერძოდ ახალი ვოკალურ ელემენტთა ა-ჟ-ი-ჟ წარმოქმნას ლაზურში.

ვფიქრობ პალატალიზაციის მოქმედებას მიენერება ლაზურში ვოკალური ინვენტარის შევსება ა-ჟ-ი-ჟ ფონემებით და შესაბამისად ფონოლოგიურ ოპოზიციათა ახალი სტრუქტურების შექმნა სინდაგმატურ მიმართებათა სისტემაში, თუმცა ასევე ისმის კითხვა: შეეხო კი ეს ცვლელები ამ სისტემის არსებით საფუძველს? როდესაც არასამწერლო ენაში ჩნდება ფონეტიკური ტენდენცია, ის ისეთი სისწრაფით და ინტენსივობით ვითარდება, რომ მასშტაბები ყოველ-

გვარ ზღვარს სცილდება და მთლიანად ანგრევს ძირის სტრუქტურას (ფ. ბრუნო, ე. ბურსიე)¹.

არსებობს მოსაზრება, რომ პალატალიზაციის პროცესს, რომელიც ლაზურში ინტენსიურად წარიმართა და შეეხო არა მარტო ცალკეულ ბგერებს, არამედ ბგერათკომპლექსებს, თურქულმა ენამ შეუწყო ხელი. ასეთი ვარაუდი დღევანდელი თვალსაზრისით შეიძლება ბუნებრივად იქი მოგვეჩვენოს, მაგრამ ჯერ უნდა გავცეთ პასუხი კითხვებს: 1. როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ინტერფერენციის პროცესის დინამიკა ტრაპიზონის იმპერიასა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირეთში, სადაც ლაზები (resp. ჭანები) კომპაქტურად იყვნენ განსახლებულნი და მეტყველებდნენ ჭანურად ანუ ლაზურად; 2. როდიდან და რა პირობებში განხორციელდა და ვითარდებოდა ლაზურ-თურქული ენობრივი კონტაქტები; 3. იყო კი ეს კონტაქტები ისეთი მჭიდრო და ხანგრძლივი, რომ მას არსებითი ცვლილებები შეეცანა ენის ფონოლოგიურ სისტემაში, ვინაიდან ფაქტია, რომ გამოიყოფა ახალი, მეორეული წარმოშობის ვოკალები, როგორც პარადიგმატულ მიმართებათა ერთეულები და სხვადასხვა სიდიდის ვოკალური სინტაგმები რეალურად არსებულ სტრუქტურებში, რაც უცხოა როგორც მეგრულისათვის, ისე ქართულისთვის.

ბუნებრივი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ინტენსიურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. აუცილებელია წინა აზიაში თურქ-სელჯუკთა მოგვიანებით კი ოსმალთა ექსპანსიის ისტორიული ფონის გათვალისწინება: როდის მოვიდნენ და დამკვიდრდნენ თურქ-სელჯუკები ლაზთა კომპაქტურად განსახლებულ ტერიტორიაზე?! ეს საკითხი მოითხოვს გეოგრაფიულ-პოლიტიკური და ეთნიკური ნომენკლატურის შესწავლას „დიდი კომინების იმპერიაში“, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არაბი, სპარსი და თურქი ქრონისტების აღწერილობით „ლაზები, ჭანები და სხვა ქართველური ტომები არიან“. „დიდი კომინების იმპერიაში“ არსებული ენობრივი სიტუაციის არაადეკვატური ინტერპრეტაცია ხელს შეუშლის სწორად განისაზღვროს ქართველურ ენა-კილოთა განვითა-

¹ F. Brunot. Histoire de la langue française des origines à 1900 ; Бурсые Э. Основы романского языкознания, М, 1952

რების გზები და ინტერფერენციის პროცესის დინამიკა, რაც თავის მხრივ შეაფერხებს ქართველ ენა-კილოთა ისტორიული განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შედეგების ლინგვისტურ კვალიფიკაციას და სისტემატიზაციას ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე.

ისტორიული ფონი ასეთია: მოგვიანებით ლაზური მეტყველება ვითარდება ტრაპიზონის იმპერიის ფარგლებში XIII-XV სს. ქართველურ ენა-კილოების გარემოცვაში. სელჯუკთა არმიამ ორჯერ (1205-1230) მიიტანა იერიში ტრაპიზონზე, მაგრამ ქალაქი ვერ აიღო. განსაკუთრებულ როლს ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში თამაშობდა ადგილობრივი ქართველური წარმოშობის დიდებულნი და მათი მრავალრიცხოვანი საგვარეულონი.

ბიზანტიელი ავტორი — გეორგი პაქიმერი, თანამედროვეობის ცნობილი ინგლისელი ბიზანტინისტი ენტონი ბრაიერი, XVIII საუკ. თურქი ისტორიკოსები ქათიბ ჩელები და ევლია ჩელები აღნიშნავენ, რომ ტრაპიზონის იმპერიის ძირითად მოსახლეობას ლაზები შეადგენდნენ. ასევე სხვა მუსლიმი ქრონისტები ტრაპიზონს მოიხსენიებენ როგორც „ლაზიკის ქალაქს“. არაბი გეოგრაფი აბუ ალ-ფიდა (1273-1331) ტრაპიზონს უწოდებს „ლაზების დიდ საპორტო ქალაქს“. ე. ბრაიერის აზრით ლაზები XIII საუკუნეში (1204 წ.) მკვიდრად იყვნენ დასახლებულნი ტრაპიზონის იმპერიაში, სადაც ჩამოყალიბდა კიდევ ადმინისტრაციული ერთეული — თემა „დიდი ლაზეთი“, რომელიც იწყებოდა ათინადან და მოდიოდა საქართველოს საზღვრებამდე¹. ბიზანტინისტ რუსტამ შუქუროვს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „დიდი კომინების იმპერიის“ შესწავლაში, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებაში, რომ ტრაპიზონის იმპერიაში „...вторым по численности этносом был картвельский, представленный лазами и чанами, двумя чрезвычайно близкими друг к другу народами населявшими восточную половину империи — возможно, часть Мацуки, области Сирмены, Ризеона, Лазики, а в глубь материка — восток

¹ A. Bryer, Some Notes on the Laz and the Tran. *Vcdi Kartlisa*, Paris 1976: Э. Жордания, Этнический состав населения понта XIII-XV вв. часть 1: Лазы. *Byzantinistika L*, VII, 1996.

Хермианы... Не исключено, что в составе Трапезундской империи были и другие этнические или скорее это этнотерриториальные ополчения. Так, Панарет упоминает «лазские отряды».¹ არანაკლებ საინტერესოა ტრაპიზონის იმპერიის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ არსებული ინფორმაცია ბერძენ და მუსლიმ ქრონიკტებთან. ენტონი ბრაიერის მიხედვით ტრაპიზონის იმპერია დაყოფილი იყო სამხედრო-ადმინისტრაციული ქვეგანყოფილებად — ბანდონეზად (βάνδον). ბანდონები არსებობდნენ იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე: ტრაპიზონი, ტრიკომია, მაცუკა, პალეომაცუკა, გემორა, სირმენა, რიზენა. ეს ის ადგილებია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ლაზებია. იმპერიის მთიანეთი მოფენილი იყო ციხე-სიმაგრეებით, რომელთა მიმართ ქრონიკტები ხმარობდნენ ტოპონიმებს: „ჭანიხი“, „ჯანიკი“, „ჩანიხი“, „ნანიხი“ - ცხადია იქ ჭანთა ანუ ლაზთა ბანდონები იდგნენ. ე. ბრაიერს მიაჩნია, რომ „...оборонительную организацию Трапезундской империи в основном определяли чанские подразделения, благодаря их воинственности. «Они обеспечивали Трапезундскую империю воинами, храбрыми как львы, которые никогда не молились за беглецов». (რ. შუქუროვი, ე. ბრაიერი — დასახელებული შრომები).

ასე რომ ტრაპიზონის იმპერიის ძირითადი, მკვიდრი მოსახლეობა ქართველური ტომებია, დომინირებს ლაზები ანუ ჭანები. რაც შეეხება ბერძნულ მოსახლეობას ისინი კოლონიკტები იყვნენ, რომლებიც მოვიდნენ უკვე მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც ძირითადი მოსახლეობა ქართველთა მოდგმის იყო და მსოფლიოში სახელი ქონდათ განთქმული ლითონის დამუშავების ხელობით და ზღვაოსნობის განვითარებით.

ისტორიული ფონი ასეთია: სულჯუკები არ ყოფილან ლაზეთში და არც ოსმალები დამკვიდრებულან ერთბაშად, ოსმალები ლაზეთში ბევრჯერ შეიჭრნენ და სამხედრო ოპერაციებსაც წარმატებით ანხორციელებდნენ, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდნენ — ლაზები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და ამარცხებდნენ. XVII საუკუნის მიწურულს ლაზეთში გაბა-

¹ P. M. Шукуров, Великие Комнены и восток (1204-1561). Санкт-Петербург, ст. 53, 59.

ტონდა ისლამი, თუმცა სერიოზული პოლიტიკური ბრძოლები მერეც გრძელდებოდა. ლაზი ხალხის ბრძოლას ოსმალეების წინააღმდეგ სათავეში ედგა ჭანიკის ფეოდალური საგვარეულოს თავკაცი „ხვანთქრის რისხვად“ ნოდებუღი ჯანიკლი ალი-ფაშა და მისი შვილი ბატალი-ბეი.

ჯანიკლი (resp. ჭანიკლი) ალი-ფაშა ლაზისტანს განაგებდა 1749-1785 წლებში. მას ემორჩილებოდა ოთხი სანჯაყი (სადროშო) და სამოცი მაზრი. ეს იყო უზარმაზარი ტერიტორია მსოფლიოში განთქმული უძველესი ქალაქებით: ტრაპიზონი, სინოპი, არზრუმი, ამაზია... ჯანიკის (ჭანიკის) ტერიტორიაში შედიოდა კუმჯულაზის რეიდსა და ყიზილერმაკის შესართავთან ახლოს სამსუნის ყურეს შორის მდებარე თემისკირის ქვეყანა¹. ბიზანტინისტი ერეკლე ჟორდანიას წერს: „Трапезунд пал 1461 г., но лазы остались независимыми. Лазистан считался турецкой провинцией, но власть султана здесь была номинальной и распространялась лишь на побережье. Лазы были обращены в ислам примерно после 1580 г., сохраняли свою автономию до 40-ых гг. XIX в. под властью своих бегов, которые управляли своими землями из своих горных крепостей. Персидский историк XVII в. Искандер Мунш в своем произведении – «История Шах-Абаса Великого» рассказывает о дипломатических контактах с разными христианскими государствами и правителями, и отмечает: «Среди этих правителей были и христианские правители: Лазики, Германии, Франции, Англии, Голандии, Португалии и Испании... М. Сейвор комментируя эти сведения, Искандера Мунша, отмечает, что «... посольство лазов, в Сефевидский Иран, свидетельствует о виртуальной автономии лазских правителей в XVII в.

Лазские правители, как видим проводили независимую внешнюю политику и устанавливали дипломатические контакты с другими государствами и прежде всего с теми, которые находились в противоречии с Османской империей».²

¹ დ. ჯანელიძე „ლაზთა ბელადი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1984, გვ. 118

² Э. Жордания. Этнический состав населения Понта В XIII-XV вв. Часть I: Лазы, Byzantinoslavica, LVII, 1987, т. 58.

როგორც უკვე ვთქვი, სელჯუკები ლაზეთში არ ყოფი-
ლან, მოგვიანებით თურქ-ოსმალების სამხედრო გარნიზონე-
ბი შემოვიდნენ ლაზისტანში და იცვლებოდნენ წელიწადში
ორჯერ. ენობრივი კონტაქტები მკვიდრ მოსახლეობასთან
იშვიათი ან სულაც არ იყო. ბილინგვიზმი გვიან, ათათურქის
ხანიდან იწყება. ამ ფონეზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ
ისეთმა გამძლე იერარქიულმა დონემ ენისა, როგორც არის
ფონოლოგიური სისტემა ასეთი ძლიერი სხვაობა მოგვცა
მეგრულთან ვოკალთა სისტემის თვალსაზრისით?!

АРЕАЛЬНЫЕ КОНТАКТЫ И ВОПРОСЫ ДИАХРОНИЧЕСКОЙ ТРАНСФОРМАЦИИ ВОКАЛЬНОЙ СИСТЕМЫ В КОЛХСКОМ (МЕГРЕЛЬСКО-ЛАЗСКОМ) ЯЗЫКЕ

Распад общекартвельского языка положил начало возникновению языковых единиц, которые приобрели в дальнейшем форму исторически засвидетельствованных картвельских диалектов. На раннем этапе распада общекартвельского языкового единства сванский, согласно Г. Деетерсу, выделился как самостоятельная единица, в противоположность грузинско-занскому языковому единству. К более позднему этапу относится выделение грузинского и занского (мегрельско-лазского). К наиболее позднему этапу надо отнести распад занской (гепр. колхской) языковой общности, и тем самым, возникновение и обособленное развитие мегрельского и лазского диалектов. Причиной распада колхского языкового единства послужили культурно-исторические факторы. В начале новой эры картвельские племена – лазы и мегрелы, в исторической традиции именуемые колхами, всё ещё сохраняли территориальную целостность, нарушение которой относится, предположительно, к V-VIII вв. Дальнейшее развитие исторических событий привело к их полной языковой изоляции.

Несмотря на полную изоляцию от ареала распространения других картвельских языковых единиц, лазский сохраняет удивительное сходство с ними с точки зрения фонемного инвентаря и парадигматических отношений, значительно расходясь в правилах синтагматической сочетаемости.

Фонологическую структуру языка во многом определяют фонетические процессы, имеющие место в процессе развития любой языковой единицы. Фонетические тенденции и так называемые «фонетические законы», правила фонетактики сочетаемости фонем определяют фонетическую организацию звуковой системы языка и формируют в конечном итоге фонологическую модель языка. Совокупность и хронологическое единение фонетических и фонологических аспектов определяют фонологическую структуру языка в целом. Фонетическая эволюция и структура языка как взаимодействующие

и взаимообусловленные явления (А. Мартине) определяли одновременность процесса дифференциации мегрельско-лазской языковой общности и интеграции мегрельского и лазского как обособленных диалектов.

Мегрельско-Лазская фонологическая структура развивалась согласно законам внутри языка и рассматривалась нами, в основном, как результат исторически действующих процессов палатализации, дефарингализации, глотализации и соноризации. Все эти тенденции выходят за пределы комбинаторной интерпретации и являются глобальной для языка, ибо обусловлены самой структурой языка.

В начале же хочу заверить: итоги исследования парадигматической системы консонантов, правила фонотактики сочетаемости фонем и определение канонических форм синтагматической сочетаемости компонентов в мегрельском установленные Т. Гамкрелидзе, Т. Гудава (1961 г.) совпадают с итогами моих исследований в лазском – Фонологическая структура консонантов в мегрельском и лазском идентична. Проанализированный материал выявил основную структурную особенность - занская (resp. колхская) корневая морфема преимущественно децессивного строя. Согласно теории Г. Ахвледиани, существует общеструктурное правило, подразумевающее образование децессивных комплексов как естественных. Разумеется это не означает, что в языке не могут существовать акцессивные группы. Акцессивные комплексы в языке имеются, порой даже образуются из децессивных групп.

Основные канонические формы консонантных групп в мегрельском и лазском определяются структурами:

лазский	мегрельский
$S_m CCC_v // S_n CCC_v$	$S_r CCC_v - S_n CCC_v$
$S_m CC // S_n CC$	$S_r CC - S_n CC$
$S_m CC_v // S_n CC_v$	$S_r CC_v - S_n CC_v$
$CCC_v; S_r CC;$	CCC_v
$S_m C; S_n C; S_m C_v; S_n C_v; CC; CC_v$	$S_r C; S_n C; CC; CC_v$

Самой крупной единицей контактной сочетаемости является четырехчленный комплекс. Все иные группы более низкого

разряда складываются из той же последовательности путём изъятия одного или двух членов, причем в колхском (мегрельско-лазском) действует структурное правило, запрещающее смещение рядов¹.

Однако тема моего исследования - лазский вокализм и ее диахроническая трансформация. Вокальная система гласных претерпела наиболее существенные преобразования, что повлекло за собой значительное отдаление от вокализма мегрельского и грузинского, как по составу фонемных единиц, так и по их парадигматической и синтагматической структурам.

Основным источником осложнения системы лазского вокализма был процесс палатализации с ее последствиями: 1. закономерное превращение фонем $g-q' > j$; 2. иотирование отдельных фонем и групп фонем; 3. редукция ауслauta путём иотирования; 4. палатализация вокального анлаута; 5. превращение первичных гласных в палатализованные $\ddot{a}-\ddot{o}-\ddot{e}-\ddot{u}$.

Палатализованные гласные в лазском имеют вторичное происхождение. Физико акустические свойства палатализованного гласного иногда становятся предметом спора среди специалистов. В ряде случаев палатализованный звук воспринимается как механическая сумма его первоначальной артикуляции и действия средней части языка относительно центра паллатума.

Палатализованный звук есть качественно совершенно новый звук, артикуляция которого не сводится к механической сумме первоначальной и палатальной артикуляции. Палатализация, как вторичная артикуляция, меняет и первичные физико-акустические свойства данного звука. Артикуляция любого палатализованного звука в большей или меньшей степени стремится к центру паллатума. Соответственно меняется и первоначальное место произношения звука. Возьмем, к примеру, русские палатализованные согласные звуки. При произношении обычного, непалатализованного Л кончик языка касается зубов, тогда как произнося палатализованный Л', передняя часть языка смыкается с альвеолами. В этом случае

¹ См. Т.Г. Гудава, Т. В. Гамкрелидзе. Комплексы согласных в мегрельском, в сборнике ТСУ «Ахаки Шанидзе», Тбилиси, 1981 (на грузинском языке).

место произношения палатализованного звука довольно значительно удалено от его первоначального артикуляционного центра: Л и Л' различаются между собой как физико-акустическом, так и функциональном отношениях¹.

То же самое можно утверждать и относительно лазских палатализованных гласных. никоим образом нельзя представлять себе дело так, якобы палатализованные гласные лазского являются механической смесью полугласного j и простых гласных. Исторически эти гласные получены в результате непосредственного соседства полугласного с гласными а-э-а-и. Позиционная палатализация со временем превратилась в факт фонологической значимости. В настоящее время палатализованные гласные лазского языка не подлежат расчленению на т.н. составные части, также как нельзя расчленять аффрикты, сложные гласные русского языка (я-е-ё-ю), умляутные гласные в немецком и французские пазальные гласные. Палатализованные гласные в лазском один звук, хотя, конечно и сложный, но все же один, как с точки зрения физической субстанции так и в функциональном отношении.

На существование палатализованных гласных в лазском первым обратил внимание Н.Я. Марр². В таблицах, где Н.Я. Марр представляет лазский алфавит, палатализованные о и и графически изображены со знаком умляута: ö и ü. Со знаком умляута изображает эти звуки и И. Кипшидзе³. Также со знаком умляута изображает палатализованные гласные Ж. Дюмезиль в своих текстах: k'ođi oho-mušiše moxtu-ši iyis na yüč'oru ŧeyere komeŧu⁴. «Человек, вернувшись в свой дом, отдал всем все, что было куплено для них» renjeres k'ama gyüsu. «По окну резанул

¹ См. Шахматов А.К. История звуков русского языка. Сборник отдела русского языка и словесности АН СССР т. XVII №7, 1901, Бондарко А.В. фонетическое описание языка и фонологическое описание речи. Л. 1986 г. 394 исл.

² Марр. Н. Я. Грамматика чанского (лазского) языка. СПб, 1910, 6. 10.

³ Кипшидзе И. А. Дополнительные сведения о чанском языке, СПб, 1911, с. 17.

⁴ Dumezil G. Document Anatolies, IV Recits lazès en dialecte D'arhavi (parler de senkoy), Paris. 1967. ст. 27.

саблей»¹. Эти формы особенно примечательны, ибо в них ü непосредственно следует за у².

В итоге в лазском образовались вокалические элементы ä-ö-ë-ü. Они функционируют в корелятивных оппозициях:

o ~ ä

gaʒiçini «засмеялся» ~ gäʒiçini «надсмехался»;

galu «ходить, идти» ~ gälu «спускаться вниз»;

o ~ ö

gontxu «растянул» ~ göntxu «ударил, треснул»;

gotu «завернул» ~ götu накрыл сверху»;

gok'itxu «спросил, выпрашивал» ~ gök'itxu «выругал»

u ~ ü

gulup «ходит» ~ gügup «спускается»

uzdi! «сожми!» ~ üzdi! «подыми»

Основную отличительную особенность структуры слова картвельских языков составляют консонантные группы, однако современный лазский в этом отношении проявляет своеобразие: в нем представлены вокальные группы, состоящие из двух, трех, четырех и пяти членов; имеются даже безконсонантные группы, слова, в которых нет ни одного согласного. Подобное скопление гласных чуждо для картвельских языков.

Создание сложных вокальных групп в лазском обусловлено в основном сильной тенденцией к палатализации, вызвавшей вокализацию отдельных фонем и комплексов фонем путем их иотизации.

Иотизация носит закономерный характер в случае с фонемами y, q'. Тенденции к иотизации подвержены также отдельные фонемы и группы фонем v, l, č, š, ž, ž rs, ms, čx...

Тенденция к палатализации в атинском диалекте настолько сильна, что в позиции ауслauta происходит иотизация целой группы фонем. В результате произошла редукция

¹ Dumézil там же, ст. 57/36

² Полугласный иота (j) у G. Dumézil обозначается графемой y.

ауслაუთა¹ путем иотизации, способствовавшая со своей стороны дифтонгизации ауслაუთა. Иотизация отдельных фонем и групп фонем в лазском приняла регулярный характер и возникли сложные вокальные группы, как в пределах одной морфемы, также и на стыке морфем.

В результате анализа грузино-занского (колхского) материала Ш. Дзидзигური установил три класса соединений двучленных вокальных групп А, В, С, проявляющих определенную фонетическую закономерность: в классе А представлена последовательность гласных «открытый + закрытый»: в классе В – последовательность «закрытый + открытый», а в классе С – сочетаются гласные одинакового раствора². Установленная Ш. Дзидзигური модель двучленных вокальных групп, полностью соответствует структуре двучленных групп и в лазском. Мы пытаемся представить двучленные комбинации вокалов согласно этой модели.

Гласные полного образования. В комплексах класса А при сочетании гласных в пределах одной морфемы, в основном соблюдается принцип последовательности открытый + закрытый. В частности, в случае двух гласных полного образования, первый из них более открытый, чем второй. В такие группы объединяются в основном гетероорганнне гласные, хотя имеются и сочетания гоморганнне гласных полного образования, при чем принцип последовательности открытый + закрытый также соблюден.

Двучленные вокальные группы в пределах одной морфемы и на стыке морфем реализуются по-разному: 1. сохраняют полногласие; 2. превращаются в дифтонги; 3. дают долгий гласный.

Реализация группы из двух гласных полного образования в пределах одной морфемы в лазском следует, по-видимому,

¹ см. Арн. Чикобава, Граматический анализ чанского (лазского) диалекта, Тбилиси, 19366 ст. 28-29(на грузинском языке).

² см. შ. ძიდიგური. ხმოვანთა კოლპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კოლოებსა და ზანურში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I თბილისი, 1946. სტ.. 19 и сл.

считать вторичным, т.е. поздним образованием. Возникновению таких комплексов способствовало выпадение гласных в интервокальной позиции, причем обращает на себя внимание то, что чаще всего выпадают антериорные звуки и исторически фарингальный!

Комплексы гласных класса А в пределах одной морфемы реализуются главным образом за счет выпадения согласных. В именных формах при соединении гласных основы и афикса, также двучленные комплексы не упрощаются. На стыке морфем в глагольных формах с превербалиями комплексы гласных упрощаются: 1. При соединении гласных среднего и заднего рядов, путем неполного исчезновения одного из гласных, причем чаще выпадает предшествующий гласный если он более широкого раствора, чем последующий; 2. если первым компонентом комплекса является палатальный гласный (е), то он не исчезает бесследно – вызывает палатализацию последующего гласного. Предварительным условием упрощения вокальных комплексов в превербальных формах глаголов Арн. Чикобава и Ш. Дзидзигури считают процесс регрессивной ассимиляции, подразумевая, что происходит полная ассимиляция и затем утеря второго компонента.

Вокальные комплексы класса А при наличии палатального гласного е, і в качестве первого компонента в пределах одной морфемы и в позиции ауслота претерпевают дифтонгизацию; на стыке же двух морфем в превербальных формах глаголов дифтонгизация не происходит – теряется первый компонент при сохранении полногласия второго, если же выпадает второй компонент, сохраняется – первый.

Реализация двучленных вокальных комплексов класса В происходит в пределах одной и на стыке морфем в основном за счет выпадения согласного. На реализацию комплексов этого класса налагаются определенные ограничения: одни из них встречаются только в превербальных формах глаголов и могут упрощаться, другие же, наоборот, никогда не образуются в глаголах с превербами таковы: $ua \parallel wa$, $ue \parallel we$, uo , io , ia ; если вокальный комплекс класса В начинается гласным u, он часто преобразуется в полугласный ʉ w. Если комплекс класса В

находится на стыке морфем и его первым компонентом является палатальный гласный (e, i), он преобразуется в полугласный e, j, который в свою очередь вызывает палатализацию последующего гласного.

В лазском образовались трех-, четырех- и пятичленные вокальные комплексы. Сложные комплексы создают гласные полного образования a-e-i-o-u и полугласные j-w. Полугласный w редко реализуется в трехчленных группах и совершенно не встречается в четырех и пятичленных.

Обозначим последовательность вокалов в группе символами a-b-c-d-e, где a означает первую позицию, b – вторую, c – третью, d- четвертую, e – пятую.

Трехчленные вокальные группы

Трехчленные вокальные группы возникают как в пределах одной морфемы, так и на стыке морфем. Три гласных полного образования в контактной близости в пределах одной морфемы относятся к числу редко реализуемых вокальных комплексов.

В пределах одной морфемы позицию в трехчленной вокальной группе может занимать гласный полного образования a-e-i-o-u; в позиции b может быть представлен только полугласный a-j, а в позиции c – гласные a-ɟ-o. На стыке морфем позицию c могут занять ɔ, ʉ (o, u.) Лабиовелярные гласные в пределах одной морфемы могут занять только позицию a. Такая последовательность гласных в трехчленных вокальных комплексах канонична для лазского.

В трехчленных вокальных группах первую и третью позиции может занять любой из гласных полного образования, на второй же позиции всегда будет a-j в виде исключения может образоваться o-(i).

В пределах одной морфемы в позициях a в трехчленном вокальном комплексе могут находиться гласные a-ɟ-o (a-e-i), на стыке же морфем эту позицию могут занимать только ɔ-ʉ o-u. Если позицию a в трехчленной вокальной группе занимает полугласный ʃ w, тогда в позиции b могут находиться только гласные a-ɟ a-e. Это канонические комбинации вокалов.

Трехчленные вокальные группы иной дистрибуции не существуют в лазском.

Трехчленный вокальный комплекс не что иное, как двучленная вокальная группа структуры ABC, компоненты которой разделены полугласным. В классе C полугласный $\text{a} \text{ j}$ соответственно займет позицию между гоморганными и гетерорганными гласными одинакового раствора; в классе A — позицию между вокалами последовательности открытый + закрытый, а в классе B $\text{a} \text{ j}$ займет место между гласными последовательности закрытый + открытый. Трехчленные вокальные комплексы в лазском упрощаются, преобразуясь в ряд двучленных групп классов ABC, спорадически трехчленный комплекс может превратиться и в один гласный.

В лазском имеются четырех — и пятичленные вокальные группы.

В пятичленных вокальных группах строго соблюдается следующее правило последовательности гласных: позицию A могут занимать только $\text{a} - \text{o} \text{ a} - \text{i}$; в позиции B представлен только $\text{a} - \text{j}$, в позиции C — $\text{a} - \text{y} - \text{o} \text{ a}, \text{e}, \text{i}$; в позиции e $\text{o} \text{ a} - \text{j} \parallel \text{i}$; последнюю, e позицию может занимать только $\text{o} \text{ i}$.

Четырех и пятичленные вокальные группы могут упроститься и преобразоваться в группу более низкого разряда путем выпадения одного или двух членов.

В словах, содержащих четырех и пятичленные вокальные комплексы, почти никогда не встречаются консонантные группы. При реализации трехчленного вокального комплекса в слове может быть представлена двучленная группа согласных, с назальным сонорным в предшествующей позиции.

Как видим, в лазском не так уж и редки безконсонантные лексические единицы-слова, состоящие из одних гласных фонем.

Бесконсонантные группы в основном создают те слова из собственно лазской и заимствованной извне лексики, в которых в качестве консонантов выступают фонемы $\text{b} - \text{y} \text{ r}, \text{q}'$. Именно вокализация указанных согласных обуславливает создание бесконсонантных вокальных групп.

Исторически возникновение сложных вокальных групп и на современном этапе развития языка – формирование их структурной модели в пределах морфемы и на стыках морфем сложнейшая проблема лазской фонотактики, решение которой требует скрупулезного изучения. Представленная нами модель вокальных комплексов первая такая попытка и, конечно, не застрахована от ошибок. Далее я возвращаюсь к вопросу об усложнении парадигматической системы лазского вокализма элементами ä-ë-ö-ü.

Предполагается что они возникли на почве влияния турецкого языка, с чем я не согласна. Перед лингвистами стоит серьезная задача – выяснить динамику процесса языковых контактов, которые зависят в конечном счёте от социально-исторических условий.

Лазский развивался на территории Трапезундской Империи в пределах XIII-XV вв. в области распространения картвельских диалектов.

Вплоть до первой трети XIX в. о Трапезундской Империи почти ничего не было известно достоверно. Относительная неудача первых историков Трапезундской Империи – XVII-XVIII вв. была связана с тем обстоятельством, что базовые источники по истории империи тогда еще не были открыты, существующие ранние источники были весьма скудны, если не сказать больше. Советской историографии, а в частности и грузинской, были недоступны многочисленные материалы на арабском, персидском и турецком языках.

Ныне наши знания значительно обогатились благодаря крупнейшим ученым запада - А. Брайер и замечательной московской школы византологов во главе с С.П. Карповым, ибо в анализе материала исследователи, в соответствии с традициями медиевистической школы МГУ, придерживаются метода комплексного подхода.

Сельджукская армия дважды (1205-1230 гг.) осаждала Трапезунд, но взять город не смогла. Особую роль в политической и социальной структуре Трапезундской Империи играла местная родовая знать картвельского происхождения.

Византийский автор – Георгий Пахимер, крупнейший английский византолог современности А. Брайер, турецкие

историки XVIII в. Катиб Челеби и Эвлия Челеби отмечают, что основное население Трапезундской Империи состояло из лазов. Так же мусульманские хронисты часто Трапезунд называют «город Лазики». Арабский географ Абу-ал-Фида (1273-1331) называет Трапезунд большим портом лазов. По мнению А. Брайера лазы с начала XIII в. (1204 г.) твердо осели на территории Трапезундской Империи, где и была образована административная единица – фема Великая Лазия, которая начиналась с Атины и доходила до границ Грузии¹.

По мнению Р.М. Шукурова в Трапезундской Империи «вторым по численности этносом был картвельский, представленный лазами и чанами, двумя чрезвычайно близкими друг к другу народами населявшими восточную половину империи – возможно, часть Мацуки, области Сирмены, Ризеона, Лазики, а в глубь материка – восток Хермианы... Не исключено, что в составе Трапезундской Империи были и другие этнические или скорее, это этнотерриториальные ополчения. Так, Панарет упоминает «лазские отряды». (Р.М. Шукуров, предполагает, что оборонительную организацию Трапезундской Империи в основном определяли чанские подразделения, благодаря их воинственности. «Они обеспечивали Трапезундскую Империю воинами, храбрыми как львы, которые никогда не молились на беглецов»². (A. Bryer. Some Notes on the Laz and the Tzan, 1. p. 181).

«Трапезунд пал 1461 г., но лазы остались независимыми. Лазистан считался турецкой провинцией, но власть султана здесь была номинальной и распространялась лишь на побережье. Лазы были обращены в ислам примерно после 1580 г., сохраняли свою автономию до 40-ых гг. XIX в. под властью своих бегов, которые управляли своими землями из своих горных крепостей. Персидский историк – Искандер Мунш в своем произведении – «История Шах-Абаса Великого» рассказывает о дипломатических контактах с разными христианскими государствами и правителями отмечает: «Среди этих

¹ A. Bryer. Some Notes on the Laz and the Tzan. Bedi Kartlisa. Paris, 1976; Э. Жордания. Этический состав населения понта XIII-XV вв. часть I: Лазы, Byzantinoslavika L, VII, 1996

² A. Bryer. Ibid. p. 181

правителей были и христианские правители: Лазики, Германии, Франции, Англии, Голандии, Португалии и Испании... М. Сейвор комментируя это сведение Искандера Мунша отмечает, что» ... посольство лазов в Сефевидский Иран, свидетельствует о виртуальной автономии лазских правителей в XVII в.

Лазские правители, как видимо проводили независимую внешнюю политику и устанавливали дипломатические контакты с другими государствами и прежде всего с теми, которые находились в противоречии с Османской империей.¹

Общеизвестно полное неповиновение крупного лазского феодала Джаникли Али-Фаша обладателя Самсуна, Синопа, огромной и богатейшей территорией горного Темискпри; под его контролем находились некоторые территории Крыма (середина XVIII в.). Мусульманские хронисты того времени называли Джаникли Али-Фаша – «гроза султана»².

Сельджуков в Лазистане не было, позднее турки-османы появились в лазистане в виде военных гарнизонов, которые менялись в год два раза. Языковые контакты с лазами редко осуществлялись, а порой вовсе отсутствовали. Билингвиз наступил значительно позже – со времен Ата-Тюрка. На этом фоне можно ли предположить, что такой устойчивый уровень языковой иерархии, как фонологическая система претерпела столь значительные отклонения от вокалической системы мегрельского.

¹ Э. Жордания. Этнический состав населения Понта в XIII-XV вв. часть 1: Лазы, *Byzantinoslavica*, L. VII 1997, ст. 58

² См. Джанелидзе Д. В. Вожд лазов, (очерки) на грузинском языке. Тбилиси, 1984г.

**AREAL CONTACTS AND QUESTIONS OF DIACHRONIC
TRANSFORMATION OF VOCAL SYSTEM OF COLCHI
(MEGRELIAN-LAZ) LANGUAGE**

Summary

Disintegration of Cummon Kartvelian language gave rise to appearing language unities which later acquired forms of historically testified Kartvelian languages. At the earlier stage of disintegration according G. Deeters was singled out as an independent unity opposed to Georgian – Colch (resp. Georgian-Xan) language unity. At a later stage two languages Georgian and Colch (Megrelian-Laz) were distinguished. At a much later period after disintegration of Colch community Megrelian and Laz dialects appeared and developed.

The reason of disintegration of Colch (Megrelian-Laz) language unity was caused by cultural-historical factors. In the beginning of the new era Kartvelian tribes Laz and Mingrels according to historical traditions named Colchs still maintained territorial integrity of which transgression belonged to 5th-8th centuries.

Further development of historical events brought them to complete language isolation.

In spite of this isolation from the areal of spreading ether kartvelian unities the Laz language keeps amazing similarity with them as regards phonemic inventory and paradigmatic relations, but differs in syntagmatic combinability.

Megrelian-Laz phonological structure was developing in *accordance with the laws within the language* and I consider it mainly as the result of historically acting phonetic processes taking place in the process of development of any language unity for phonetic tendencies and the so called "Phonetic laws", rules of phonotactics phonemes combinations determine phonetic organization of sound system and finally form phonetic model of language. The whole complex and chronological unity of phonetic and phonological aspects determine phonological system of the language. Phonetic evolution and structure of language as mutually acting and interrelated phenomenon (A. Martinet) determined simultaneity of processes of differentiation of Megrelian-Laz

language community and integration of Megrelian and Laz as isolated dialects.

At first I want to assure: differentiation of canonical forms of syntagmatic combinations of consonants in Megrelian root morpheme defined by T. Gamkrelidze – T. Gudava mainly coincide with the results of my research in Laz phonological structure in Megrelian and Laz are mainly identical. Their analyzed material revealed main structural feature – Colch (resp. Zan) root morpheme is mainly of decisive structure. According to G. Akhvlediani's theory common – structure rule exists that means formation of decisive complexes as quite natural Main canonical form of consonant group of Colch root morpheme in determined by structures:

Laz	Mengrelian
$S_mCCC_v-S_nCCC_v$	$S_rCCC_v-S_nCCC_v$
S_mCC-S_nCC	S_rCC-S_nCC
$S_mCC_v-S_nCC_v$	$S_rCC_v-S_nCC_v$
$CCC_v; S_rCC;$	CCC_v
$S_mC; S_nC; S_mC_v; S_nC_v; CC; CC_v$	$S_rC; S_nC; CC; CC_v$

The biggest unity of contact combinability is four member (tetranominal) complex. All other groups of lower integrity are added in the same succession by means of taking away one or two members with structural rule forbidding displacement of rows.

However, vocal system of vowels in Laz and its diachronical transformation underwent more important changes that caused its removal from Megrelian and Georgian vocalism as in structure of phonetic unities so in paradigmatic and syntagmatic structures. Consequently in Laz vocal elements ä-ë-ö-ü were formed. They function in correlative oppositions and differentiate verbal forms (N. Kutelia – Phonemical structure of Laz, 2005). It is considered that they appeared under the influence of Turkish language and I agree with this opinion.

The linguists face a serious task to reveal dynamics of the process of language contacts that finally depend on social-historical Conditions. Now our knowledge has been enriched thanks to distinguished western scholars (A. Bryer) and famous Moscow school of Byzantine studies at the head of which is S.P. Karpov. For

in the analysis of the material researchers of Medievalistic school of Moscow state University adhere to the method of complex approach.

The Laz language had been developing on the territory of the Trabzon Empire in about 13th-15th centuries in the area of spreading Kartvelian dialects. There were no Seljūks in Lazistan. Later Ottoman-Turks appeared in Lazistan in the form of military units which were changed twice a year. Language contacts with Laz people were scarcely carried out and often there were none. Bilinguism began later in the period of Atatuzk, with this background it is difficult to imagine that such stable level of language hierarchy as phonological system underwent important difference from Megrelian vowel system.

„ჯანიკი“, „ჭანიტი“, „ჭანიკი“, „ჭანი“, ტერმინთა იდენტიფიკაციისთვის XIII-XV საუკუნეების აღმოსავლურ საისტორიო წყაროებში*

ამ თავითვე მინდა განვაცხადო, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი მცირე ტერმინოლოგიური ექსკურსი იბეჭდება საკითხის დასმის წესით და ეხება ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ და ეთნიკურ ნომენკლატურას კერძოდ, XIII-XV სს. პერიოდის მუსლიმ ქრონიკთა ისტორიულ და გეოგრაფიულ აღწერილობათა საბაზო ტერმინოლოგიას, რომლის გარეშე „დიდი კომნინების იმპერიის“ სრულყოფილი ისტორიის შესწავლა შეუძლებელია. აქვე მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლიერება მოსკოვის უნივერსიტეტის ბიზანტინისტთა სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების ბატონების ს.პ. კარპოვის, რუსტამ შუქუროვის და ერეკლე ჟორდანიას მიმართ, რომელთა შრომებმა ხელმისაწვდომი გახადეს თანამედროვე მსოფლიო ბიზანტინისტიკის მიღწევები ბიზანტიის, ტრაპიზონის იმპერიის და შავიზღვისპირეთის ქვეყნების ისტორიის პრობლემათა გაშუქებაში, რაც თავის მხრივ დიდ სამსახურს გაუწევს როგორც ქართულ ისტორიოგრაფიას, ასევე იბერიულ-კავკასიურ საენათმეცნიერო სკოლას. რ. შუქუროვი თავის წიგნში «Великие Комнины и Восток.»¹ წერს: «Как уже отмечалось, одной из основных задач этой книги является полноценный ввод в византистику восточных источников по истории Понта. Поэтому представляется нелишним привести в дополнение к нашему обзору источников, некоторые сведения о базовой терминологии мусульманских авторов, которую они применяли для описания понтийского государства Великих Комнинов. Эта система первичных понятий, взятая в ее «синхронном срезе» создает то элементарное

* პირველად გამოქვეყნდა 2007 წელს: ნ. ქუთელია, „ჯანიკი“, „ჭანიტი“, „ჭანიკი“, „ჭანი“, ტერმინთა იდენტიფიკაციისთვის XIII-XV საუკუნეების აღმოსავლურ საისტორიო წყაროებში „კავკასიოლოგიური კრებული“, ეძღვნება ცნობილი კავკასიოლოგის და ბასკოლოგის იან ბრაუნის დაბადებიდან 80 წლისთავს, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2007.

¹ P.M. Шукуров. Великие Комнины и восток (1204-1461). С.-Петербург. 2001

понятийное поле, в котором развивалось повествование мусульманских авторов о конкретных событиях».

ისტორიოგრაფიაში პონტოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და მისი ტოპონომიკის საკითხი არა ერთხელ მდგარა. მეცნიერთა არა ერთი და ორი თაობა სწავლობდა წინა აზიის რეგიონის ისტორიულ-კულტურული განვითარების პროცესებს მოყოლებული ანტიკური ეპოქიდან და აღიარებენ რომ პონტო უძველესი დროიდან განსახლებული იყო ქართველური ტომებით, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან ეთნო-კულტურულ სუბსტრატს და სახელდებოდნენ ეთნონიმით „კოლხები“¹.

ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ბიზანტიის იმპერიის ყოფილი თემა — ქალდეა. ამ რეგიონის ძირითადი მოსახლეობა შედგებოდა ბერძნებისა და ქართველებისაგან კერძოდ, ლაზებისა და ჭანებისაგან, როგორც ისტორიკოსი ე. ჟორდანია მოიხსენიებს მათ და მიიჩნევს, რომ ბერძნები ძირითადად ქალაქებსა და მათ შემოგარენში დასახლდნენ ადრეული კოლონიზაციის პერიოდში, ქართველები კი მინადმოქმედთა მკვიდრი მოსახლეობა იყო. თანდათან მოხდა მათი ელინიზაცია, მაგრამ ბერძნებად თავს არ თვლიდნენ და ინარჩუნებდნენ ქართველობას. განსხვავებით სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან (მაგ. სომხებისაგან) ქართველები აბორიგენები იყვნენ. ისინი დღესაც ცხოვრობენ ჩრდილო აღმოსავლეთ ანატოლიაში და შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ზოლში, შენახული აქვთ მშობლიური ენა და ტრადიციები.

აღმოსავლეთის მუსლიმ ქრონისტებთან XIII-XV საუკუნეების ბიზანტია, როგორც პოლიტიკურ-კონფესიონალური ერთეული, ასოცირდება კონსტანტინეპოლთან და არა ტრაპიზონის იმპერიასთან. ამ დროისათვის „დიდი კომნენების იმპერიის“ პოლიტიკური მიზნები კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარზე კომნენოსთა დინასტიის აღდგენას უკავშირდება (რ. შუკუროვი, ე. ჟორდანია, ს. მარგიშვილი²). კონ-

¹ Э. Жордания. Этнический состав населения и некоторые вопросы топонимики Понта в XIII-XV вв. Byzantinoslavika. LX. 1999

² სოსო მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბილისი, 2006, გვ. 273-279.

ფესიონალური თვალსაზრისით „დიდი კომნენების იმპერიაში“ მცხოვრებნი იყვნენ ქრისტიანები და ექვემდებარებოდნენ ტრაპიზონის მიტროპოლიტის იურისდიქციას — კონსტანტინეპოლის ეკლესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ავტორიტეტს აღმოსავლეთ ანატოლიაში არა მარტო XIII-XV სს., არამედ მერედაც.

მნიშვნელოვანია, რომ მუსლიმი ქრონისტები იმპერიის მოსახლეობას ბერძნებს არ უწოდებენ და არც რომეებს (al-rūm, rūmī). სპარსულ და არაბულ ქრონისტულ კაში ტრაპიზონი ჭანთა ქვეყანაა. ამავე სახელწოდებით არიან მოხსენიებული ტრაპიზონის იმპერატორები აღმოსავლურ ქრონისტულ კაში.

მხოლოდ ალექსი I დიდი კომნენი (1204-1222) ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებელი მოიხსენიება ტიტულატურით kīr aliks (< kōp Αλέξιος) (რ. შუკუროვი) ყველა სხვა შემთხვევაში ტრაპიზონის იმპერიის ბასილევსები მოხსენიებულნი არიან ჯერ როგორც „მეფე რუმისა“ (არაბ.-სპარს. malik al-Rūm), ხოლო მოგვიანებით სპარსულ წყაროებში malik jānīt, უფრო მოგვიანებით XV ს. „ტრაპიზონის ტაკვური“ იგივეა, რაც იმპერატორი (სპარს. takwar-i Trābzūn, takfūr-i Trābzūn, Trābzōn tekruzi). ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორიას აღნიშნავს ტოპონიმით „კოლხიდა“ სატახტო ქალაქით — ტრაპიზონი და აღწერს რა თურქების საზღვაო ოპერაციებს 1427-28 წლებში „ჯანიკ“-ს აიგივებს კოლხეთთან. ოსმალური წყაროები (1456 წ). „ჯანიკ“-ს ხმარობს ისეთივე ფართო მნიშვნელობით, როგორც ბერძნული წყარო „კოლხეთს“, და ტრაპიზონის იმპერიას ყველგან მოიხსენიებენ როგორც სახელმწიფოს. რ. შუკუროვი არ ეთანხმება ბიზანტიელ ხალკოკონდილს და წერს, რომ პ. პონტოელები ტრაპიზონის იმპერატორებს კოლხეთის ბასილევსებად არასოდეს არ მოიხსენიებდნენ და რომ ეს ტიტულატურა თავად ბიზანტიელი ქრონისტის მიერ არის შეთხზული, მაგრამ იქვე მოჰყავს ორი ისტორიკოსის, ბიზანტიელი ხალკოკონდილისა და სპარსი ქრონისტის აბუ ბაქრ ტიხრანის მიერ აღწერილი დიდი კომნენის დავითის კარის ელჩობას მეხმედ II კარზე, ხარკის მოხსნის თაობაზე. სპარსი ქრონისტი ტრაპიზონს მოიხსენიებს, როგორც სახელმწიფოს, ხოლო ბიზანტიელი ხალკოკონდილი ტრაპიზონის იმპერიას, როგორც „კოლხეთის მიწას“.

არაბი ქრონისტი აბუ ალ-ფიდა გვატყობინებს, რომ ტრაპიზონის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ლაზებია (al-lakzi). ტრაპიზონს ხმარობს, როგორც იმპერიის სახელმწიფოს სახელს. აღმოსავლეთის ქრონისტები არსად არ ამბობენ, რომ ტრაპიზონის იმპერიაში ბერძნები ცხოვრობდნენ, ისინი ბიზანტიელებს რომეებად მოიხსენიებდნენ (al-rum) ანუ რომაელები, ისე როგორც ეს ბიზანტიურ ტრადიციაში იყო დამკვიდრებული.

შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე და მთიანეთში „ჭანი“ და „ლაზი“ -ს გავრცელების დროისა და ვითარების გასათვალისწინებლად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ XIII-XV სს. მუსლიმ ავტორთა ნარატიული ნყაროები. ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორიული აღნიშვნისათვის XIII-XV მუსლიმ ქრონისტებს გამოყენებული აქვთ ტოპონიმები „ტრაპეზუნტი“ (Träbzün) და „ჯანიტი“, „ჯანიკი“, „ჩანიტი“, „ჩანიკი“ (janit). როგორც ე. ჟორდანიას აღნიშნავს ტოპონიმები „ჯანიტი“, „ჯანიკი“, „ჩანიტი“ იდენტურნი არიან და წარმოადგენენ ქართული „ჭანეთის“ თურქულ ფორმას, რომელიც თავის მხრივ ეთნონიმ „ჭანს“ უკავშირდება. აქედანვე მოდის ჭანთა დიდი ფეოდალური საგვარეულოს პატრონიმი „ჭანიხტები“, „ჯანიხიტები“, „ჩანიხიტები“, „ნანიხიტები“, (რუსული ტრანსლიტერაციით: «Джанихиты», «Чанихиты», «Тцанихиты»). „ჭანი“ იმ ქართველური ტომის სახელწოდებაა, რომელიც მოსახლეობდა პონტოს მთიანეთში ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთში. როგორ მოხვდა ეს ტოპონიმი აღმოსავლურ ნარატიულ ნყაროებში — პონტოელი ბერძენისაგან, თუ აღმოსავლეთ პონტოს ქართველთა ტომებისაგან ბიზანტინისტებს პასუხი ჯერ არა აქვთ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე იდენტიფიცირებულია ტოპონიმები „ლაზია“, ჭანეთი. ნ. ლომოურს მიაჩნია, რომ ტოპონიმი „ლაზია“ ტერიტორიულად მოიცავს შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც განსახლებული იყო ერთ-ერთი ქართველური ტომი-ლაზები.

ქართულ ისტორიულ ტრადიციაში ლაზები და ჭანები ეთნიკურად ქართველები არიან და მათი განსახლების ადგილად მიჩნეულია შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი, ო.

ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ი. ბერაძე, ე. ჟორდანიას). დიდი კომნიების იმპერიაში ისინი წარმოადგენენ მოსახლეობის ძირითად ნაწილს, რასაც ადასტურებენ სპარსი, არაბი და თურქი ქრონისტები, რომელთა შრომები სულ ახლახან შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში.

ტერმინი „ჭანი“ ს. ყაუხჩიშვილს მიაჩნია ბერძნული „სანის“ ქართულ ტრანსფორმაციად, რომელიც მიუთითებს შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ ქართველებზე. აკად. ნ. მარისტვის ეთნონიმები „ლაზი“ და „ჭანი“ სინონიმებია. ცნობილ ინგლისელ ბიზანტინისტს ენტონი ბრაიერს „ლაზი“ და „ჭანი“ ურთიერთ შენაცვლებად ტერმინად მიაჩნია, მაგრამ სხვადასხვა ეთნონიმებად, თუმცა ახლო ნათესაობას მათ შორის არ უარყოფს. ამავე დროს ე. ბრაიერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გვიან შუასაუკუნეებში მოხსენიებული „სანები“ ასიმილირებული არიან ან ბერძნებთან, ან ჭანებთან და მიიჩნევს მათ „ანატოლიზირებულ“ ლაზებად, რასაც ბიზანტისტი ე. ჟორდანია არ ეთანხმება: „Лазы потомки колхов, считающие себя составной частью племени мегрелов (лазы+эгры), издревле населяли юго-восточное побережье Черного моря, не являются анатолизованными лазами западной Грузии, которые могли появиться в этой области в итоге миграции из Грузии в Византийскую империю; они издревле населяли эту область. Распространение же термина «лазы» на население этого региона способствовало появлению топонима Лазика, который в начале обозначал административно-церковную, а затем и административно-политическую единицу»¹

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ქართველთა (ლაზები, ჭანები) განსახლების გეოგრაფიული არეალი XIII-XV სს. მოიცავს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს და ემთხვევა ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ საზღვარს საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიას შორის. ე. ჟორდანია განიხილავს რა პონტოს რეგიონის მოსახლეობის ტოპონიმისა და ეთნიკური შემადგენლობის საკითხებს დაასკვნის: „По нашему мнению, этнонимы «лазы» «чань» вполне можно идентифици-

¹ Э. Жордания, "Этнический состав населения Понта в XIII-XV вв. часть I: Лазы. Byzantinoslavika, LVII, 1996, გვ. 139.

ровать, так как оба эти термина обозначают один и тот же этнический элемент, распространенный в Юго-восточном Причерноморье, а именно, картвелов. Но при этом, на наш взгляд, разные этнонимы употреблялись для обозначения жителей данного края в зависимости от ареала их распространением. Термин «лазы» обозначал картвелов-жителей прибрежных территорий, а термин «чаны» - население проживающее в горных регионах Понта. Что же касается топонима «Чанети», то по-нашему мнению, в разные исторические периоды границы его географического и административно-территориального применения не всегда совпадали... Лазы расселялись на восточном побережье Черного моря, севернее устья реки Чорохи; географический ареал распространения лазов охватывал территорию Лазского царства, южная граница доходила до устья реки Чорохи; лазы представлены наследниками колхов, а Лазика наследницей Колхиды».¹

XIII-XV საუკუნეებს აღმოსავლურ ნარატიულ წყაროთა ცნობების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკური და სოციალური მოწყობის რეალური სურათი. ლინგვისტიკის წინაშე დგას კითხვა: როგორი იყო ენობრივი სიტუაცია იმ ქვეყანაში სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველებია. დღეს ეს პოლიტიკური ერთეული აღარ არსებობს, მაგრამ ლაზებმა შეინარჩუნეს ტერიტორიული და ეთნიკური მთლიანობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ენა — კოლხური (resp. ლაზურ-მეგრული). მიუხედავად ისტორიული გზების სხვადასხვაობისა ლაზურისა და მეგრულის ფონოლოგიური სტრუქტურის მოდელი იდენტურია: პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებანი, ძირეული მორფების სტრუქტურა და რაც, ძალზე მნიშვნელოვანია — ფონოტაქტიკა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ლაზურმა ვოკალურმა სისტემამ განიცადა ტრანსფორმაცია. სამეტყველო ენა რომელზედაც ლაპარაკობენ განიცდის ენობრივი სისტემის უწყვეტ ტრანსფორმაციას დროში. ბუნებრივია ლაზურმაც განიცადა ცვლილებები და ეს ცვლილება აისახა ენობრივი იერარქიის ისეთ მყარ და გამძლე დონეზე როგორიცაა ფონოლოგიური სისტემა.

¹ Э. Жордания. "Этнический состав населения Понта в XIII-XV вв. часть II: Лазы, Byzantinoslavika. LVII. 1999.

ვფიქრობ პალატალიზაციის მოქმედებას მიენერება ლაზური ვოკალური ინვენტარის შევსება ა-რ-ჟ ფონემებით (აა-აო-აე-აჟ) ფონემებით,¹ და შესაბამისად ოპოზიციათა ახალი სტრუქტურების შექმნა პარადიგმატურ მიმართებათა სისტემაში, თუმცა ასევე ისმის კითხვა: შეეხო კი ეს ცვლილები ამ სისტემის არსებით საფუძველს?! როდესაც არასამწერლო ენაში ჩნდება ფონეტიკური ტენდენცია, ის ისეთი სისწრაფით და ინტენსივობით ვითარდება, რომ მაშტაბები ყოველგვარ ზღვარს სცილდება და მთლიანად ანგრევს ძირის სტრუქტურას (ფ. ბრუნო, ე. ბურსიე²).

არსებობს მოსაზრება, ვარაუდი, რომ პალატიზაციის პროცესს, რომელიც ლაზურში ცალკეულ ბგერათა და ბგერათაკომპლექსების იოტიზაციის გზით წარიმართა, თურქულმა ენამ შეუნყო ხელი. ასეთი ვარაუდი დღევანდლობის თვალსაზრისით ბუნებრივია, მაგრამ ჯერ უნდა გაეცეს პასუხი კითხვებს: 1. როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ინტერფერენციის პროცესის დინამიკა ტრაპიზონის იმპერიაში, სადაც ჭანები (resp. ლაზები) კომპაქტურად იყვნენ განსახლებულნი და მეტყველებდნენ ჭანურად ანუ ლაზურად; 2. როდიდან და რა პირობებში განხორციელდა და ვითარდებოდა ლაზურ-თურქული ენობრივი კონტაქტები; 3. იყო კი ის ისეთი მჭიდრო და ხანგრძლივი, რომ მას არსებითი ცვლილები შეეტანა ენის ფონოლოგიურ სისტემაში, ვინაიდან ფაქტია, რომ გამოიყოფა ახალი, მეორეული წარმოშობის ვოკალები როგორც პარადიგმატულ მიმართებათა ერთეულების და სხვადასხვა სიდიდის ვოკალური სინტაგმების რეალურად არსებულ სტრუქტურებში, რაც უცხოა როგორც მეგრულისტვის, ისე ქართულისტვის.

ბუნებრივია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ინტენსიურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. აუცილებელია წინა აზიაში თურქ-სელჯუკთა, მოგვიანებით კი ოსმალთა ექსპანსიის ისტორიული ფონის გათვალისწინება: როდის მოვიდნენ და დამკვიდრდნენ თურქ-სელჯუკები ლაზთა კომპაქტურად განსახლების ტერიტორიაზე?! ეს საკითხი მოითხოვს გეოგ-

¹ აკად. ნ. მარი მათ ა-ბ-ა გრაფემებით გამოხატავს.

² Brunot F. Histoire de la langue française a 1900. Бурсье Э. Основы ромаеского языкознания, М., 1952.

რაფიულ-პოლიტიკურ და ეთნიკური ნომენკლატურის შესწავლას „დიდი კომინების იმპერიაში“, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არაბი, სპარსი, თურქი ქრონისტების აღწერილობით „ლაზები, ჭანები, სხვა ქართველური ტომები“ არიან. „დიდი კომინების იმპერიაში“ არსებული ენობრივი სიტუაციის არაადეკვატური ინტერპრეტაცია ხელს შეუშლის სწორად განისაზღვროს ქართველურ ენა-კილოთა განვითარების გზები და ინტერფერენციის პროცესის დინამიკა, რაც თავის მხრივ შეაფერხებს ქართველურ ენა-კილოთა ისტორიული განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შედეგების ლინგვისტურ კვალიფიკაციას და კლასიფიცირებას ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე.

ორენოვნების დამკვიდრება ლაზთა შორის ათათურქს უკავშირდება.

ისტორიული ფონი ასეთია: სელჯუკები არ ყოფილან ლაზეთში და არც ოსმალები დამკვიდრებულნიან ერთბაშად, ოსმალები ლაზეთში ბევრჯერ შეიჭრნენ და სამხედრო ოპერაციებსაც წარმატებით აწარმოებდნენ, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდნენ — ლაზები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და ამარცხებდნენ. მე-17 საუკუნის მიწურულს ლაზეთში გაბატონდა ისლამი, თუმცა სერიოზული პოლიტიკური ბრძოლები მერეც გრძელდებოდა. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ჯანიკლი ალი-ფაშას ამბოხება. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ლაზი ხალხის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ სათავეში ედგა ჭანიხიტების დიდი ფეოდალური საგვარეულოს თავკაცი „ხვანთქრის რისხვად“ ნოდებელი ჯანიკლი ალი-ფაშა. ჯანიკლი ალი-ფაშა თავისი უზარმაზარი ქონებით და ძალაუფლებით შავი ზღვის აუზში დიდი გავლენით სარგებლობდა და დიდ საფრთხესაც უქმნიდა ოსმალთა იმპერიას, რომელიც ამ დროისათვის უკვე საგრძნობლად იყო შერყეული. როგორც რუსეთის საიმპერატორო კარისა და ლაზისტანში საფრანგეთის კონსულატის დიპლომატიური უწყების მიმონერიდან ჩანს ჯანიკლი ალი-ფაშა ბატონობდა შავი ზღვის სანაპიროზე სინოპიდან ტრაპიზონამდე და „ანტიოსმალური აჯანყების დროშის ქვეშ დგომას არ იშლიდა“. რუსეთის დიპლომატიური უწყებების მიმონერიდან აშკარად ჩანს ჯანიკლი, ალი-ფაშას პიროვნული ღირსებები, მისი

პოლიტიკური აზროვნების დიაპაზონი და ეკონომიკური პოტენციალი; ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რუსეთის კარი, რომელიც ამ დროისათვის ყირიმის სახანოს ანექსიას ამზადებს, ამავე დროს ყურადღებით ადევნებს თვალს. ლაზეთის დაუმორჩილებლობას და კავშირს ამყარებს ჯანიკლო ალი-ფაშასთან. ყველაფერი ეს დოკუმენტურად არის ნაჩვენები დავით ჯანელიძის ისტორიულ ნარკვევში „ლაზების ბელადი ჯანიკლი ალი-ფაშა და რუსეთის დიპლომატია“.

ბიზანტინისტი ე. ჟორდანიას წერს: „Трапезунд пал 1461 г., но лазы остались независимыми. Лазистан считался турецкой провинцией, но власть султана здесь была номинальной и распространялась лишь на побережье. Лазы были обращены в ислам примерно после 1580 г., сохраняли свою автономию до 40-ых гг. XIX в. под властью своих бегов, которые управляли своими землями из своих горных крепостей. Персидский историк XVII в. Искандер Мунш в своем произведении – «История Шах-Абаса Великого» рассказывает о дипломатических контактах с разными христианскими государствами и правителями, и отмечает: «Среди этих правителей были и христианские правители: Лазики, Германии, Франции, Англии, Голландии, Португалии и Испании... М. Сейвор комментируя эти сведения, Искандера Мунша, отмечает, что «...посольство лазов, в Сефевидский Иран, свидетельствует о виртуальной автономии лазских правителей в XVII в.

Лазские правители, как видим проводили независимую внешнюю политику и устанавливали дипломатические контакты с другими государствами и прежде всего с теми, которые находились в противоречии с Османской империей». (Э. Жордания. Этнический состав населения Понта В XIII-XV вв. Часть I: Лазы, Byzantinoslavica, LVII, 1987, т. 58)».

არანაკლებ საინტერესოა ტრაპიზონის იმპერიის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ არსებული ინფორმაცია ბერძენ და მუსლიმ ქრონისტებთან. ენტონი ბრაიერის მიხედვით ტრაპიზონის იმპერია დაყოფილი იყო სამხედრო-ადმინისტრაციულ ქვეგანყოფილებად — ბანდონებად (βάνδον). ბანდონები არსებობდნენ იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე: ტრაპიზონი, ტრიკომია, მაცუკა, პალეომაცუკა, გემორა,

¹ დ. ჯანელიძე, ლაზების ბელადი, თბილისი, 1984, გვ. 118-შმდ.

სირმენა, რიზენა. ეს ის ადგილებია, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ლაზებია. ე. ბრაიერის მიხედვით ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ითვლებოდა „დიდი ლაზიას“ (Великая Лазия) თემა. იმპერიის მთიანეთი მოფენილი იყო ციხე-სიმაგრეებით, რომელთა მიმართ ქრონისტები ხმარობენ ტოპონიმებს ჯანიხი, ჭანიხი, ჩანიხა, წანიხა — ცხადია იქ ჭანთა, ანუ ლაზთა ბანდონები იდგნენ.

რ. შუქროვი არ გამორიცხავს, რომ «... в составе Трапизонской армии были и другие «этнические», или скорее, это – территориальные ополчения. Так Пинарет употребляет «лазские отряды», а Э. Брайер предположил, что существовали и чанские подразделения. Такой вывод можно сделать из данных источников, по крайней мере, в отношении банды Мацуки. Помимо императорских войск, собственными формированиями располагали знатные роды, как например Кавазиты, которым принадлежали и некоторые крепости на южной границе империи...».

¹ Bryer A. Rular Society in Matzouka. p. 72. note 56 (რ. შუქროვის მიხედვით 83-59)

ქრისტიანული ტრადიცია ლაზურ ლექსიკასა და რიტუალში*

ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიის დამხობით (1453, 1461 წწ.) ოსმალეთმა ლაზების პოლიტიკური და კულტურული წინააღმდეგობა ვერ გატეხა. მიზნის მისაღწევად დაიწყო ლაზთა სამეურნეო და კულტურული საქმიანობის, საუკუნეებით დამკვიდრებული ტრადიციების ამოძირკვა, რასაც მიაღწიეს კიდევაც თავისი შორს გამიზნული დიპლომატიის გამოყენებით.

ლაზთა ძირითადი საქმიანობა იყო ნაოსნობა, მშენებლობა, ვაჭრობა. ამავე დროს, მაღალგანვითარებული მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მინათმოქმედება, მევენახეობა. ყველა ეს ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა ოსმალთა გაბატონებით მოიშალა.

XVII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ოსმალეთმა ლაზისტანთან ერთად მთელი სამცხე-საათაბაგო დაიმორჩილა და დაიწყო ისლამის ინტენსიური გავრცელება. XVII საუკუნის მიწურულს ლაზეთში გაბატონდა ისლამი, თუმცა სერიოზული პოლიტიკური ბრძოლები მერეც გრძელდებოდა. ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ჯანიკლი ალი-ფაშას ამბოხება.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ლაზების ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ სათავეში ედგა ჯანიკის, ან როგორც მათ ჯერ კიდევ ადრეული ეპოქიდან XIII-XV სს. არაბი და სპარსი ქრონისტები მოიხსენიებდნენ, ჭანიხიტების დიდი ფეოდალური საგვარეულოს თავკაცი, „ხვანთქრის რისხვად“ ნოდებუღი ჯანიკლი ალი-ფაშა და მისი შვილი ბატალი-ბეი¹. ჯანიკლი ალი-ფაშა ლაზისტანს განაგებდა 1749-1785 წლებში. მას ემორჩილებოდა ოთხი სადროში (სანჯაყი) და სამოცი მაზრა. ეს იყო უზარმაზარი ტერიტორია მსოფლიოში განთქმული უძველესი ქალაქები: ტრაპიზონი, სინო-

* პირველად გამოქვეყნდა 2004 წელს: ნ. ქუთელია, ქრისტიანული ტრადიცია ლაზურ ლექსიკასა და რიტუალში, „პერსპექტივა“ XXI, VI, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2004.

¹ ნყაროებში პარალელური ფორმებია დამკვიდრებული ბათალი-ბეი II ბატალი-ბეი. ლაზურ მეტყველებაში: თ/ტ მონაცვლეობა გამკვეთრების ძირძველი ტენდენციაა, რომელიც დღესაც მოქმედებს.

პი, არზრუმი და სხვ. ჯანიკის ტერიტორიაში შედიოდა, აგრეთვე, კუმჯულაზის რეიდსა და ყიზილერმაკის შესართავთან ახლოს სამსუნის ყურეს შორის მდებარე ე.წ. თემისკირის ქვეყანა.¹ მადნეულით (სპილენძი, რკინა, თითბერი, თუთია) და ხე-ტყით მდიდარი, ამავე დროს, მოხერხებული ნავსადგურების მქონე ლაზისტანი თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ცხადია, მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ქვეშ მოექცა. „ლაზისტანს სწავლობდნენ საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის დიპლომატები და ცდილობდნენ, იგი დაემორჩილებინათ თავიანთი კომერციული და პოლიტიკური ინტერესებისათვის“². ეს ინტერესი დღესაც არ განელეზულა, პირიქით, დაინტერესებული ქვეყნების რიცხვი გაიზარდა. დასავლეთში შეიქმნა ჯგუფი ე.წ. მეცნიერებისა, რომლებიც ძალუმად იბრძვიან ლაზთა შორის იმ ცნობიერების აღმოსაფხვრელად, რომელიც მათ დედა სამშობლოსთან აკავშირებს. მათი პირდაპირი დარტყმის ობიექტია ენა და დამწერლობა.

ისლამამდელ ლაზისტანში, ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. შემდეგაც ქართული წერა-კითხვა ყველა ბეგისა და შეძლებული ლაზის ოჯახში სავალდებულო იყო. ცნობები ამის შესახებ, როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე მოგზაურთა აღწერილობებში, უხვად გვაქვს.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ლაზისტანში იმ დროს იყო ორასი სამრევლო-სასოფლო სკოლა, სადაც ლაზი ბავშვები სწავლობდნენ. ხახულის მონასტერში იყო ლაზების სასულიერო სემინარია. 1650 წლისთავის ოსმალებმა დახურეს სასოფლო-სამრევლო სკოლები და ხახულის მონასტრის სემინარია. დაემხო როგორც ქართული წერა-კითხვა, ისე ქართული ენა. „მაშინ ლაზები ქართულ ანბანს თავის საკუთარ ლაზურ ანბანად სთვლიდნენ. ამ ანბანით ლაზურ სიტყვასაც წერდნენ“³. თუმცა ოსმალებმა ლაზისტანში ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა მოსპეს, მაგრამ ეს, უმთავრესად, სოფლებში, გლეხების წრეში განახორციელეს. რაც შეეხება ლაზთა

¹ დავით ჯანელიძე, „ლაზების ბელადი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1984 გვ. 118-119.

² დავით ჯანელიძე, იქვე, გვ. 118-შმდ.

³ ზ. ჭიჭინაძე, „ლაზისტანი“, ტფილისი, 1927, გვ. 39

სასულიერო წოდებას და თავად-აზნაურობას, მათში ქართული ენა და წერა-კითხვის ცოდნაც დიდხანს დარჩა. მიუხედავად ოსმალთა დიდი მცდელობისა, ლაზებმა მაინც 1850 წლამდე შეინახეს როგორც ქართული ანბანის ხსოვნა, ისე ქართული ენა, ხოლო ლაზური არათუ დაივიწყეს, არამედ 1850 წლამდე ლაზისტანის ჯამეში ხოჯები, მოლები და მუფთაც კი, ლოცვის დროს „ყურანის“ ასახსნელად ლაზურს ხმარობდნენ, რადგან ლაზებმა არც არაბული იცოდნენ და არც ოსმალური.¹

ცხადია, ამ ტრადიციის აღმოფხვრა იყო საჭირო და ოსმალებმა ეს მოახერხეს გარკვეული მოდელის ჩამოყალიბებით, სახელდობრ: ქართველი, მაშასადამე ქრისტიანი, მაშასადამე გიაური. ქართული ანბანი ლაზების კი არა, გიაურების ანბანია, ლაზი კი მუსლიმანია და არაბულად უნდა კითხულობდეს და წერდეს². ლაზთა ცნობიერებაში ეს მოდელი თანდათანობით მტკიცდებოდა, რასაც მოჰყვა მათი, როგორც ქართველი ერის შემადგენელი ნაწილის დენაციონალიზაცია. ქრისტიანულ ეკლესიას და სამღვდელოებას წინააღმდეგობის უნარი აღარ ჰქონდა.

ტრაპიზონის ეპისკოპოსის კათედრა ერთხანს ბერძნების ხელში გადავიდა, და ამის გამო, ლაზების ნაწილმა შეინარჩუნა ქრისტეს რჯული, თუმცა მოგვიანებით, ისლამის ექსპანსიის გაძლიერებას მოჰყვა მათი მასიური გადასახლება საბერძნეთში და ეთნიკური გადაგვარება.

თავის მხრივ, რომმა გააძლიერა ტრაპიზონის რეგიონში მისიონერთა მოღვაწეობა და XVII საუკუნეში ეკლესია და სკოლა გახსნა, რომელიც ტრაპიზონში „ქართველ კათოლიკეთა ტაძრად“ იწოდებოდა³.

პაპის კონგრეგაციამ ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია დანიშნა თავის მისიონერთა და პროპაგანდის წევრთა ცენტრად. აქ, ტრაპიზონის მისიონერთა არქივში, ინახებოდა მისიონერთა მიერ საქართველოს შესახებ შეკრებილი ცნობების თითო ასლი. არქივი ძალიან მდიდარი იყო თავისი ცნობებით საქართველოს შესახებ, ვინაიდან, რო-

¹ ზ. ჭიჭინაძე, იქვე.

² იქვე.

³ იქვე.

გორც ზ. ჭიჭინაძე გვამცნობს, სხვადასხვა დროს არქივში გადატანილი იქნა ისტორიული მასალები: 1752 წელს თბილისიდან ისტორიული მასალა და ნიგნები; 1780 წელს — ახალციხიდან იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის არქივსა და ბიბლიოთეკაში არსებული ისტორიული მასალები; 1795 წ. — გორიდან ისტორიული წერილები საქართველოს შესახებ; 1800 წ. — თბილისის ისტორიული არქივი¹. ტრაპიზონის არქივს ჰქონდა ქართულად შედგენილი დაბეჭდილი რუკები.

ტრაპიზონში მოდიოდნენ კათოლიკე მისიონერი ბერები და, ტრაპიზონის არქივის საშუალებით, სწავლობდნენ ქართულ ენასა და ისტორიას, ცნობებს ლაზებსა და ლაზეთის შესახებ². მიუხედავად პაპის კონგრეგაციის აქტიური საქმიანობისა, რომელიც ხორციელდებოდა დომინიკანელ, ავგუსტინელ, ფრანცისკანელ და თიათინელ მისიონერ ბერთა მეშვეობით³, ქართველებმა ვერ შეძლეს აღმსარებლობის შენარჩუნება, დევნილმა ქართველებმა (მათ შორის ლაზმა) კათოლიკეებმა განიცადეს სრული დენაციონალიზაცია. მათმა ერთმა ნაწილმა, დაუკავშირდა რა გრიგორიანულ ეკლესიას, დაკარგა ენა და გასომხდა. ლაზების ძირითადი ნაწილი ისლამს ეზიარა, მაგრამ შეინარჩუნა ენა და ეთნიკური მთლიანობა. სწორედ ენას შემორჩა ქრისტიანული ტრადიცია, რომელიც გარკვეულ წილად რიტუალშიც აისახა.

საღვთისმეტყველო ტერმინი ლორმოთი „ღმერთი“ დადასტურებულია ლაზურის ყველა კილოკავში, შდრ., ქართ. ღმერთი მეგრ. ლორონთი, სვან, ლერბეთ-, ძირი საერთოქართველურია⁴.

ნ, მარს „ლორმოთი“ დადასტურებული აქვს ვინურ-არქაბულსა, ხოფურსა და ათინურში. პ. აჭარიანი ადასტურებს მას ბათუმსა და ქემერში, ამავე დროს გეორგ როზენისა და ერკერტის მიხედვით, ხოფასა და ტრაპიზონში.⁵ ამჟამად

¹ ზ. ჭიჭინაძე, იქვე, გვ. 17-შმდ.

² ზ. ჭიჭინაძე „ლაზისტანი“, იქვე.

³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902 წ.

⁴ Г. Климов. Экологический словарь картвельски языков. М. С. 202.

⁵ Н. Adjarian, etude suzla lanque, Laze exzait drs memopies de la Societe de linguistique de Paris, 1899, 25.

ათინურში დასტურდება პარალელური ფორმები ღორმო-თი///ღორმოტი¹ (I.A. Bucaklışı, H. Uzunhasanoğlu).

ლაზურ მეტყველებაში „ღორმოთი“ ყოველთვის აქტიურ ხმარებაში იყო. ეს აქტუალობა მას არც დღეს დაუკარგავს. ამ სიტყვასთან დაკავშირებულ გამონათქვამებს ვხვდებით როგორც ნ. მართან, ისე ი. ბუჯაკლიშისა და ჰ. უზუნჰასანოვლუს ლექსიკონში: ღორმოთიშე კაობა „ღმერთის წყალობა“, ღორმოთიქ გიშველის „ღმერთმა გიშველოს“, ღორმოთიქ გისქედინას „ღმერთმა გაცოცხლოს“ ღორმოთიქ დიდო ნდლა მექჩას „ღმერთმა დიდი დღე მოგცეს“ და ა.შ.

ამავე დროს, ლაზურში დამკვიდრებულია თურქული წარმომავლობის თანგრი (ათინ. არქ. ვინ.) თრანგი (ხოფ. არქ.), თანრი ეს უკანასკნელი, ნ. მარის ცნობით ჰ. აჭარიანს დაუმონებია; იგი დღესაც გვხვდება ხოფურის ზოგიერთ თქმაში.

„თანგრი“ დადასტურებულია რუნიკული დამწერლობით შესრულებულ V-VII სს. ორხანულ-ენისეულ ძეგლებში და ამავე ეპოქის, ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მანიქეურ და უიღურულ ტექსტებში შემდეგი მნიშვნელობით:

1. tänri „ცა“, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ამ ძირის არქაული მნიშვნელობაა. დადასტურებულია რუნიკული დამწერლობით შესრულებული „İrq Bitig“ (სამკითხაო წიგნის) ხელნაწერის ფრაგმენტებში ლონდონის კოლექციიდან (Древнетюрский словарь, 1965, 544).

2. tänri „ღმერთი, ღვთაება“, ამ მნიშვნელობით დადასტურებულია ჩრდილოდასავლეთ ჩინეთში ქ. ტურფანის მახლობლად ირანულენოვანი ტექსტის xāstvānīf (მანიქეველთა მონანიების ლოცვა) თურქულ თარგმანში. ივარაუდება, რომ შესრულებულია V-VII სს. უიღურული დამწერლობით. სიტყვა, ამავე მნიშვნელობით, დადასტურებულია, აგრეთვე, მოგვიანებით, მაჰმუდ კაშგარელის ლექსიკონში, თურქული დიალექტებისათვის (1072-1074 წწ.).

¹ I. Bucaklışı, H. Uzunhananoğlu, I. Aleksiva, Büyüç Yazca Jözuzi Непарина, İstambul, 2007.

3. tänri „ღვთაებრივი“ დამონმებულია ენისეურ ძეგლებში, აგრეთვე, ჩრდილოდასავლეთ ჩინეთში ტურფანის რაიონში აღმოჩენილი ხელნაწერის ფრაგმენტებში, რომელიც შესრულებულია მანიქეური და უილურული დამწერლობით; აგრეთვე უილურული დამწერლობით შესრულებულ ლეგენდაში დგომ ათავაკაზე. ამავე მნიშვნელობით გვხვდება, აგრეთვე, XII-XIV საუკ. უილურულ იურიდიულ დოკუმენტებში აგრეთვე ბუღისტურ, მანიქეურ და ქრისტიანული შინაარსის შემცველ უილურული დამწერლობით შესრულებულ ფრაგმენტებში.

4. tänri „ბატონი, მბრძანებელი“ დამონმებულია ჩინურიდან თარგმნილ სუტრაში Altun jazuaq (ოქროს ციალი), რომელიც შესრულებულია უილურული დამწერლობით. ვარაუდობენ, რომ თარგმანი შესრულებულია X საუკუნეში.

5. tänri მალლა ცაშია, როგორც მზე“, დამონმებულია ორხონულ-ენისეური დამწერლობით შესრულებულ ე.წ. „ენისეურ ძეგლებში“. აღმოჩენილია კრასნოიარსკის მხარეში, მდ. ენისეის ბასეინში. დანერილია ორ სტელაზე სამ-სამი სვეტით და შეიცავს 255 რუნიკულ ნიშანს. მიეკუთვნება VII-VIII სს. მეცნიერები მათ „ქიოქთურქულ“, ანუ ძველთურქულ რუნებს უწოდებენ.

6. tänri „ღირსპატიოსანი“ (Благочестивый) გვხვდება უსუფ ბალასაგუნელის ეთიკურ-დიდაქტიკური ხასიათის პოემის (1069-1070 წწ.) სამივე ხელნაწერში — მერათის, ქაიროს და ნამანგანის, იგივე მნიშვნელობით „ღირსპატიოსანი“ გვხვდება არაბული დამწერლობით შესრულებული მე-14 ს. ქაიროს ხელნაწერში.

საღვთისმეტყველო ტერმინი ღორმოთი, თრანგი // თანრი „ღმერთი“, ლაზის ცნობიერებაში გამიჯნულია. ზემოთ ვნახეთ, რომ tänri ფიქსირებული რუნიკული დამწერლობით შესრულებულ V-VII საუკ. ორხონულ-ენისეულ ძეგლებში და ამავე ეპოქის მანიქეურ და უილურულ ტექსტებში, ძველ-თურქული ფორმაა და აქედან ლაზურში მისი ნასესხობა არ ივარაუდება. ლაზური „თანრი“ გვიანდელი ოსმალური ფორმაა და დადასტურებულია, ძირითადად, ლაზურის ბათუმურ თქმაში, ათინურ-ვინური „თანგრი“ და ხოფურ-არქაბული „თრანგი“, როგორც ჩანს, უკავშირდება tänri ფორმას; უნდა ვივარაუდოთ, რომ ყარაიმულში დამკვიდრებული

ძველ-თურქული *tänri* ლაზურს შეთვისებული აქვს ყირიმელ ყარაიმებისაგან, ამის მიზეზი უნდა იყოს ლაზების ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ყირიმის სახანოსთან, და მისი სხვადასხვა ვარიანტები, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაცილებით ადრეა დამკვიდრებული ლაზურში, ვიდრე ისლამი გაბატონდებოდა. მიუხედავად ამისა, „თანგრი“ და „ლორმოთი“ იმთავითვე გაიმიჯნა, რაც ნათლად არის ილუსტრირებული ძველ ლაზურ წყევლაში, რომელიც დღესაც აქტიურ ხმარებაშია: **თრანგიქ გოხელას დო ლორმოთიქ ვა გოხელას „თრანგიმ გაგახაროს და ღმერთმა არ გაგახაროს“**, შემოგვრჩა კიდევ ერთი წყევლა, რომელიც მომანოდა სოფელ სარფის მკვიდრმა, ლაზურის ჩინებულმა მცოდნემ მამულა თანდილაგამ: **„დედები და ბებიები როცა გაბრაზდებოდნენ ასე წყევლიდნენ: „სი თრანგიქ მუსლიმანი გყავს „შენ თრანგიმ მუსლიმანი გაგხადოს“**, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ღმერთის აღმნიშვნელად ლაზურ „ლორმოთს“ კი არ ხმარობს, არამედ ისლამური სამყაროდან მოსულ „თრანგი“-ს.

ქრისტიანული ლექსიკის თვალსაზრისით, საინტერესოა „უმქი-სერი//უნქი-სერი (ვინ), ცაჩხა, ჩაჩხა „ხუთშაბათი“ შდრ. მეგრ. სერი „ღამე“, ლაზ. სერი. სეი „ღამე“, ქართული სერ-ობ-ა¹. ნ. მარი ზანურ სერ-ს უკავშირებს ქრისტიანული ეკლესიის ისეთ დიდი მისტერიას, როგორიც არის სერობა: **„საიდუმლო სერობა“**. იგივე აზრი აქვს გამოთქმული არნ. ჩიქობავას. იგი წერს: ღამე-ს კანონზომიერი შესატყვისია ღომა; ბოლოკიდური — ა დეტერმინანტი-სუფიქსის ნარჩენია; სრული სახით იყო ღომ-ან, რომელიც შენახულია ხოფურში (სპორადულად არქაბულშიც) და ნანარმოებ ფუძეში ღომან-ერ-ი „გუმინდელი“ (იქვე, 198)² შდრ. ლაზ. ღომან „გუმინ“ და მეგრ. ღუმა „ნუხელ“.

ლაზის ცნობიერებას შემორჩა „უმქი-სერის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აისახა კიდევ ლაზურ ფოლკლორში.

ნაციონალური ტრადიციები, ხალხის მეხსიერებაში არსებული გადმოცემები, თქმულებები ისლამმა გაანადგურა,

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, 195-198. იქვე.

² იქვე.

მაგრამ ლაზთა ცნობიერებაში მათი სრული აღმოფხვრა არ მომხდარა, ადგილი არა აქვს „ოხვამეს“ (სალოცავი) იდენტიფიკაციას ჯამესთან, ისევე როგორც არ ხდება „ქილისეს“ (ეკლესია) იდენტიფიკაცია მეჩეთთან, არადა მთელი ლაზისტანის გორაკები და მთის წვერები, ისევე როგორც ეს საქართველოშია, მოფენილი იყო „ოხვამეების“ და „ქილისეების“ ნანგრევებით, როგორც „მჯვეშეფში“ (წინაპრების, ძველების) სალოცავი ადგილები, რომელიც მხოლოდ ქრისტიანულ ტრადიციას უკავშირდება, საკულტო ადგილებში — აბუ-ისლაჰისა და ბუიუქ-ადას ეკლესიებში დღესაც ცოცხლობს ქრისტიანულ ხატებზე ლოცვის ტრადიცია.

Christian traditions in Laz Language and Rituals

Summary

The Laz have mostly converted to Islam, but they have preserved their language and ethnic integrity. Their language has preserved Christian traditions, which are also partially reflected in ritual.

the various deific terms *ghormoti* (God) and *tranhi*, *trangri*, *tanri* (God) are each distinct in the minds of the Laz. *Tanri* (God, deity, master, lord, devout) is found in Orkhon-Yenisey runic monuments of the V-VII centuries, and also in Manichean-Uyгур texts discovered in the territory of north-west china. However, it is an Old Turkish form, and thus it is not presumed that the Laz borrowed it from Turkish. the Laz word *tangri* is related to the Karaimean *tanri*. Presumably, the Old Turkish *tangri* was adopted by the LaZ FROM THE Crimean Karaims in the pre-Islamic period.

Umki-seri (Thursday), compared to Megrelian-Laz *seri* (night) and Georgian *seroba* (supper), is linked to a great mystery of the Christian religion, *saidumlo seroba* (the Last Supper) [N. Marr. A. Chikobava].

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა ქარველთა შორის, ტფილისი, 1902.
2. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
3. ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, ტფილისი, 1927.
4. მ. ვანილიძე, ა. თანდილავა, ლაზები, თბ., 1964.
5. ი. სიხარულიძე, ჭანეთი, ბათუმი, 1977.
6. დ. ჯანელიძე, ლაზების ბელადი, თბ., 1984.
7. Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка. С.-Петербург, 1910.
8. Н. Марр. Из поездки в Турецкий Лазистан. Известия Императорской Академии наук, С.-Петербург, 1910.
9. В. В. Радлоф, Опыт словаря тюркских наречий. С.-Петербург, 1905.
10. Д. Дирингер. Алфавит, М., 1963.
11. Г.А. Климов. Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
12. Древнетюркский словарь. Л., 1969.
13. I.A. Bucaklışı, H. Uzuhasanoğlu, Lazuri – Turkuli nenapuna, Istanbul, 1999. და I. Bucaklıshi, H. Uzunhananoğlu, I. Aleksiva, Büyük Yazca Jözuzi Непарина, Isstambul, 2007.

არეალური კონტაქტები და ენობრივი სახსრების დინამიკა*

უცხო ენიდან შეთვისებული მასალის გამოვლენას, მის შესწავლას არამართო მსესხებელი ენის ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ ამ ენის მატარებელი ხალხის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ისტორიისათვის პირველ რიგში.

თურქული ლექსიკური ნასესხობანი ლაზურში საკმაოდ გვაქვს და ეს გასაკვირი არც არის. თურქ-ოსმალეებმა 1461 წელს ტრაპიზონი აიღეს და „დიდი კომნინების იმპერია“ დაემხო. ოსმალეები ლაზეთში ბევრჯერ შეიჭრნენ და სამხედრო ოპერაციებსაც წარმატებით ახორციელებდნენ, მაგრამ ლაზები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და ამარცხებდნენ კიდეც. ოსმალეთს 300 წელი დასჭირდა, რათა საბოლოოდ გაეტეხა ლაზთა პოლიტიკური და კულტურული წინააღმდეგობა. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო მათი რელიგიური მრწამსის სამეურნეო კულტურული საქმიანობის, საუკუნეებით დამკვიდრებული ტრადიციების ამოძიკვა.

ენათმეცნიერთა გარკვეული ნაწილი ლაზურში მომხდარ ენობრივ ცვლილებებს თურქული ენის გავლენას მიაწერს. უპირველესად უნდა დაისვას კითხვა: შეეხო კი ეს ცვლილებები ლაზურში ენობრივი იერარქიის არსებით საფუძველს?! ბუნებრივია ამ კითხვაზე პაუზის გაცემა ინტენსიურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. აუცილებელია წინა აზიაში თურქ-სელჯუკთა, მოგვიანებით კი ოსმალთა, ექსპანსიის ისტორიული ფონის გათვალისწინება: როდის მოვიდნენ და დამკვიდრდნენ თურქ-სელჯუკები ლაზთა კომპაქტურად განსახლების ტერიტორიაზე? ეს საკითხი მოითხოვს გეოგრაფიულ-პოლიტიკური და ეთნიკური ნომენკლატურის შესწავლას „დიდი კომნინების იმპერიაში“, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არაბი, სპარსი და თურქი ქრონისტების აღწე-

* პირველად გამოქვეყნდა 2008 წელს: Н. Кутелия. Арсальные контакты и динамика заимствования (вопросы диахронической трансформации колкский фонологической структуры) II საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი აკად. არნ. ჩიქობავას დაბადების 110 წლისთავისადმი, მასალები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2008

რილობით „ლაზები, ჭანები და სხვა ქართველთა ტომები და ბერძნები არიან“, კონფესიონალური თვალსაზრისით „დიდი კომნიენების იმპერიაში“ მცხოვრებნი იყვნენ ქრისტიანები — ქართველები და ბერძნები და ექვემდებარებოდნენ ტრაპიზონის მიტროპოლიტის საეკლესიო იურისდიქციას-კონსტანტინეპოლის ეკლესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ავტორიტეტს ანატოლიაში XIII-XV საუკუნეებში. 2. რა პირობებში განხორციელდა და ვითარდებოდა ლაზურ-თურქული ენობრივი კონტაქტები და 3. იყო კი ეს კონტაქტები ისეთი მჭიდრო და სანგრძლივი, რომ მას არსებითი ცვლილებები შეეტანა ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე.

აქ მე არ შევეხები ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ დონეზე მომხდარ ცვლილებებს — ისინი განპირობებული არიან ქართველურ ენათა შინაგანი ორგანიზაციით და რეალურად არსებულ სტრუქტურებში ვლინდებიან.

სესხების დინამიკა რთული ამოსაცნობია, პირველ რიგში ექსტრალინგვისტური პროცესებია გასათვალისწინებელი. ხშირად ჩვენ ლინგვისტურ ანალიზს ვჯერდებით და არ ვიცით როდის და რა გზით მოხდა სესხება.

ლაზთა ძირითადი საქმიანობა იყო ნაოსნობა, მშენებლობა, ამავე დროს მაღალგანვითარებული მესაქონლეობა მინათმოქმედება და მევენახეობა. ლაზები ინტენსიურად ვაჭრობდნენ და ზღვით გაჰქონდათ თავისი საქონელი ევროპის ქვეყნებში. თურქ-ოსმალთა ბოსფორის სრუტეში გაბატონების შემდეგ ევროპის ქვეყნებში სავაჭრო ურთიერთობა ყირიმის სახანოს მეშვეობის ხორციელდებოდა.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ლაზურ მოსახლეობაში თავი იჩინა მასობრივმა ორენოვნებამ. ათათურქის რეფორმებმა მუსლიმანი ქალებისათვის სავალდებულო გახადა პირველდანიყებითი განათლება, რაც ბუნებრივია თურქულ ენაზე უნდა მიეღოთ. ასეთი მჭიდრო კონტაქტის დროს სესხება, განსაკუთრებით ლექსიკის, გარდუვალია, მაგრამ ნუ მივანერთ სესხებით დამკვიდრებული ყველა ლექსემას თურქ-ოსმალთა გაბატონებას; სესხება გაცილებით უფრო ადრე უნდა დანყებულყოფიყო. აქ ორი ვითარებაა გასათვალისწინებელი: ლაზების დამორჩილება ადვილი არ გამოდგა მათ შეინარჩუნეს ენა, ტერიტორია და ეთნიკური მთლიანობა. ისინი გასაოცერი სიმტკიცით აღუდგნენ ენობრივ ასიმილა-

ციას. ლაზი მამაკაცი ოჯახიდან შორს გადიოდა საშოვარზე. ოჯახში მთავარი იყო ქალი, რომელმაც ლაზურის გარდა სხვა ენა არ ცოდა; სწორედ მათ შემოინახეს ლაზური. მეორეს მხრივ ლაზეთს ყირიმის სახანოსთან დიდი ხნის სავაჭრო ურთიერთობა ქონდა, რომლიც თურქ-ოსმალთა გაბატონობის შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა, ვინაიდან ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა ყირიმის სახანოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ამაზე მეტყველებენ ევროპის ქვეყნების დიპლომატიური მისიის დოკუმენტები. ხე-ტყით და ნავსადგურებით მდიდარი ლაზეთი ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში მოექცა.¹

ყირიმის სახანოსთან მჭიდრო ეკონომიკური და მეგობრული ურთიერთობა ლაზებსა და ყირიმელებს შორის ე.წ. ყირიმული თათრულით ხორციელდებოდა. ჰქონდათ აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობა ყირიმში მოსამსახურე ყარაიმებთან, რომელთა ენა-ყარაიმული თურქულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მთელი რიგი თურქული ნასესხობანი გაცილებით უფრო ადრე ყირიმიდან შემოჰქონდათ ლაზ მამაკაცების თავიანთ ოჯახებში, ამით აიხსნება ლაზურში დამკვიდრებულ თურქულ ლექსებათა შორის ყირიმულ თათრული და ყირიმულ-ყარაიმული ენობრივი ფორმები და არა ოსმალურ-თურქული.

ამჯერად მინდა შევეხო ტყის აღმნიშვნელ სიტყვას ლაზურში. მეგრულში გვაქვს „ტყა“, ლაზურში უნდა გვექონოდა ტყა, ტკა ხოფურში ტკა //მტკა// ნტკა — ვინურსა და არქაბულში, ათინურში ფორმა შეიძლება გამარტივებულიყო: ტკა//მტკა>ტა//მტა, მაგრამ ამ ფორმათა ილუსტრირება არ ხერხდება. ამავე დროს ლაზურში გვაქვს მტკაშ ქოთუმე „ტყის ქათამი“, მტკორი ლეჯი „ტყის ღორი“ (ტახი), მტკური მცხული „ტყის მსხალი“ (პანტა მსხალი“, მტკური უშქური „ტყის ვაშლი“ (პანტა ვაშლი) და ა.შ., მაგრამ ცალკე ტყის აღმნიშვნული არამარტო თანამედროვე ლაზურში, არამედ დღემდე ჩანერილ ლაზურ ტექსტებშიც არსად გვხვდება. ჰ.

¹ იხ. დ. ჯანელიძე, „ლაზების ბელადი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1984 წ.

აჭარიანის მიერ დამონმებულია „ტკა“ ბათუმურ ლაზურში¹ ბალახის მნიშვნელობით. იმასვე ადასტურებენ ხოფელი ინფორმატორები. ხოფურში, ვინურსა და არქაბულში „მტკა“ იხმარება აგრეთვე ასკილისა და მაცვალის მნიშვნელობითაც. ცხადია ლაზურში ტყის აღმნიშვნელი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „ტყა“, რომელიც ზანურის ლაზურ და მეგრულ დიალექტებად დიფერენციაციის პერიოდში უნდა ტრანფორმირებულიყო ტკა//ტკა>მტკა//მტკო>ტა ფორმებად.

დღეს ტყის მნიშვნელობით ლაზურის ყველა კილოკავში იხმარება თურქ dağ „მთა“. ამ საკითხს მე არა ერთხელ შევეხე და გამოვთქვი მოსაზრება, რომელშიც ტყის დაკავშირებას მთასთან ლაზეთის გეოგრაფიული მდებარეობით, კერძოდ, მთაგორინი ლანდშაფტით ვხსნიდი².

სესხების დინამიკა ყოველთვის ცხადი როდია, პირველ რიგში ექსტრა ლინგვისტური პროცესებია გასათვალისწინებელი, რათა გავცეთ პასუხი კითხვებს: როდის, რატომ და რა გზით მოხდა სესხება.

ადრე ჩემს მიერ ტყესთან თურქ. dağ „მთა“ დაკავშირება მცდარია. მართალია ლაზეთი გეოგრაფიულად არის ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლი, სადაც ადრე მოსახლეობა არ ცხოვრობდა; ყველაფერი: სახლი, ბალი, ბოსტანი, ყანა, ვენახი, ფუტკარი კლარჯკარის მთების ფერდობებზე და თემისკირის მუხის ტყით დაფარულ მთებშია. ჩემი ვარუდი რომ ტყის აღმნიშვნელად თურქ. dağ „მთა“ დამკვიდრდა ნაჩქარევი იყო. აკად. Wilhelm Radloff თავის რვატომეულში ფორმა dağ -ს ადასტურებს (Wörterbuches der Türk-Dialect, 1893, dzitter bahd) ტყის მნიშვნელობით ყარამულში. სხვა თურქულ ენებში 1) მთას აღნიშნავს. ვფიქრობ, რომ სწორედ ყირიმული შემოვიდა dağ „ტყის“ მნიშვნელობით ლაზურში.

¹ Adjarian M.H. Etude sur la langue, Extrait des Mémoires de la Société de linguistique de Paris, 1898, fasc. 6, 390

² იხ. ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 245-246.

ფონოტაქტიკა და სისტემების ელემენტთა დიაქრონიული ტრანსფორმაცია*

XX საუკუნემ განსაკუთრებული როლი ითამაშა ლინგვისტიკის როგორც მეცნიერების განვითარებაში. სწორედ მან განსაზღვრა ენა, როგორც საკუთრივ ლინგვისტიკის ობიექტი, თავის სრულ და მრავალმხრივ განზომილებაში. „ფონემის“ და „მორფემის“, როგორც აბსტრაქტულ ერთეულთა, ახლებურმა გაგებამ. საშუალება მისცა ლინგვისტებს შეისწავლონ ენაში არსებული სხვადასხვა იერარქიული დონე.

«ფონემა» და «მორფემა», როგორც ენის იერარქიული ერთეულები, ქმნიან რეალურ ენობრივ სტრუქტურებს ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს ენას როგორც სისტემას.

იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება ენობრივ მოვლენათა მეცნიერული სისტემატიზაცია, მისი ალბათობის ხარისხი, მით უფრო თვალსაჩინო იქნება იერარქიულ დონეთა ურთიერთმიმართებები, რომლებიც აყალიბებენ ენას მთლიანობაში — როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ჭრილში.

მეცნიერება ენის შესახებ ისე, როგორც ყველა სხვა მეცნიერება, დოგმათა სისტემა არ არის — „მეთოდები იცვლება და შესაბამისად შედეგებიც. (არნ. ჩიქობავა). „ფონემა“ სამეტყველო ბგერაა, ის რეალურად არსებობს და ენათმეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს; ენაში, როგორც სისტემაში, თანამოქმედების ბგერის მატერიალური სუბსტანცია და ფუნქცია. მატერიალური სუბსტანციისა და ფუნქციის ორგანული შერწყმის საფუძველზეა შესაძლებელი ენის სხვადასხვა იერარქიული დონის თანამოქმედება, ამაში მდგომარეობს „ფონემის“ როგორც აბსტრაქტული ერთეულის, ახლებური გაგება და არა ფონე-

* პირველად გამოქვეყნდა 2011 წელს: ნ. ქუთელია, „ფონოტაქტიკა და სისტემების ელემენტთა დიაქრონიული ტრანსფორმაცია“, III საერთაშორისო სიმპოზიუმი „იბერიულ-კავკასიური ენები: სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, ეძღვნება აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის 100 წლისთავს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2011.

ტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირებაში, როგორც ეს ნ. ტრუბეცკოისთან გვაქვს. „ფონოლოგია როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა სწავლობს სამეცნიერო ბგერას ანუ ფონემას სიტყვათგანმასხვავებლური ფუნქციის თვალსაზრისით, გამოდის რა მისი (ფონემის) აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური რაობიდან“ (გ. ახვლედიანი).

ფონემა აბსტრაქცია არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმავეს ამტკიცებენ „ფუნქციონალური ფონეტიკის“ როგორც ფონეტიკის ახალი მიმართულების ჩასახვის და თეორიის ჩამოყალიბების პიონერები: პ. უსლარი, ი. ბოდუენ დე კურტენე, ნ. კრუშევსკი, ლ. შჩერბა, მოგვიანებით გ. ახვლედიანი და ა. მარტინე.

ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო კურსებში დამკვიდრდა ტერმინი — „ფონეტიკა-ფონოლოგია“. ვფიქრობ, ამთავითვე უნდა განიხილებოდეს პრობლემა: არის ეს ტერმინთა დაპირისპირება, თუ არსებითად ერთი და იგივეა — რასაკვირველია ერთი და იგივეა, ვინაიდან იგულისხმება სამეცნიერო ანუ სოციალურად ღირებული ბგერის შესწავლის ორი ასპექტი: ფიზიკური (არტიკულაციურ-აკუსტიკური) და ფუნქციონალური (სოციალური), რაც თავის მხრივ შეიცავს: კოარტიკულაციას და მასთან დაკავშირებულ შიდა და გარე „სანდჰის კანონთა“ გამოვლენას და ამ კანონთა მოქმედების შედეგს; ფონეტიკურ ტენდენციებს, რომელთა ქრონოლოგია და დინამიკა სცილდება პოზიციით განპირობებულ კოარტიკულაციურ ქმედებათა სფეროს და გლობალურია ენისთვის, რაც აისახება კიდევ პარადიგმატულ სისტემებში და ფონემატურ სტრუქტურებში; ფონემატური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია; უნივერსალური ფონეტიკური კანონები და მათი შეზღუდვა დროითა და სივრცით; სხვა კანონის ჩარევა და კანონის რეინტერპრეტაცია; განსაზღვრავს თუ არა ფიზიკური და ფუნქციონალური ასპექტების თანაჟამიერი მოქმედება ენის ფონემურ და მორფოლოგიურ ჩამოყალიბებას; და ბოლოს ფონტაქტიკა — განსაზღვრავს თუ არა ფონოტაქტიკა სისტემის ელემენტთა დიაქრონიულ ტრანსფორმაციას.

ასე მაგალითად, ჰარმონიული კომპლექტთა **A** და **B** სისტემის ჯგუფები მარკირებულია საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით (გ. მაჭავარიანი).

ამავე დროს კანონიკურია ზანური (resp. მეგრულ-ჭანური) ფონოტაქტიკის გათვალისწინებით, რადგან სავსებით შეესაბამება ფონემათა შეერთების სტრუქტურულ კანონზომიერებას:

მეგრული

ბგ	ფქ/მქ	პკ	ბლ	ფხ/რხ	პყ
დგ	თქ	ტკ	დლ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	ჭკ	ძლ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯლ	ჩხ	ჭყ

ლაზური

ბგ	ფქ	პკ	ბლ	პყ	
ბგ>მბგ>მგ	ფქ>მფქ>მქ		ბლ>მბლ>მლ	პყ>კ	
ბგ>მგ	ფქ>მქ		ბლ>მლ>ლ	პყ>პკ>კ; პყ>კ	
დგ	თქ	ტკ	დლ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძლ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯლ	ჩხ	ჭყ

სისტემის მოდელის ჩამოყალიბება ექვემდებარება ფონოტაქტიკის წესებს, მაგრამ ფონეტიკური სუბსტანცია განიცდის დიაქრონიულ ცვლილებებს. ამიტომ ისმის კითხვა: მოგვეპოვება საკმარისი საფუძველი ლაბიალური რიგის ჰარმონიულ ჯგუფთა პოსტულირებისათვის მეგრულში თუ გავიტანოთ ფქ, ფხ კომპლექსები სქემის გარეთ?!

ზანური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით სისტემის ნევრები განიცდიან ტრანსფორმაციას, მაგრამ ფონოტაქტიკური მოდელი სტაბილური რჩება ქართულის მიმართ, რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰარმონიულ კომპლექსთა ჯგუფები ჩამოყალიბდა ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში. ჰარმონიულ ჯგუფთა A და B სისტემები მყარია და დადასტურებული არიან ყველა ქართველურ ენაში და რასაკვირველია, ერთნაირი პარადიგმატული სიხშირით არ ხასიათდებიან. ამავე დროს ფონოტაქტიკის თვალსაზრისით მათი მატერიალური სუბსტანციის გარდაქმნები კანონიკური სტრუქტურის ფარგლებს არ სცილდება.

და მაინც, ისმის კითხვა, რატომ არღვევს ფონოტაქტიკა, რომელიც ერთი მხრივ ფონემათა შეგუება-შეუგუებლობის გარკვეულ წესებს ემყარება, ხოლო მეორე მხრივ, ენის შინაგანი ორგანიზაციით არის ნაკარნახევი, თავისსავე გამომუშავებულ წესს? ასეთივე დარღვევასთან გვაქვს საქმე A და B სისტემის ლაბიო-ველარული ჯგუფებში ზანურში (resp. კოლხურში) კანონიკური ჯგუფები ტრანსფორმირებული ფორმით არიან წარმოდგენილნი:

ლაზური		
ბგ>მბგ>მგ	ბლ>მბლ>მლ	პყ>პკ>კ
ბგ მგ	ბლ>მლ>ლ	პყ>კ
ფქ>მფქ>მქ		პყ>პ

მეგრული	
ფქ/მქ;	ფქ>რხ;
ფქ>მქ	

რა შეიძლება ვივარაუდოთ, როდესაც ფონოტაქტიკის დადგენილი წესი პარადიგმის ფარგლებში ირღვევა? ის, რომ მოცემულ ფონემათა შეერთება რხ>ფხ კანონიკური სქემის გარეთ დარჩა, თუ შესაძლებელია ვივარაუდოთ ლაბიალური კომპონენტის ტრანსფორმირება როტაციზმით ნეიტრალური ბგერითი ანალოგიის კანონით, (იხ. გ. ახვლედიანი)¹. არ არის გამორიცხული მეგრულში მოქმედი როტაციზმის ტენდენციის ჩარევა, ვინაიდან ფონეტიკური ტენდენციების მოქმედება არასამწერლო ენების სივრცეში შეუზღუდავია.

ფონეტიკური ევოლუციის პროცესში ფონოტაქტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს. როცა დადგინდება ყველა ქართველური ენის ფონოტაქტიკურ კანონზომიერებათა წესები ჩვენ ვნახავთ რომ სპონტანურ ცვლილებათა მთელი რიგი, როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ქრილში, ახსნას დაექვემდებარება. სინქრონიულ და დიაქრონიულ გარდაქმნათა ინტერპრეტაცია ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით გაცილებით უფრო ზუსტი და იოლი იქნება, ვიდრე ის ახლა არის.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, თბ., 1949, გვ. 229-შმდ.

ერთი რამ ცხადია — ჰარმონიულ კომპლექსთა სტრუქტურები მარკირებულია საერთო-ქართველურ დონეზე და ეს მეცნიერული სიზუსტით არის წარმოდგენილი გ. მაჭავარიანის შრომაში „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“. დღეს სრულიად ცხადია — თუ დარღვეული ჰარმონიული ჯგუფი მორფემათა გასაყარზე აღმოჩნდა, არ არის საჭირო ორი ან სამი ფონეტიკური კანონის მოხმობა იმისთვის, რომ აღდგენილი ჰარმონიული ჯგუფი ასიმილაციით ავსხნათ; გაცილებით უფრო ძლიერია კანონზომიერება, რომელიც ფონოტაქტიკას არეგულირებს.

ავილოთ მაგალითად ე.წ. ასიმილაციის უმარტივესი მაგალითი **ერთგული>ერდგული**, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც რეგრესული, ნაწილობრივი, კონტაქტური ასიმილაცია. სულ ცოტა სამი ფონეტიკური კანონი უნდა ჩაგვეერთო, რომ გ-სთვის ასიმილატორის სტატუსი მიგვენიჭებინა, მაშინ როდესაც წინა პოზიციაში თ-ს სონანტი რ ემეზობლებმა. მორფემათა გასაყარზე წარმოქმნილი არაკანონიკური თგ უნდა გარდაქმნილიყო კანონიკურ დგ-დ — ასეთია ფონემათა განაწილების კანონზომიერება ქართველურ ენებში.

Summary

Phonotactics and Diachronical Transformation of the Elements of the System

The science about linguistics as well as all other sciences is not a system of dogmas — methods change and accordingly the results.

“Phoneme” is a speech sound, it exists in reality and is the object of linguistic studies. In language as in the system phoneme’s material substance and function co-operate. On the basis of merging co-operation of material substance and junction of various hierarchial levels of language is possible. Consequently it is a new understanding of “phoneme” as an abstract unit and not in opposition of phonetics and phonology as it is given in N. Trubetsky’s works.

In the process of phonetic evolution phonotactics has a decisive role. The whole range of spontaneous changes both in synchronic and diachronic events, interpretation of systems are much easier and more exact by means of phonetic rules.

ДВЕ СИСТЕМЫ ГАРМОНИЧЕСКИХ СОГЛАСНЫХ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ*

(Экспериментально-фонетическое исследование)

Грузинский язык, как и другие иберийско-кавказские языки, обладает сложным и своеобразным консонантизмом, экспериментальное изучение которого даст возможность выявить фонетическую сущность данного языка.

Одной из особенностей консонантизма грузинского языка является наличие в нем гармонических комплексов согласных дещессивного¹ порядка; такими являются: ბგ დგ ძგ ჯგ (bg-dg-
zg-ǰg-ფქ-ტქ-ჩქ (p^[k]t^[k]c^[k]čk) — პქ ტქ ჩქ ცქ — ბლ დლ ძლ ჯლ (by-dy-zy žy) - ფხ თხ ცხ წხ (px tx cx čx) — ზყ ტყ
ბყ ცყ — (pə tɔ cɔ čɔ).

Различие между дещессивными и акцессивными комплексами основывается на третьем правиле Г.С. Ахвледиани: **Согласные, входящие в дещессивные комплексы, стремятся к единовременному приступу.**

Термин «гармонический комплекс» восходит к акад. Н. Я. Марру — он назвал их «гармоническими», исходя из физиологических и акустических взаимоотношающихся компонентов. Г.С. Ахвледиани в честь акад. Н. Я. Марра сохранил это название.

Специфическими являются эти комплексы для грузинского языка, поскольку подобные комплексы в виде системы в других кавказских языках не встречаются; что касается грузинского языка, то тут они образуют систему².

* პირველად გამოქვეყნდა 1959 წელს: «экспериментально-фонетическое исследование двух систем пармонических комилеков в грузинском языке. Фонетический сборник I. Труды кафедры общего языкознания. Тбилиси (ექსპერიმენტული მასალა უმნიშვნელო კორპუსით იყო წარმოდგენილი)

¹ Так названа Г. С. Ахвледиани последовательность артикуляции согласных в группе «передний + задний». В отличие от акцессивной последовательности в группе «задний + передний»

² Г. С. Ахвледиани. Основы общей фонетики, Тб., 1949 г. (на грузинском языке), стр. 108

Система А

ბგ	ფქ	პკ	bg	pk	ᄁk
ღგ	თქ	ტკ	dg	tk	ᄁk
ძგ	ცქ	წკ	ᄁg	ck	ᄁk
ჯგ	ჩქ	ჭკ	ᄁg	čk	ᄁk

Система В

ბღ	ფხ	პყ	by	px	ᄁq
ღღ	თხ	ტყ	dy	tx	ᄁq
ძღ	ცხ	წყ	ᄁy	cx	ᄁq
ჯღ	ჩხ	ჭყ	ᄁy	čx	ᄁq

Г.С. Ахвледиани выявил системный характер гармонических комплексов в грузинском языке и наметил пути дальнейшего исследования внутреннего строения этих систем.

Целью нашей работы является изучить путём экспериментальных исследований, строение гармонических комплексов и выявить основу материальной субстанции данных звуковых сочетаний.

Работа главным образом основывается на экспериментальных исследованиях. Эксперименты выполнялись в лаборатории экспериментальной фонетики и психологии речи I Московского государственного педагогического института, под руководством проф. В. А. Артёмова, и в лаборатории экспериментальной физики Тбилисского государственного университета под руководством проф. А. Ишхнели.

Работа построена на результатах палатографического, пневматического и электроакустического изучения двух систем гармонических комплексов грузинского языка.

7. Г. С. Ахвледиани посвятил этому вопросу специальное исследование: «Две системы гармонических смычных в грузинском языке». Оно было напечатано в сборнике «Памяти академика Л. П. Щербы». Л. 1951, с. (113-116).

Исследование звуков палатографическим методом даёт возможность точно определить область касания языка на твердом нёбе при произнесении того или иного звука.

Применяемое обычно в экспериментальной фонетике искусственное нёбо доходило до границы мягкого нёба. Поэтому палатограммы тех звуков, которые образуются смычкой задней части языка и мягкого нёба, не давали нужного эффекта. Для устранения такого рода препятствия проф. А. Ишхнели предложил удлинить искусственное нёбо хорошо изолированной тканью так, что оно совершенно закрывало мягкое нёбо. В предполагаемых для касания местах прикрепили две хорошо изолированные проволоки, один конец которых присоединялся к гальванометру, другой – к аккумулятору. При смыкании языка с мягким нёбом цепь замыкалась, и стрелка гальванометра отклонялась от нуля. В противном же случае, т. е. при несмыкании языка с мягким нёбом, стрелка гальванометра оставалась неподвижной. Путем такого экспериментирования сотрудники лаборатории экспериментальной физики во главе с проф. А. Ишхнели смогли установить смыкание задней части языка с мягким нёбом при произнесении грузинского γ и q' .

Палатографическим методом нами были изучены все комплексы гармонических смычных в обеих системах.

Палатограммы грузинских звуков рассматривались в сопоставлении с палатограммами акад. I. В. Щербы для русских и французских звуков¹⁾, проф. В. А. Богородицкого для русских звуков²⁾ и проф. С. М. Жгенти для сванского и чанско-мегрельских звуков³⁾.

Из ряда вопросов, возникающих в связи с образованием двух систем гармонических комплексов согласных, Г. С. Ахвледиани выделяет вопрос о неоднородности по месту и способу образования вторых компонентов гармонических

¹ Л. В. Щерба. Фонетика французского языка, Москва 1953

² Проф. В. А. Богородицкий. Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, Казань, 1930

³ С. М. Жгенти. Основные вопросы фонетики сванского языка, Тб., 1949 (на грузинском языке, его же: Фонетика чанско-мегрельского языка, Тб., 1953 (на грузинском языке)

согласных системы В, а именно: первоначально ли эта неоднородность?

«Нужно думать, что вторые компоненты комплексов системы В первоначально были однородные: все они были смычные фарингалы $q, q \gamma'$ ¹, но с постепенным перерождением сначала γ' , а затем и q они заменились в комплексах соответствующими заднеязычными спирантами»².

Существование звонкого смычного фарингала в картвельских языках совершенно очевидно с тех пор, как проф. С. М. Жгенти нашел его в виде пережитка в живой речи сванского языка, например:

лхм. $yehi'$ горное растение, съедобное'.

лхм. $\gamma'ambvli$ 'болтать' и др.

Современный литературный грузинский язык звонкого и аспирированного фарингалов не имеет. В некоторых диалектах грузинского языка (напр., в хевсурском, кизикском) и в сванском языке, аспирированный фарингал сохранился до настоящего времени.

Нужно думать, что одной из особенностей древнегрузинской системы согласных было наличие в ней полной тройки фарингалов. Со временем грузинский язык утратил вышеназванную фонетическую тенденцию, и артикуляция фарингальных звуков передвинулась вперед. Процесс передвижения звуков задней артикуляции вперед продолжается и в настоящее время. Особенно наглядно это видно при произнесении $y q'$: в современном литературном грузинском языке $y q'$ является велярным звуком.

На основе экспериментальных исследований проф. С. М. Жгенти, выявившего спирантоидный характер $\gamma' \int y, q-q^{[h]}-q'$ стало ясным и убедительным предположение Г. С. Ахвледиани о замене в древнегрузинском языке аспирированного и звонкого фарингалов велярными спирантами $\zeta \text{ } \text{b} \text{ } \gamma \text{ } x$ «... возможность такой замены была заложена в них, как в спирантоидах. Один

¹ Графемой γ' абзначает С. М. Жгенти фарингальный звонки.

² Г. С. Ахвледиани. Две системы гармонических смычных в грузинском языке. стр. 115

только смычный фарингал не перешел в спирант: это у q, который, как абруптив, не может спирантизироваться в грузинском языке, ибо абруптивных спирантов грузинский язык не знает»¹.

Нужно думать, что такое артикуляционное передвижение фарингальных звуков было возможно сначала в гармонических комплексах системы В. После экспериментальных наблюдений стало ясно, что артикуляция компонентов гармонических комплексов стремится не только к одновременности пристуна, но и к максимальному сближению артикуляционных мест их образования. Такая тенденция особенно характеризует вторые (т. е. задние по месту образования) компоненты гармонических комплексов, артикуляция которых стремится передвинуться вперед. Очевидно, такая тенденция была свойственна также и шестой тройке фарингальных смычных q-q^[h]-q, когда они произносились в гармонических комплексах ბუ'ფჳ ჰუ и т. д., и со временем они превратились в заднеязычные ლ ბ ყ ႁ ႁ'.

Итак, предполагается, что первоначально гармонические комплексы системы В имели такую форму:

ბლ'	ფჳ	ჰყ	ბq	pq ^[h]	pq
ღლ'	თჳ	ტყ	dq	tq ^[h]	tq
ჭლ'	ცჳ	ჩყ	ჯq	cq ^[h]	cq
ჯლ'	ჩჳ	ჭყ	ჭq	čq ^[h]	čq

На следующем этапе развития гармонические комплексы системы В принимают ныне существующую форму:

ბლ	ფბ	ჰყ	ბყ	px	pq
ღლ	თბ	ტყ	dყ	tx	tq
ღლ	ცბ	ჩყ	ჯყ	cx	cq
ჯლ	ჩბ	ჭყ	ჭყ	čx	čq

¹ Г. Г. Ахвледиани, Две системы гарм. смычные в груз. яз., стр. 115. 8.

В современном грузинском языке вторыми компонентами системы В являются заднеязычные (велярные) ɥ b y x q , которые образуют гетерогеническую тройку гоморганных согласных:

ɥ y – заднеязычный звонкий спирант;

b x – заднеязычный глухой аспарированный спирант;

y q – заднеязычный абрунтивный спирантоид.

Работа посвящена экспериментальному изучению состава комплексов системы А и В.

При пневматическом изучении гармонических комплексов грузинского языка приём звучания осуществлялся ротовой, воронкой и горловой капсулой. Все согласные, входящие в состав гармонических комплексов, регистрировались сначала в отдельности, а затем в едином комплексном звучании. Гармонические комплексы, в свою очередь, произносились с учетом определенной позиции: в анлауте и в интервокальном положении. Для соблюдения такого порядка некоторые комплексы были произнесены в искусственных словах.

Гармонические комплексы исследовались нами также электроакустическим способом. Они были записаны на электроакустическом кимографе при помощи электромагнитного рекордера по методике принятой в Лаборатории экспериментальной фонетики и психологии речи I-го МГИИЯ¹. Были установлены длительность и высота тона гармонических комплексов и входящих в них отдельных звуков.

¹ Описание этой методики см. В.А. Аптемов. Экспериментальная фонетика. Из-во лит-ы на ин. яз., М. 1956.

1. Экспериментальное исследование гармонических комплексов системы А.

§ 1. Анализ комплекса $\delta\alpha$ -bg

В состав гармонического комплекса [bg] входят: звонкий член первой триады грузинских смычных согласных – би-лабиальный звук [b] – и первый член пятой триады грузинских смычных заднеязычный звонкий [g].

При произнесении грузинского [b] (рис.1)¹. задняя части языка отходит назад и поднимается к мягкому нёбу; затронутые языком места занимают лишь задние углы твердого нёба. Палатограмма грузинского [b] напоминает палатограмму В. А. Богородицкого для русского [b]² – с той разницей, что затронутые языком места на палатограмме грузинского [b] шире.



рис.1


В интервокальной позиции [b] имеет абсолютную звонкость, которая чуть слабеет в момент отступа. Звук [b] отличается средней интенсивностью. Высота звука [b] вначале стоит на уровне 200 гц далее, на 50 мс после начала звука высота тона опускается на уровень 180 гц. Длительность [b] равняется 75 мс.

При произнесении грузинского [g] (рис.2) задняя часть языка производит смычку на мягком нёбе. Затронутые языком места занимают задние углы твердого нёба до первой пары

¹ Ввиду технических затруднений, не все рисунков из нашей работы («Две системы гармонических согласных в груз. языке печатаются.

² Богородицкий, стр. 129, рис. 44.

основных зубов. На левой стороне твердого нёба замечается асимметричность: затронутые языком места доходят до второй пары малых основных зубов. Палатограмма грузинского [g] совершенно отличается от палатограммы мегрельского (рис. 3) и сванского (рис.4) [g]¹, где первая из них, в отличие от грузинского, имеет значительно переднюю артикуляцию; вторая же, наоборот, значительно более заднюю. Как видно, грузинское [g] в артикуляционном отношении занимает среднее место между мегрельским и сванским [g].



Киммограмма [g] показывает, что звук [g] в интервокальной позиции имеет абсолютно звонкостью

Однако, нужно отметить, что звонкость данного звука после 0,06 сек. сильно слабеет. Высота тона звука стоит на уровне 160 гц. долгота данного звука равняется 75 мс.

Совершенно иную картину дает палатограмма комплекса [bg] (рис. 5). Очевидно, что артикуляция [bg] стремится к центру твердого нёба. Палатограмма комплекса [bg] очень напоминает палатограмму палатализованного [g] в сванском языке². Затронутые языком места на твердом нёбе доходят до малых основных зубов.

¹ Жгенти, Основные вопросы. стр. 32. рис. 53 и его же фонетика чанск.-мегр. стр. 102. рис. 43

² Жгенти, Основные вопросы... Стр. 32. рис. 55




рис.5

Кимограмма комплекса [bg] (рис. 6) в интервокальной позиции показывает, что высотой тона и интенсивностью выделяется середина комплекса, а именно момент взрыва первого компонента [b]. Высота тона достигает 200 гц. Момент наиболее интенсивного произнесения комплекса, сопровождающегося повышением высоты тона, является артикуляционным центром данного комплекса.




рис.6

В анлауте комплекс [bg] имеет частичную и слабую звонкость. Длительность комплекса $L=0,16$ сек; звонкость

начинается после 0, 02 сек. и длится 0, 06 сек; $n=0, 06$ сек. Значит $\pi=3,7$; $\tau=1,2 \rightarrow 5^1$.

Выводы:

1. Артикуляция компонентов гармонического комплекса [bg] стремится к центру твердого нёба. Компоненты характеризуются взаимной палатализацией, что подтверждается повышением тона в момент их соединения.
2. Компоненты гармонического комплекса стремятся к единовременному произнесению, несмотря на это, каждый компонент сохраняет свою артикуляционную независимость.
3. В интервокальной позиции в отдельности произнесенные [b] и [g] имеют абсолютную звонкость.
4. Что касается комплекса [bg] в интервокальной позиции, она также имеет абсолютную звонкость, хотя очень ослабленную в начале и в конце.
5. В анлауте комплекс [bg] имеет частичную звонкость: $\pi=3,7$.
6. Интенсивностью произношения выделяется [b]; [g] – сильно редуцирован.

§ 2. Анализ комплекса φj -pk

В состав комплекса [pk] входят: второй член первой триады грузинских смычных-глухой придыхательный звук [p] – и второй член пятой триады смычных глухой придыхательный [k].




рис.7

¹ L-длительность звука, n-длительность звонкости, π -степень звонкости, τ -место звонкости.

При произнесении грузинского [p] (рис.7) затронутые языком места на твердом нёбе доходят до второй пары основных зубов. На левой стороне область касания зубов. В отличие от палатограммы [b], на палатограмме звука [p] область касания языка гораздо шире.

Палатограмма грузинского [p] очень похожа на палатограмму В. А. Богородицкого для русского [p]¹ (рис. 8).




рис.8

Кимограмма [p] дает следующую картину: линия ротовой капсулы некоторое время идет по горизонтальной линии, что и соответствует артикуляционной смычке звука [p]. На 0,08 сек. после начала звука линия ротовой капсулы сильно поднимается вверх и описывает довольно высокую кривую, что указывает на сильную струю воздуха при произнесении данного звука.

При произнесении грузинского [k] (рис. 9) задняя части языка производит смычку на поверхности мягкого нёба. Затронутые языком места на твердом нёбе доходят до половины второй пары малых основных зубов.




рис.9

¹ Богородицкий, стр. 129, рис. 44.

Палатограмма грузинских [g] и [k] очень похожи, с той разницей, что для [k] область касания языка на мягком нёбе чуть шире.

В отличие от грузинского [k], сванское [k] имеет более переднюю артикуляцию¹; что касается мегрельского, то тут [k] имеет более заднюю артикуляцию по сравнению с грузинским и сванским².

Кимограмма звука [k] повторяет характерную для придыхательного звука [p] закономерность.

При произнесении гармонического комплекса [pk] артикуляция [k] настолько передвигается вперед, что задняя часть языка производит смычку на конце твердого нёба и частично на поверхности мягкого нёба (рис. 10). Касание языка на твердом нёбе доходит до середины первой пары малых основных зубов.




рис.10

Палатограмма комплекса [pk] очень походит на палатограмму С. М. Жгенти для палатализованного сванского [k']³.

Совершенно ясно взаимное сближение компонентов гармонического комплекса [pk] и их артикуляционное стремление к центру твердого нёба.

Кимограммы комплекса [pk] показывают, что с точки зрения участия струи воздуха, первый компонент заметно редуцирован, что можно объяснить стремлением приступа компонентов гармонического комплекса [pk] к одновременности.

¹ С. М. Жгенти. Основные вопросы, стр. 33, рис. 57

² С. М. Жгенти. Фонетика чанск.-мегр., стр. 102, рис. 45

³ С. М. Жгенти. Основные вопросы, стр. 33, рис. 58

Поэтому во время приступа [p] задняя часть максимально приближается к мягкому нёбу и тем самым создает серьезную преграду для свободной аспирации.

Выводы:

1. Отдельно произнесенные [p] и [k] имеют сильную и продолжительную аспирацию;
2. Аспирация первого компонента гармонического комплекса [pk] заметно слабеет;
3. Компоненты гармонического комплекса [pk] стремятся к одновременному приступу; несмотря на это, они сохраняют свою артикуляционную независимость.

§ 3. Анализ комплекса ʒj-pk¹

В состав комплекса [pk] входят третий член первой триады смычных-билабиальный абруптив [p] – и третий член пятой триады смычных заднеязычный абруптив [k].

При произнесении грузинского [p], затронутые языком места на твердом нёбе доходят до середины второй пары малых основных зубов (рис. 11).




рис. 11

Симметричность области касания языка нарушена. На левой стороне затронутое языком место доходит до второй пары

¹ Абруптивы (глотализованные) в данной работе обозначаются точкой в нижней части транскрипционного знака.

малых основных зубов включительно. Область касания языка на твердом нёбе при произнесении грузинского [P] больше, чем при произнесении [b] и [p].

На кимографической кривой звука [P] ясно виден абруптивный характер данного звука, а именно: при произнесении абруптивов, воздух с легких не подается¹. Они произносятся тем запасом воздуха, который у говорящего находится в полости рта. Линия ротовой капсулы почти не отклоняется от нулевой линии.

На линии горловой капсулы замечается характерное для абруптивов шелканье голосовых связок.

Звук [P] длится 75 мс.

При произнесении звука [k], задняя часть языка производит смычку на поверхности мягкого нёба. Затронутое языком место на твердом нёбе доходит до второй пары малых основных зубов. На палатограмме звука [k] (рис.12) область касания языка шире, чем на палатограммах гоморганных ему звуков [g] и [k]. Палатограмма грузинского [k] во многом отличается от палатограммы сванского [k]. (рис. 13) где на конце твердого нёба язык оставляет широкий отпечаток касания².




рис. 12




рис. 13

Кимограмма абруптива [k] повторяет ту же закономерность, что и кимограмма [P].

¹ см. Г. С. Ахвледиани. Основы общей фонетики, стр. 105

² Жгенти. Основные вопросы., стр. 33. рис. 58. 22. Фонетика.

При произнесении гармонического комплекса [Рк]. (рис. 14) явно видно, что артикуляция второго комплекса [к] заметно передвинулась вперед к центру твердого нёба.




рис. 14

Кимограмма комплекса [Рк] (рис. 15) показывает, что с точки зрения участия струи воздуха, второй компонент сильно редуцирован.




рис. 15

Первый компонент выделяется интенсивностью артикуляции. В момент реализации первого компонента щелканье голосовых связок удваивается.

Выводы:

1. Грузинские [p] и [k] характеризуются сильной артикуляционной напряженностью, взрыв которых сопровождается щёлканьем голосовых связок.
2. Компоненты гармонического комплекса [pk] характеризуются сильной взаимной палатализацией. Артикуляционная напряженность и интенсивность щёлкания голосовых связок удваивается.
3. Несмотря на стремление к одновременности приступа, каждый из компонентов данного комплекса сохраняет свою артикуляционную независимость.

§ 4. Анализ комплекса ႳႳ-dg

В состав гармонического комплекса [dg] входят: первый член второй триады смычных - звонкий звук [d] – и заднеязычный звонкий звук [g].

При произнесении грузинского [d] передняя часть языка производит смычку на медиальных зубах. Передняя часть языка и ее боковые спинки затрагивают как переднюю часть, так и бока твердого нёба (рис.16).




рис.16

Кимограмма [d] говорит о том, что после произнесения предыдущего [a], линия ротовой капсулы опускается на нулевую линию и в продолжении 0,09 сек. идет горизонтально, что и

соответствует приступу звука [d]. Приступ звука [d] сопровождается Blählaut. На 0,1 сек. происходит взрыв звука [d].

Горловая капсула показывает, что в интервокальной позиции [d] имеет абсолютную звонкость. Высота звука [d] за все время его произнесения стоит на уровне 160 гц.

При произнесении комплекса [dg] затронутые языком часть твердого нёба шириной 2 см и его боковые стенки до конца шириной 1,5 (см. рис.17).




рис. 17

Затронутые языком места на твердом нёбе при произнесении комплекса [dg] немного больше, чем при произнесении сванского палатализованного [d'] в слове dāb 'поле'¹² (рис.18) и русского палатализованного [d'].




рис.18

¹ Жгенти. Основные вопросы., стр. 26, рис. 35.

² В. А. Богородицкий, стр. 136, рис. 49.

Палатограмма гармонического комплекса [dg] (рис.19). показывает, что его компоненты характеризуются сильной взаимной палатализацией.




рис.19

Кимограмма гармонического комплекса [dg] (рис.20). в интервокальной позиции показывает его частичную звонкость, так как второй компонент [g], с точки зрения звонкости, редуцирован.




рис.20

В анлауте гармонический комплекс [dg] имеет глухое начало и глухой конец. Итак, в интервокальной позиции

звучание начинается с момента произнесения комплекса $L=0$, 18 сек; $n=0$, 14 сек. следовательно, $\pi=7,8$; $\tau=0 \rightarrow 7,8$.

В анлауте $L=0$, 14 сек; $n=0$, 06 сек., $\pi=4,2$; а $\tau=0 \rightarrow 8,7$.

